საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 29 დეკემბერი, 2012 წელი.

№251 (7127)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გილოცავთ ახალ, 2013 წელს! მრავალს დაესწარით!

ბიძინა ივანიშვილი:

საკუთარ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სისტემის მსხვერპლია თვითონ სააკაშვილიც...

2-3

გუშინწინ, 27 დეკემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ვრცელი ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო პროგრამა „ქრონიკას“. მრავალი მკითხველის თხოვნის გათვალისწინებით, მცირედი შემოკლებით ვაქვეყნებთ ამ ერთობ საინტერესო და მნიშვნელოვან ინტერვიუს.

„ვარდების რევოლუციის“ დასასრული

7

როგორ ხვდებიან ახალ წელს მსოფლიოს ქვეყნებში

10

იტყუებენ თავს და ატყუებენ სხვებსაც

11

მიშა, ერთხელ მაინც მოიქეცი კაცურად!

6



გურამ ოდიშარია

„სულის გადასხმა“

8

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„საკუთარ იდეოლოგიაზე მსხვერპლია თვითონ

„საძმე გვაქვს დანაშაულებრივ სისტემასთან, რომლის მსხვერპლი გახდა ბევრი ჩინოვნიკი და თავად სააკაშვილი“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში. როგორც პრემიერმა აღნიშნა, იმის დასაბუთებას, რომ ეს სისტემა დანაშაულებრივი იყო, იგი დიდხანს ცდილობდა. პრემიერის თქმით, ის შეგნებულად აკეთებდა „ამის პროვოცირებას“, ანუ „მაქსიმალურად არ უშლიდა ხელს პროცესებს“, თუმცა, მისივე განმარტებით, ევროპელების და ამერიკელების შეფასებებს უწევდა ანგარიშს.

— რაც შეეხება ადგილობრიც თვითმმართველობას, მიხეილ სააკაშვილმა ამ სიტუაციას უწოდა პროვინციული დიქტატურა და საქართველოს ჭორვილიზაცია. თქვენ როგორ შეაფასებთ ამას და ასევე: საქართველოში არსებული 64 თვითმმართველობიდან 30-ში ნაციონალური მოძრაობა არ არის უმრავლესობაში, საუბრობენ იმაზე, რომ ეს პროცესები პროვოცირებულია მთავრობისგან, თქვენ როგორ შეაფასებთ?

— ძალიან კარგი და დროული კითხვაა და მინდა, საერთო ანალიზი გავაკეთო, რას უკავშირდება მათი ასეთი განცხადებები, რომლებიც ძალიან ბევრ კითხვას ბადებს, და აშკარად ჩანს, რომ სააკაშვილმა ახალი აგრესია გამოავლინა, აშკარად ჩანს რაღაცისთვის მზაობა. არ ვიცი, ვინ როგორ გრძნობს, მაგრამ საზოგადოებიდან ბევრი კითხვა მომდის, და მოვახერხებ, რომ განგიმარტოთ, საერთოდ რა ხდება.

დავიწყებ იმით, რომ საქმე გვაქვს სისტემასთან, რომელიც შეიძლება დანაშაულებრივ სისტემად ჩაითვალოს, და ამ სისტემის მსხვერპლი ძალიან ბევრი ყოფილი ჩინოვნიკია.

კიდევ გავიხსენებ, რომ პირველ წლებში მეც ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა სააკაშვილთან, მეც ბევრს ვეხმარებოდი, ბევრ რჩევას ვაძლევდი. მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი, რომ ის ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა, განსაკუთრებით 7 ნოემბერს და თქვენს ტელევიზიაშიც როგორ შეიჭრნენ, როგორ დაარბიეს, როგორ მიისაკუთრეს. მხოლოდ ახლა დაიბრუნა მეპატრონემ, როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში. ამის შემდეგ მე მასთან შევწყვიტე ურთიერთობა, და ეს თავისუფლად მოვახერხე, მაგრამ გუნდის ძალიან ბევრმა წევრმა, ვინც ისევ მას ენდობოდა, ისევ მიჰყვებოდა, როგორც მე პირველ ეტაპზე ვეხმარებოდი, ვერ მოახერხა და არ იყო იოლი ასე მარტივად გამოსვლა ამ გუნდიდან. ამ პირვანდელი გუნდის (მთავრობის გუნდის წევრები მყავს მხედველობაში) შემდგომ წევრებს დაემატნენ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებიც...

ჩემი აზრით, დანაშაულებრივი სისტემა ჩამოყალიბდა და ამ სისტემის მსხვერპლი ძალიან ბევრი ყოფილი ჩინოვნიკი გახდა. ჩემი აზრით, ამ სისტემის მსხვერპლი არიან დღეს თვითონ მისი ძირითადი დამფუძნებელი სააკაშვილი და მისი ძირითადი იდეოლოგებიც.

იმის დასაბუთებას, რომ ეს არის დანაშაულებრივი სისტემა, არჩევნების პროცესში და არჩევნების შემდგომაც ძალიან დიდხანს ვცდილობდი — თუ გახსოვთ რეაქცია, ჩვენი დღევანდელი ოპოზიციის აგრესიული დამოკიდებულება პირველი დღიდან, პირველი დაპატიმრებებიდან — ყველა დაპატიმრება პოლიტიკურად ითვლებოდა, ყველა ჩვენი ქმედება შერჩევით სამართალად მიიჩნეოდა და მაქსიმალური აჟიტირება ხდებოდა ამისა.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მას ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებათა შეფერხება შეეძლო, მაგრამ ამის პროვოცირებას შეგნებულად უწევდა.

შეგნებულად ვუკეთებდი ამას პროვოცირებას. შეგიძლიათ ეს სიტყვა გამოიყენოთ, მაგრამ აქვე განვმარტავ — მხედველობაში მაქვს ის, რომ მაქსიმალურად არ ვუშლიდი ხელს პროცესებს. შემეძლო შეფერხება, მეთქვა, რომ პოლიტიკურად არაა გამართლებული, მოვუსმინოთ ევროპელებს და ამერიკელებს, ჯობია ეს დროში გავწელოთ და ნუ გამოვიწვევთ ახალ საშინელებას-მეთქი.

„ჩემი მიზანი იყო ამ დანაშაულებრივ სისტემასთან ბრძოლა, ჩემი მიზანი იყო და დღესაც იგივე რჩება — არასდროს არ ყოფილა ჩემი მიზანი ხელისუფლებაში სავარძლისთვის მოსვლა, რისი ეჭვი კიდევ დარჩათ ვიღაცებს, მაგრამ მე მგონი, ასეთი მოსახლეობა ცოტა დარჩა. და არც ვინმეს დასჯა და შურისგება არ არის ჩემი ხასიათი. არ ვარ ისეთი პიროვნება, რომ შური ვიძიო და ვინმეს დასჯისთვის გავისარჯო. მინდა, რომ საზოგადოებამ და საერთაშორისო თანამეგობრობამაც კარგად დაინახოს ეს დანაშაულებრივი სისტემა, რომელიც აიგო ამ რვა წლის განმავლობაში ამ გუნდის მიერ, რომელსაც სააკაშვილი ხელმძღვანელობდა და, რა თქმა უნდა, არა მარტო დავანახვო, არამედ უარი ვათქმევინო ყველას, ვინც ამ სისტემას მხარს უჭერს. ეს არის, რა თქმა უნდა, ძირითადი — უარი ვთქვათ ამ სისტემაზე და უნდა მოვახერხოთ, როგორმე გამოვიყვანოთ ქვეყანა ამ სისტემიდან და გამოვიყვანოთ ის წევრებიც, ვინც მონაწილეობდა მის აშენებასა და იდეოლოგიაში და რომლებიც თვითონვე ხდებიან მსხვერპლნი იმ სისტემისა, რომლის აგებაშიც მათ ძალიან დიდი დრო დახარჯეს. საკუთარ იდოლოგიაზე დაფუძნებული სისტემის მსხვერპლია თვითონ სააკაშვილიც.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, მედიცინის და, განსაკუთრებით, არატრადიციული მედიცინის მეთოდია ასეთი, თუ დაავადების მკურნალობა გინდა, სწორი მკურნალობის პროცესში ის დაავადება მაქსიმალურად პიკზე ადის, მაქსიმალურად გამომჟღავნდება და იჩენს თავს, და შემდეგ ხდება მისი უგულებელყოფა და განეიტრალება. „დაახლოებით ამას მივდევდი მეც, ამიტომაც არ ვერეოდი პროცესებში, და გარწმუნებთ, რომ გუნდის ბევრმა წევრმა, სამართალდამცველებმა, არც სხვა პოლიტიკოსებმა არ იცოდნენ ამის თაობაზე უსუფაშვილის გარდა. უსუფაშვილს ორი დღის წინათ ვუთხარი და ტელეფონზე დღესაც ვესაუბრე, შეიძლება კომიტეტის წევრების რაღაც ნაწილს გააცნო ამის შესახებ, რაც მე მქონდა მხედველობაში და ახლა შევეცდები, ეს ყველას ავუხსნა — ევროპელები, ამერიკელები მოგვიწოდებდნენ და

პროცესი ავიდა აპოგეაში, მიაღწია პიკს, და ახლა ვაპირებ მის განკურნებას, ამიტომაც მინდა ჩემს გუნდსაც გავაცნო, რასაც ვაპირებ, გაიგოს მანაც და გაიგოს უმცირესობამაც, რომ მე ეს ძალიან კარგად ვიცოდი, ყველაფერი მოვახერხე და ყველაფერი მივიყვანე გამწვავებამდე და ახლა ვაპირებ პრევენციას. — სააკაშვილის განკურნებას ვაპირებ. მინდა გავფინო ხალიჩა, რომ არც სააკაშვილმა მოიგეხოს კისერი და, მით უმეტეს, საქართველოც არ შეარცხვინოს.“

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილიც აგრესიულად მოითხოვდა უმცირესობის მხრიდან, რომ უნდა შეჩერებულიყო დაჭერები, მომხდარიყო კოჰაბიტაცია, და პოლიტიკურად ამას ითხოვდნენ აშკარად ჩემგანაც. მე არ ვერეოდი და დაავადების მაქსიმალურად გამომჟღავნებაში ამას ვგულისხმობ. მე არ ვერეოდი პოლიტიკურად, თუმცაღა კეკლუცობას არ დავიწყებ, ბერკეტები მქონდა, რომ პოლიტიკურად მომეწოდებინა, ჩვენ შეიძლება გაგვემწვავებინა დაავადება. ხელი არ შევუშალე ამ დაავადების გამწვავებას, რაც უკვე ემჩნევა ჩვენს პრეზიდენტს. აი მოვიდა იქ, სადაც მე მინდოდა ზუსტად და გამოამჟღავნა. ახლა თუ მის გამონათქვამებს გავაანალიზებთ, ყველა დაინახავს და წაიკითხავს, თუმცაღა, საუბედუროდ, საზოგადოებაში ვერავინ ვერ ახერხებს ამ ანალიზის გაკეთებას, ვერც ერთი პოლიტოლოგისა და ექსპერტის ანალიზი ვერ ვნახე, მაგრამ მე შემიძლია ახლა დავალაგო ყველაფერი.

— თქვენი ანალიზი რა არის?

— დიახ, აი მეც ზუსტად აქ ვარ, ზუსტად, მაქსიმალურად ვაჩვენე იმ დაავადების ყველაზე მწვავე ადგილი და პროცესი, რომ ყველასთვის გასაგები იყოს, რა სისტემა ააშენა ამ ხალხმა, და რა სისტემის იდეოლოგი გახლდათ სააკაშვილი. აი, რას აპირებს ეს კაცი და რისთვის აქვს მზაობა — ყველაზე ცუდი, რაც მათ გააკეთეს, არის ის, რაც კონსტიტუციას დამართეს და რა მუხლებიც ჩადეს მასში.

ნახეთ, რა იოლად გადაიტანა და დაივიწყეს საერთაშორისო თანამეგობრობამ, საქართველოს მოსახლეობამაც, პოლიტიკოსებმაც, რაც კონსტიტუციას დამართა ჩემთან დაკავშირებით. ჩემთან დაკავშირებით კონსტიტუციაზე საუბარს პირდაპირ ანგარიშსწორებად ჩათვლიან და ეს არ არის არსებითი. არსებითი და ყველაზე ცუდია, როგორც მოირგო ამ კაცმა კონსტიტუცია და კონსტიტუციაზე დაფუძნებული ის სისტემა, რომლის მსხვერპლიც თვითონაც გახდა და რასაც აპირებს ახლა ამის შემქმნელი კაცი. საკუთარი შექმნილი სისტემა როგორ ამუშავებს და როგორ შეიძლება ტრაგედიამდე მიიყვანოს, უპირველეს ყოვლისა, თვითონ სააკაშვილი.

ამ კაცს ახლა აქვს მზაობა, და აღარ და ვეღარ ფარავს, თუმცა, როგორმე უნდა, რომ შეფუთოს, მაგრამ ამის საშუალებას არ ვაძლევ. და მოვიყვან ამის მაგალითებს.

კონსტიტუციაში ჩადეს, მოახერხეს და დააფიქსირეს ის, რისი მსგავსიც არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში არ არსებობს, ვინც კი არჩევნებს ატარებს. როგორც წესი, ახალარჩეულმა პარლამენტმა უნდა აირჩიოს და დაამტკიცოს ახალი მთავრობა. სააკაშვილმა მოახერხა აბსოლუტურად მართვადი გუნდისაგან და მონაწილეებისგან, რომლებიც მსხვერპლნი გახდნენ ამ დანაშაულებრივი სისტემისა, რომ პირველად კონსტიტუციაში, რომელსაც არჩევნებზე აქვს პრეტენზია, ჩადებულიყო და გატარებულიყო ის, რასაც საზოგადოება საერთოდ არ აქცევს ყურადღებას, არავინაც არ იცის და არ აანალიზებს, და ამით ყელყელაობს დღეს პრეზიდენტი, და ამისივე მსხვერპლი უნდა რომ თავადაც გახდეს.

პრეზიდენტს, რომელმაც წააგო არჩევნები, ჩვენი დამტკიცების მეორე დღიდან უფლება ჰქონდა დაეთხოვა ხელისუფლება ჩემი მეთაურობით, ჩემიდან დაწყებული მთელი ხელისუფლება დაეთხოვა. ამის გაკეთება დღესაც შეუძლია.“

გარდა ამისა, ინტერვიუში ივანიშვილი თვითმმართველობებთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებას და პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ იმის მტკიცებასაც ეხმაურება, რომ აღნიშნული პროცესი „ქართული ოცნებისა“ და პირადად პრემიერ-მინისტრის კოორდინაციით ხდება. ივანიშვილის აზრით, აშკარად ჩანს, რომ სააკაშვილი რაღაცისთვის ემზადება. აშკარად ჩანს, რომ სააკაშვილმა ახალი აგრესია გამოავლინა და აშკარად ჩანს მისი რაღაცისთვის მზადება.

ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა ისიც, რომ უმრავლესობა შესაბამის კანონპროექტს ამზადებს. პრემიერი ეჭვობს, რომ მიხეილ სააკაშვილი მთავრობის გადაყენებისთვის ემზადება, თუმცა, კანონის მოქმედი რედაქციით, პარლამენტის მიერ ახალი მინისტრთა კაბინეტისთვის ნდობის არგამოცხადების შემთხვევაში პრეზიდენტი პარლამენტის დათხოვნას 6 თვის განმავლობაში ვერ შეძლებს. პრემიერი მზადაა, პრეზიდენტს „დაეხმაროს“ და, მთავრობის გადაყენების შემთხვევაში პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობაც მისცეს, საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება, მისი არჩევიდან 6 თვის ნაცვლად, შეესაძლოა 3 თვეში მიეცეს.

მე მაქსიმალურად ვაჩვენე, რა სისტემა ააშენა სააკაშვილმა და რა სისტემის იდეოლოგი იყო ის. მან განაცხადა და შემდეგ ეს ბოკერიამაც გაიმეორა, რომ კრიზისის შექმნა შეუძლიათ, მაგრამ ამას არ აკეთებენ — ე.ი კარგი ბიჭები ვართო. ამის ასე მიჩქმალვა არ მინდოდა და მინდოდა საქმე აქამდე მოსულიყო, რომ ყველას საქართველოშიც და მათ შორის საერთაშორისო საზოგადოებას ენახა, სინამდვილეში რა ხდება. თუ გავაანალიზებთ სააკაშვილის მიერ ბოლო ერთ კვირაში გაკეთებულ გამონათქვამებს, ეს კაცი მზადაა, გადაიხვეწოს თვითონ და ჰგონია, რომ მთელ საქართველოს წაიყვანს, მაგრამ საქართველოს ვერ წაიყვანს. პროცესი ავიდა აპოგეაში, მიაღწია პიკს, და ახლა ვაპირებ მის განკურნებას, ამიტომაც მინდა ჩემს გუნდსაც გავაცნო, რასაც ვაპირებ, გაიგოს მანაც და გაიგოს უმცირესობამაც, რომ მე ეს ძალიან კარგად ვიცოდი, ყველაფერი მოვახერხე და ყველაფერი მივიყვანე გამწვავებამდე და ახლა ვაპირებ პრევენციას. — სააკაშვილის განკურნებას ვაპირებ. მინდა გავფინო ხალიჩა, რომ არც სააკაშვილმა მოიგეხოს კისერი და, მით უმეტეს, საქართველოც არ შეარცხვინოს.“

ბიძინა ივანიშვილის თქმით, სამართლიანობის აღდგენის პროცესი მიდის, მაგრამ ევროპელებსაც და ამერიკელებსაც ასე არ სურდათ.

მათი ნება იყო, ის დაავადება, რაც არსებობდა, მიგვეჩქმალა და დაგვეტოვებინა იქ, სადაც იყო. ამას მოითხოვდნენ ჩემგან გარედანაც და ამას ითხოვს ოპოზიცია დღესაც. გარკვეულ ეტაპამდე ითხოვდნენ, და ახლა წავიდნენ ვა ბანკზე. ეს ვერ მოხერხდა, მე მიჩქმალვაზე არ დავთანხმდი, მათ უნდოდათ, პოლიტიკურად არავის არ შევხებოდით, რამეთუ სააკაშვილს არ გამოეყენებინა ის, რაც ჩადო კონსტიტუციაში. პირიქით, ყველაფერი გავაკეთე, რომ გამწვავებამდე მიმეყვანა,

მან აჩვენა, რომ მზადაა და თანახმაა, გამოიყენოს ყველაზე დიდი დარღვევა და უსამართლობა, რაც ჩადო კონსტიტუციაში. მან დაიტოვა უფლება, დაითხოვოს მთავრობა როცა უნდა, თუნდაც მეორე დღესვე ჩვენი მოწვევიდან, დანიშნოს იგივე მერაბიშვილი ან უგულავა, ახლა არჩევანი მიდის, შეიძლება ახალაიაც გამოუშვას ციხიდან და დანიშნოს ისევ შინაგან საქმეთა მინისტრად. ეს შეუძლია ერთ კაცს, და პარლამენტის დამტკიცებას მნიშვნელობა არ ჰქონია. ეს არის ყველაზე მწვავე, რაც ჩადებულია კონსტიტუციაში.“

მას შეუძლია ახალ პარლამენტს სთხოვოს ახალი მთავრობის დამტკიცება, პარლამენტმა უარი უთხრას, მან მაინც დანიშნოს, თუმცა პარლამენტს ვერ დაითხოვს — 6 თვე ჯერ არ გასულა.

ამ ერთ კაცს კონსტიტუციაში აქვს ჩაწერილი, რაც არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში არ წერია. მას შეუძლია დაითხოვოს აი ამ სისტემით, რომელიც დააფუძნა, ამის მსხვერპლია ზუსტად და ამის გაკეთებისთვის არის მზად, რადგან სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. დაავადების განკურნების სხვა გამოსავალი მან ვერ ნახა, პროცესი ბუნებრივად გაუმწვავდა. მე როგორც პოლიტიკურ ლიდერს, შემეძლო გუნდისთვის მერჩია, რომ მიგვეჩქმალა ეს დაავადება, რასაც უცხოელები, ევროპელები და ამერიკელები მირჩევდნენ. ამის გაკეთება შეგნებულად შემეძლო, მაგრამ არ ვერეოდი და ხელს არ ვუშლიდი პროცესებს“.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, სააკაშვილს აქვს უფლება და ეს არის მთავარი დანაშაული, რომ ახალარჩეული პარლამენტის საწინააღმდეგოდ, 6 თვეც არ შეუძლია დააცადოს, და დაითხოვოს მთავრობა, დანიშნოს, ვინც უნდა და დატოვოს, რამდენიც უნდა. „და აი ეს არის ყველაზე დიდი დანაშაული, იმ სისტემის ნაწილი, რაც მათ შექმნეს, აი ამის გამომჟღავნების საშუალება მივეცი და მაგის მზაობა რომ მაქვს, ნებისმიერ ანალიტიკოსს დავუმტკიცებ და დიდი მტკიცებულებებიც არ სჭირდება“.

— ჩაგეკითხებით. თქვენ ახსენეთ შიდა პოლიტიკური პროცესები. მრჩება შთაბეჭდილება, რომ თქვენ გაქვთ გეგმა. გაქვთ თუ არა გათვლები, როგორ უნდა დასრულდეს ეს გეგმა?

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დაფუძნებული სისტემის სააკაშვილიც...“

– მე ხელს არ ვუშლიდი პროცესების განვითარებას. როგორც პოლიტიკურ ლიდერს, არც პარლამენტის, არც მთავრობის წევრები არასდროს არ მომიწვევია და არ მითხოვია, რომ როგორმე თქვენ ეს შეაჩერეთ, დაავდების მისაჩქმალავად, რომ არ გამომჟღავნდეს ეს ძირითადი დაავადება. სააკაშვილს შეუძლია ხვალვე დაგვითხოვოს, ერთი თვის მერე შეეძლო, ერთი კვირის მერე, მეორე დღესაც შეეძლო დათხოვნა. აი ესაა მთელი პრობლემა, რომ ეს ჩაიდო კონსტიტუციაში.

სააკაშვილი მთავრობის დასათხოვად მზადაა, რადგან სხვა გამოსავალი ვერ ნახა. რაც შეეხება პრევენციას, თუ რას ნიშნავს, პირველ ყოვლისა, ამის შესახებ ვისაუბრებ, მეორე – ჩვენ ვამზადებთ კანონპროექტს (უსუფაშვილმა ის უკვე განიხილა ვიწრო გუნდთან და უმცირესობის ნაწილთანაც, რადგან კონსტიტუციური უმრავლესობა სჭირდება ამის შეცვლას), და მე დავიწყებ ზუსტად ამ ნაწილის შეცვლას, თანაც დავიწყებთ არა პრეზიდენტის საწინააღმდეგოდ, არამედ სასარგებლოდ, რომ მას 3 თვეში შეეძლება პარლამენტის დათხოვნა.

სააკაშვილს მიენიჭება უფლება, თუ არ მოსწონს, დაითხოვოს მთავრობა და გააყოლოს პარლამენტიც, რის მერეც დაინიშნება ახალი არჩევნები. ოღონდ დაინიშნება ისე, როგორც ეს არის ყველა ნორმალურ ქვეყანაში. ელცინის რუსეთსაც კი ვიხსენებ, რომელმაც უფრო ადრეული დემოკრატია დაიწყო რუსეთში და იქაც კანონმდებლობა არ იყო დახვეწილი, იქაც კი, თუ ვინმე გაიხსენებს, როდესაც კრიზისი შეიქმნა და ჩერნომირდინს, რომელსაც პარლამენტის დათხოვნა ჰქონდა გადაწყვეტილი, არ ამტკიცებდნენ პრემიერ-მინისტრად. იქაც, ახალი დემოკრატიის პირობებშიც კი, რუსეთის კონსტიტუციის მიხედვით, არსებულ ხელისუფლებას პრეზიდენტი ვერ შეცვლის. ის უნდა შეცვალოს და დაამტკიცოს ახალმა პარლამენტმა.

თუ უშვებ მთავრობას, ის უნდა გაუშვა მხოლოდ პარლამენტთან ერთად, მაგრამ სანამ არ მოვა ახალი პარლამენტი, ის ვერ დაამტკიცებს მთავრობას“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა და აქვე დასძინა, რომ ამ კაცს შეუძლია 2 თვის შემდგომ დაითხოვოს მთავრობა, დანიშნოს თავისი ძველი მთავრობა, იმის მიუხედავად, რომ პარლამენტი არ დაუმტკიცებს, არა აქვს ამას მნიშვნელობა, მაინც ამტკიცებს და მაინც იფუნქციეროს ამ მთავრობამ. ასეთი ნონსენსი არც ერთ კონსტიტუციაში არსად არ წერიაო.

– რამდენად მზად არის საქართველო ისევ ახალი არჩევნებისთვის?

– აი პრევენცია ზუსტად ესაა. პარლამენტშიც შეგროვდება ხელმოწერები. იმ გუნდშიც, უმცირესობა მაქვს მხედველობაში, ძალიან ბევრი საღი გონების ადამიანია. ამ პროცესებს უკვე ვაკვირდები, და ძალიან ბევრი საღი გონების დეპუტატია, რომელიც ამას ყველაფერს კარგად გაიგებს და ძალიანაც გაუხარდება, თუმცა იქ 10-20 კაცი მაინც ყველაფერზე წამსვლელია. შესაბამისად, პარლამენტში ხვალ-ზეგ დაიწყება პროცესი, და პრევენცია რას ნიშნავს? დაიწყება ხელმოწერები, და ჩვენ ვთავაზობთ უმცირესობას და უმრავლესობას, შევცვალოთ კანონი და ეს მოვიყვანოთ წესრიგში. თანაც პრეზიდენტს ვაძლევთ უფლებას, რაც 6 თვის შემდეგ შეიძლება მან გამოიყენოს, რომ დაითხოვოს მთავრობა და თუ პარლამენტი მას არ დაუმტკიცებს სამი ცდის შემდგომ, დაითხოვოს პარლამენტიც, და ეს უფლება დევს კონსტიტუციაშიც. ჩვენ ამას აქეთ გადმოვწევთ. რაც მე ჩემს განცხადებებში რამდენჯერმე გავაკეთე. ეს მქონდა მხედველობაში. რამდენჯერმე მივანიშნე პრეზიდენტს, რომ როცა უნდა მაშინ გავყვებით. აი ახლა ამის საშუალებას ვაძლევთ კონსტიტუციურად. მაგრამ მოვუხსნით იმ საშუალებას, ყველაზე მწვავე დარღვევას, რაც მან მოახერხა, დანაშაულებრივად მოახერხეს და ჩადეს კონსტიტუციაში, და შექმნეს ეს დანაშაულებრივი სისტემის პიკი.

ახლა ჩვენ ვთავაზობთ ასეთ რამეს – 6 თვის, 3 თვის შემდგომაც შეუძლია მთავრობის დათხოვნა და ამის თაობაზე პარლამენტისადმი მიმართვა. თუ პარლამენტი არ დაუმტკიცებს ახალ მთავრობას, მას შეუძლია პარლამენტის დათხოვნა. მაგრამ ძველი მთავრობა შეასრულებს ახალი პარლამენტის არჩევამდე, რაც ყველასთვის გასაგებია, ვისაც დემოკრატიაზე აქვს პრეტენზია. ძველი მთავრობა შეასრულებს მოვალეობას ახალი პარლამენტის არჩევამდე, და მას 3 თვის შემდგომ ექნება უკვე ახალი პარლამენტის არჩევამდე ამის საშუალება, და ახალმოსული პარლამენტი დაამტკიცებს ახალ მთავრობას.

აი ყველაზე დიდი სიმახინჯე რაც იდო. ის არ ელოდება ახალ პარლამენტს, მას შეუძლია ხვალვე გააკეთოს ეს. აი ამისთვის წვალობს, მაგრამ ვერ შეუფუთავს და წვალობს. ხან ჭორვილიზაციას მოიგონებს, ხან მოიგონებს, რომ სასამართლოს უნგრევენ, ხან მოიგონებს, რომ მას დაცვას ართმევენ. ამერიკის ელჩი მოვიდა ჩემთან, არადა ძალიან წესიერი და პატიოსანი კაცია, და ცდილობს, დაგვეხმაროს, მართლა ვერ გაიგო, თუმცა მე კარგად გავიგე. უკაცრავად ბატონ ნორლანდთან, მაგრამ მასაც არ გავუხსენი ბოლომდე.. ჩემთან მოვიდა ხუთშაბათ საღამოს, ვერ გავიგეო, ამბობს, რომ საერთოდ აღარ მინდა დაცვა, მე ისე გავალ ხალხში, დედაჩემის მანქანითო... ამით როგორც გითხარით, უნდა როგორმე შეფუთოს, რომ მას აზიანებენ და ის იძულებულია, დაითხოვოს მთავრობა, თუმცა ამის გამჟღავნების დიდხანს ეშინოდა. რაც ჩადო კონსტიტუციაში, ამას ცდილობდა. და მე გუნდისთვის უნდა გამეცხადებინა – აი სააკაშვილმა შეიძლება რაღაც უბედურება დაატრიალოს, ამიტომ შეჩერდით და არავის არ შეეხოთ. ამას ცდილობდნენ. მე თავს ვიდებილებდი, ვერ ვხვდებოდი. გუნდის წევრები, ჩემდა საუბედუროდ და სირცხვილად, ვერ ხვდებოდნენ და ბოლომდე აწვებოდნენ, მაგრამ გაგება არ ჰქონდათ და ეს ცოტა სირცხვილია. შეიძლება ვიღაცას ჰქონდათ გაგება და ისინიც ისევე გეგმავდნენ როგორც მე,

ამის შემდგომ მე პოლიტიკურ განცხადებასაც გავაკეთებ. და რას ვეძახი პრევენციას:

გარდა იმისა, რომ პარლამენტში დაიწყება ხელმოწერები, დარწმუნებული ვარ, რომ ორი მესამედის და სამი მეოთხედის პრობლემა არ გვექნება, რამდენადაც იქ ბევრი გონიერია. უმცირესობაში ძალიან ბევრი გონიერი დეპუტატია და მათთვისაც ეს გასაგებია და არავის არ სურს, ამ კაცს გადაყვეს. ეს კაცი თანახმაა დღეს ეს გააკეთოს და, რა თქმა უნდა, ბოლომდე გაიუბედურებს თავს, დაიჩქარებს და მიიღებს კატასტროფას. მართალი გითხრათ, სააკაშვილზე ზრუნვა არ არის ჩემი ძირითადი საგანი, თუმცა არც სააკაშვილის დაღუპვაა ჩემთვის სასიამოვნო და საინტერესო. ქვეყნის იმიჯი შეილახება რაღაც მოკლე დროში, და ამის აღდგენას დასჭირდება დრო, მოხდება კონსტიტუციური კრიზისი, ამის გაცხადების საშუალება მას აქვს ფორმალურად. და ამის გაცხადების საშუალებას ვუსპობ ახლა ჩემი განცხადებით.

მართალი გითხრათ, სააკაშვილზე ზრუნვა არ არის ჩემი ძირითადი საგანი, თუმცა არც სააკაშვილის დაღუპვაა ჩემთვის სასიამოვნო და საინტერესო. ქვეყნის იმიჯი შეილახება რაღაც მოკლე დროში, და ამის აღდგენას დასჭირდება დრო, მოხდება კონსტიტუციური კრიზისი, ამის გაცხადების საშუალება მას აქვს ფორმალურად. და ამის გაცხადების საშუალებას ვუსპობ ახლა ჩემი განცხადებით.

რამდენადაც ყველას ყველაფერი გავუხსენი, პარლამენტშიც ხელმოწერები გროვდება, ჩვენ მას ვთავაზობთ, ექვსი თვეც არ მოიცადოს, ჩვენი არჩევიდან და დამტკიცებიდან 3 თვის შემდგომ მას უკვე საშუალება ექნება, თუ არ მოსწონს ჩვენი გუნდი, გამოიყენოს კონსტიტუციური უფლება, რომელსაც დამატებით ვანიჭებთ ჩვენ, სამი თვის შემდეგ შეუძლია დაითხოვოს მთავრობა და გააყოლოს პარლამენტს. დანიშნოს ახალი არჩევნები, მაგრამ ხალხს უნდა შეეკითხოს.

რა თქმა უნდა, მას არ მოეწონება, რომ საკუთარი დანაშაულებრივი სისტემის გამოყენების საშუალებას არ ვაძლევთ, მაგრამ თვითონაც კარგად გაიგებს, რომ მას აღარ ვაძლევთ საშუალებას მსხვერპლი გახდეს თვითონ პირველ რიგში და მიიღოს ტრაგედია ამ სისტემის გამოყენებით. და პირველი და მთავარი ჩემთვის ისაა, რომ არ შეულახოს იმიჯი ჩვენს ქვეყანას. გარკვეულ დროს, რაღაც პრობლემა იქნება, მაგრამ, რა თქმა უნდა, მარტივი, დასაშლელი, იოლი გამოსასწორებელი იქნება ეს საქართველოს იმიჯისთვის, მაგრამ კატასტროფა იქნება მისთვის და მათთვის, ვინც მათ მხარს დაუჭერს.

გარდა პარლამენტში ხელმოწერებისა, მე მქონდა უსუფაშვილთან საუბარი. მისივე ინიციატივა იყო, რაღაც ამნისტიის მსგავსი მოგვეფიქრებინა ჩვენ, რაც მას მოვუწონე, მაგრამ ფორსირება არ გამიკეთებია.

პატრიარქის აღსაყდრების დღეს ჩვენ ვისაუბრეთ ამ თემებზე და ავუხსენი და ყველაფერი, რასაც ვფიქრობდი, მათ რიცხვში ვთხოვე პროცესის დაჩქარება, რომ სამართლებრივად მოვიძიოთ ამნისტიის ვარიანტი, რომ იმ ხალხს, მათ რიცხვში უმცირესობიდან, ვისაც არ აქვს მძიმე სამართალდარღვევა, როგორიც იყო, ვთქვათ მკვლელობები და ციხის დიდი აგრესია...მაქსიმალურად მოვახერხოთ და შემოვიღოთ ისეთი ამნისტია, მსგავსი რამე კანონი, რომ ამ გუნდის აბსოლუტური უმრავლესობა გავათავისუფლოთ პასუხისმგებლობისგან. მხედველობაში მაქვს ყოფილი ხელისუფლების გუნდი, რომ როგორმე მოვახერხოთ და დავაბალანსოთ და ფსიქოლოგიური ბალანსი აღვადგინოთ ქვეყანაში და მოვახერხოთ ეკონომიკური და სხვა ტიპის ქვეყნის განვითარება, და არა ამ პროცესების მუდმივი მართვა. როგორმე შენყდეს ეს პროცესები. აი ამის მზაობა გამიჩნდა დღეს ბოლომდე და ამის დროც დადგა. იმის შემდგომ, როდესაც ვაჩვენე, რომ ეს კაცი მზად არის, ამაზეც წავიდეს, რომ ყველაფერზეც წამსველელია და მისი გამონათქვამებიდან ეს ძალიან თავისუფლად დგინდება.

უსუფაშვილს ვესაუბრე და პირველი შეხვედრები უკვე გვქონდა, გაგრძელდება კონსულტაციები ორივე გუნდისა უმცირესობისა და უმრავლესობისა, და მე დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი საღად მოაზროვნე უმცირესობიდან იმუშავებს ამინისტიის პროექტზე, რომ პროცესი როგორმე პრევენციის სახით შევაჩეროთ და საზოგადოებაც დაწყნარდება.

– და პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი?...

– აი რა კარგი კითხვა დასვით. ზუსტად რომ იმპიჩმენტი არ მინდოდა და ვერ გაიგებდა ვერავინ. გაუგებარი გახდებოდა, ევროპელები, ამერიკელები ვერ გებულობდნენ. გაუგებარი იქნებოდა ძალიან ბევრისთვის საქართველოშიც. არ გავაკეთეთ ეს. იმპიჩმენტი იქნებოდა მაგათთვის იმ დავადების დატოვება, რომ ეს კაცი შეიძლება დასაჯეს და რატომ დასაჯეს, გაუგებარია. განსაკუთრებით ევროპას და ამერიკას გაუჭირდებოდა, არავითარი იმპიჩმენტი. ჩვენ ახლა კანონმდებლობაში ვცვლით ყველაზე დიდ დარღვევას, რაც კი მათ კონსტიტუციაში ჩადეს, ყველაზე დიდ უმეცრებას, რაც გამოიყენეს ამ სისტემაში, ყველაზე დიდ დარღვევას, პიკს. კონსტიტუციონალისტები, იურისტები ყველანი გეტყვიან ამას, თუმცა საქართველოს საზოგადოებრიობა ვერ აანალიზებს ამას და რაღაც პროცესებს ელოდებიან. აი ეს არის ჩვენი მოუმწიფებლობა, თუ გნებავთ, ამასაც გადავწვდები, რომ პოლიტიკურად ვართ მოუმწიფებლები და არავინ ზუსტ აქცენტებს არ აკეთებს. აი აქ მოვიყვანე ხელოვნურად. არავის ილუზია არ დარჩება. არავითარი იმპიჩმენტი, რა საჭიროა იმპიჩმენტი, ეს პატარა ნაწილი შეიცვლება, ამას სათამაშო აღარ აქვს და ხელად გაჩერდება. სათამაშო ჰქონდა და ამით ყელყელაობდა, რომ აი ის დანაშაულებრივი სისტემა, რაც შექმნა, იმაზე გადახტომას აპირებდა. ვერსად ვეღარ გადახტება და არსად აღარ გადახტება, გარწმუნებთ. ყველაფერი დალაგდება, ჩაწყნარდება. იქ, უმცირესობაში, ძალიან ბევრი ჯანსაღი ხალხია. დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრს გაუხარდება, რადგან მე ძალიან კარგად მესმოდა, ყველა დაძაბული იყო, ყველა რაღაც უბედურებას ელოდებოდა, აი სათქმელი რომ არ დარჩეთ, რომ იქ დემოკრატია იყო, აი აქ მოვიყვანე, ვაჩვენე და ამის შემდგომ საშველსაც მე ვეძებ, რომ გამოვიდეს და დაწყნარდეს საზოგადოება.

– ბაქოში ვიზიტისას მთავარი თემა ყარსი-ახალაქალაქის რკინიგზის მშენებლობა იყო. ამას რამდენიმე კრიტიკული მოსაზრება მოჰყვა საქართველოშიც და აზერბაიჯანშიც. თქვენ თავადაც აღიარეთ, რომ თქვენი მოსაზრება პოლიტიკურად გაუმართავი იყო, ვიზიტის შემდეგ დაგრჩათ თუ არა კითხვები, რომ შეგვიფასოთ ეს ოფიციალური ვიზიტი ბაქოში, რომელიც ევროპის შემდეგ მეორე იყო.

– მე არასდროს კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამისვამს რკინიგზის მშენებლობის საკითხი. გეოპოლიტიკურად ეს ძალიან საინტერესოა, ეკონომიკურად – პირველ ეტაპზე. ახლაც შეიძლია იგივე გავიმეორო. შეიძლება რაღაც კითხვები დარჩეს, მაგრამ ეს კითხვები ძალიან იოლად მოგვარებადი და დარეგულირებადია ჩვენს, ორ პარტნიორს შორის და არავითარ გამწვავებას არ იწვევს. ოპონენტებს გაუჩნდათ სურვილი გამწვავებისა და ამიტომაც ასე დაატრიალეს ეს თემა. თუმცაღა კორექტული ვიყავი ყველა გაცხადებაში და დღესვე შემიძლია ეს გავიმეორო, რომ ეს არის გეოპოლიტიკურად ძალიან კარგი პროექტი, ეკონომიკურად ,საერთო ჯამში, იქნება ძალიან მომგებიანი და საინტერესო პროექტი, პირველ ეტაპზე, კიდევ ვიმეორებ, ამოქმედების პროცესში დასჭირდება დარეგულირება და ის კითხვები, რაც მე ვთქვი, არავის არ ძაბავს, არ იძაბებიან აზერბაიჯანელები, გაგებით მოეკიდნენ და არავითარი კითხვა არ რჩება ამასთან დაკავშირებით.

– გაზის ტარიფზე შეთანხმდით თუ არა აზერბაიჯანულ მხარესთან?

– ტარიფზე აღარ მისაუბრია. თუ გაიხსენებთ პრესკონფერენციას, როდესაც აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა დამისვა შეკითხვა, მე იქ გავეცი პასუხი, რა თქმა უნდა, მადლიერებას გამოვხატავთ აზერაბიჯანის მთავრობის მიმართ, და რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან კარგ ფასად ვღებულობთ, და არ ვაპირებთ- მეთქი გაზის ფასებზე ვაჭრობას.

და აქვე არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა დამოკიდებულებას ორ ქვეყანას შორის და კიდევ დავარწმუნო საქართველოს მოსახლეობა, რომ აზერბაიჯანთან ჩვენ სტრატეგიული ურთიერთობა გვექნება, და არა მარტო მეგობრული. ორი ქვეყნის ურთიერთობა უნდა ავიყვანოთ ისეთ დონეზე, რომ ურთიერთშეთანხმების გარეშე არც ერთი ქმედება არ განვახორციელოთ მეორე ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ. აზერაბიჯანიდან ძალიან დიდი რაოდენობის გაზს გვაწვდიან, არვინ არ გვეკითხება, ვუხდით იმდენს, რამდენსაც მოვიხმართ. ის, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულს ვერ ვხარჯავთ ზაფხულის განმავლობაში, არც იქ არავინ არ გვეკითხება. რამდენსაც ვხარჯავთ, იმდენს ვიხდით. აქაც დამოკიდებულება ჩანს და ერთს მინდა კიდევ ხაზი გავუსვა, – აზერაბიჯანელი ბიზმესმენების საერთო დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ, გარდა ინვესტიციებისა, არსად, არაფერში არ შეიმჩნევა, რომ იმაზე მეტი მოითხოვონ, რაც მათ ეკუთვნით, თუმცა უდიდეს ინვესტიციებს ახორციელებენ. აბსოლუტურად კორექტული დამოკიდებულება აქვთ, აბსოლუტურად კორექტულად ექცევიან ჩვენს სახელმწიფოს, არ ცდილობენ, აიღონ იმაზე მეტი, მე არ მაქვს მხედველობაში მხოლოდ ბიზნესი, იციან, რომ ქვეყანას აქვს საკუთარი კულტურა, საკუთარი საზღვრები, აქვს საკუთარი ტრადიციები. ამას ყველაფერს განუხრელად პატივს სცემენ და ეჭვქვეშ არ აყენებენ, და არავითარი საეჭვო დამოკიდებულება მათი მხრიდან არ იგრძნობა.

„ჩემი განცხადების გამწვავების სურვილი მხოლოდ ოპოზიციას გაუჩნდა ბაქო-ყარსი-ახალქალაქის პროექტთან დაკავშირებით ჩემი კითხვების გამო აზერბაიჯანელები არ იძაბებიან.

ვიზიტი იყო საინტერესო. მადლობა ილჰამ ალიევს ასეთი თბილი მიღებისთვის, იგრძნობოდა პატივისცემა ჩვენი დელეგაციისადმი. აღფრთოვანებული ვარ მისი ნიჭიერებით.. მადლიერებას გამოვხატავთ აზერბაიჯანული მთავრობის მიმართ, რომ კარგ ფასად ვღებულობთ გაზს და არ ვაპირებთ ფასებზე ვივაჭროთ“, – განაცხადა პრემიერმა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ „დროში მოგზაურობა“

კალენდრის ცვლილება

მეიოწურა 2012 და საქართველოს უახლესი ისტორიის ქარტეხილიან ფურცლებზე დიდი ძვრების, ცვლილებების, გაცრუებული თუ ახდენილი ოცნებების წლად დარჩა.

როგორი შესავალია? კარგია ხომ? ისე, რაც მართალია-მართალია, „ჩემი სტილისგან“ ოდნავ განსხვავებულია, მაგრამ თუ დავფიქრდებით და გასულ თორმეტ თვეს თვალს კარგი პიანისტის მიერ შესრულებული გამის სისწრაფით გადავავლებთ, ვიტყვით, რომ ასეთი პათეტიკა ნამდვილად შესაფერისია.

მე მგონი არ ღირს თვეების მიხედვით ჩამოვთვალოთ და განვიხილოთ ის მოვლენები, რომლებიც გასულ წელს საქართველოში მოხდა. არ ღირს, თუნდაც იმიტომ, რომ ყველას ყველაფერი კარგად გვახსოვს და ამ ყველაფერზე ჩვენი აზრიც გვაქვს.

რა თქმა უნდა, ის შეხედულებები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას 2012 წლის მიმართ აქვს, რბილად რომ ვთქვა ორ პოლუსზეა პოლარიზებული და თუ დიდი ნაწილი თვლის, რომ 2012 წელს საქართველომ საკმაოდ შედეგიანი ნაბიჯი გადადგა ნორმალური ქვეყნის მშენებლობის დასაწყებად, მეორე, მცირე ნაწილი „მუხლჩაუხრელად“ ამტკიცებს რომ ქვეყანა ნგრევის რეჟიმში გადავიდა.

პრინციპში 2012 წელს ძალიან ბევრი ისეთი რამ მოხდა, რომლებმაც საკმაოდ დიდი კვალი დამჩნიეს ჩვენს ქვეყანს და პირად ცხოვრებას.

ამ მოვლენებში ყველაზე დიდ „მიღწევად“ კალენდრის ცვლილება შეიძლება ჩაითვალოს.

დიახ, კალენდრის ცვლილება, რადგანაც რაღა დაგიმალოთ და ძველმა და ახალმა ხელისუფლებამ დღემდე არსებული კალენდარი, ფაქტობრივად, შეცვალა. ყოველ შემთხვევაში შეეცადნენ, მაგრამ აქაც ცოტა ლაფსუსი მოუვიდათ. თუ ახალმა ხელისუფლებამ 2013 წელი 1 ოქტომბერს „მოიყვანა“, ძველმა 2004 წელი 30 სექტემბრამდე „გაწელა“.

ბუნებრივია, რომ „დროში მოგზაურობა“ და თანაც ასეთი სისწრაფით გადასვლა გარკვეულ რყევებს იწვევს. ეს ძვრები ძველი ხელისუფლებისა და მათი მომხრეებისთვის პროკურატურაში დაბარებებით გამომჟღავნდა, ხოლო ახალი ხელისუფლების მომხრეებისთვის მცირე იმედგაცრუებაში გამოიხატა.

თუ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებისთვის პროკურატურის კართან დგომა და ნებისმიერი იქაური თანამშრომლისთვის მლიქვნელური ღიმილით ცქერა მაინცადამაინც მოულოდნელი არ ყოფილა (სადღაც გულის სიღრმეში ისინი ნამდვილად ელოდნენ, რომ მათს თავზეც დარეკდა უბედურების ზარი), ახალი ხელისუფლების მომხრეებს იმედები გარკვეულწილად გაუცრუვდათ.

იმ ხალხის გირაოთი გათავისუფლება, რომელთა დანაშაულობები არამც თუ პროკურატურის გამომძიებლებმა, პატარა ბავშვებმაც კი იციან, ამ იმედგაცრუების ერთ-ერთი მცირე რგოლია.

ეს ძალიან კარგად იცის იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, რომელმაც პრესის საშუალებით განმარტა, რომ დაკავებულ ყოფილ ჩინოვნიკებს სააკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ათავისუფლებს, მაგრამ მალე ყველაფერი კარგად იქნებაო (სხვათა შორის თეა წულუკიანზე სოციალურ ქსელ ფეისბუკში ასეთი საინტერესო სტატუსი დაიდო: **— მომეცით მთავრობაში კიდევ ორი თეა წულუკიანი და ერთ წელიწადში ქვეყანას ავაყვავებ!).**

იმედგაცრუების ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლს სახელმწიფო სტრუქტურებში შემორჩენილი ყოფილი ხელისუფლების მეხოტბე-ჩინოვნიკუნებიც იკავებენ.

ყველამ კარგად ვიცით, რომ იმ ხალხის დიდი ნაწილი, რომლებითაც სახელმწიფო დაწესებულებები დაკომპლექტდებოდა, შერჩეული იყო არა პროფესიონალიზმის, არამედ ნაცკოორდინატორისა, თუ ნაცმუშაკის რეკომენდაციის საფუძველზე.

დაკომპლექტების ასეთმა წესმა გამოიწვია ის, რომ მიუხედავად გარეგანი „ბრწყინვალეებისა“, საამშენებლო პროექტები „ნახატის კი არა, ნახატის სახით იყო წარმოდგენილი“. რამაც გამოიწვია ის, რომ ქვეყანა წინსვლის ნაცვლად, უფრო და უფრო ეფლობოდა ეკონომიკური სტაგნაციის ჭაობში.

თუ კარგად დავაკვირდებით, ამ ყველაფრის თავიდათავი ის კანონმდებლობა და ის კონსტიტუციაა, რომელიც თავის თავზე მოირგო კაცმა, რომელიც რატომღაც ჯერ კიდევ საქართველოს პრეზიდენტად მუშაობს.

ის და მისი „გუნდის“ წევრები ვითომდა მანიპულირებენ საკონსტიტუციო უფლებით, რომელიც პრეზიდენტს მთავრობის დათხოვნის უფლებას აძლევს და აპრილში ვითომდა რევანშისთვის ემზადებიან.

ამ მართლაც ძალიან საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა: **„პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც არჩევნები წააგო, შეუძლია, დაითხოვოს მთავრობა და მათ შორის მეც, შეუძლია, ეს დღესაც გააკეთოს. ოდესღაც მან გააკეთა ასეთი განცხადება და მგონი გიგა ბოკერიამაც, რომ ჩვენ შეგვიძლია კრიზისი შევქმნათ, მაგრამ ამას არ გავაკეთებთო, ე.ი. კარგი ბიჭები ვართო.... ყველასთვის ყველაფერი გასაგები იქნება, რომ ეს კაცი მზად არის, გადაიხვეწოს თვითონ და ჰგონია, საქართველოსაც წაიყვანს, მაგრამ საქართველოს ვერ წაიყვანს. აქაც ბოლომდე არ იცის, რა ხდება. მგონია დაავადებამ პიკს მიაღწია და ახლა მე მისი პრევენცია უნდა მოვახდინო... ყველაფერი გავაკეთე და მივიყვანე გამწვავებამდე და ახლა მინდა, პრევენცია — გავფინო ხალიჩა, რომ არც სააკაშვილმა მოიტეხოს კისერი, და მით უმეტეს, საქართველო არ შეარცხვინოს. ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა მიდის, მაგრამ მათ ასე არ სურდათ, ასე არ სურდათ ევროპელებსა და ამერიკელებსაც. მათი ნება იყო, რომ ის დაავადება, რაც არსებობდა, უნდა მიგეჩქმალა და დაგვეტოვებინა იქ, სადაც იყო. ამას მოითხოვდნენ ჩემგან გარედანაც და ამას ითხოვდა ოპოზიცია გარკვეულ ეტაპამდე და ახლა კი წავიდნენ ვაბანკზე. მე ამაზე არ დავთანხმდი და პირიქით, ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ მიმეყვანა პროცესი გამწვავებამდე და ამ კაცმა აჩვენა, რომ მზადაა და თანახმაა, გამოიყენოს ის ყველაზე დიდი დარღვევა, რაც მან ჩადო კონსტიტუციაში. პრინციპში მე კი არ გავამწვავე, არამედ თვითონ გაამწვავა“.**

ბუნებრივია, სოციალური ქსელიც არ დარჩა შესაბამისი კომენტარების გარეშე.

„დღეს საბოლოოდ დავრწმუნდი ამ **виришвил маимунебс** ვერანაირი ცივილური გზით ვერ ჩაანწყვეტინებ ხმას. არჩევნები არა ისა — კომბლებით და პანჩურებით უნდა შევყაროთ ციხეში... ეხლა არ დამიწყოთ ზოგ-ზოგიერთმა ზეჰუმანურმა და კანონმორჩილმა: მსოფლიო რას იტყვის? საერთაშორისო ორგანიზაციებს როგორ შევხედოთ თვალებში მერე? ვაიმეე, „ვაშინგტონ პოსტი“ რას დაწერს და ა.შ ....

ბოდიში მომითხოვია და ყველამ თავის მამიდას მიხედოს. ეს ავადმყოფი თავის მეტასტაზებიანა ამოსაძირკვია თან ისე უნდა მივუჩინოთ ადგილი, რომ მეორედ თავის წამოყოფა ველარ გაბედონ!“.

როგორც ვხედავთ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და ამ სხვადასხვაობისთვის ე.წ. დასავლური (ანუ ე.წ. ცივილური) „მაკიაჟის“ მოსარგებად და მოსახლეობის კიდევ უფრო დასაბნევად, საპარლამენტო უმცირესობამ და მათთან ასოცირებულმა ე.წ. „სამოქალაქო სექტორის“ წარმომადგენლებმა სიტყვა „კოჰაბიტაცია“ მოიგონეს. მოიგონეს და მთელი ქვეყანა კოჰაბიტაციის რეჟიმში ჩააყენეს.

სწორედ ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2012 წლის ერთ-ერთ „უდიდეს მონაპოვრად“ და დასავლეთთან ინტეგრაციის გზაზე გადადგმულ ნაბიჯად სიტყვა „კოჰაბიტაცია“ და მისი ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვა ჩავთვალოთ.

ბუნებრივია, ამ სიტყვის შემოღებას სხვადასხვა სახის გამოხმაურება მოჰყვა, როგორც პრესაში და სოციალურ ქსელებში, ასევე ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და, თქვენ წარმოიდგინეთ, საძინებლებშიც კი.

მიუხედავად იმისა, რომ „ყოფილები“ წამდაუწუმ გაჰკივიან, „კოჰაბიტაცია“ ირღვევაო, ფეისბუკზე დადებულ ერთ სტატუსს გაგაცნობთ, რომლითაც ზუსტად არის ნათქვამი მათი დამოკიდებულება საპარლამენტო უმრავლესობის, ახალი მთავრობისა და მოსახლეობის იმ ნაწილის მიმართ, რომლებმაც პირველ ოქტომბერს არჩევანი ნაციონალების საწინააღმდეგოდ გააკეთეს.

„ტიპმა 1 თვე ვერ გაძლო კოჰაბიტაციობანა ეთამაშა. შინაგანი ჭინთვები ჰქონდა, ჩვეული ტერმინოლოგიით რომ ვერ ილანძღებოდა. ახლა ერთიანად გააანალიზა რამდენ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა (ტერიტორიების დაკარგვაზე, მკვლელობებზე, ელიტარული კორუფციის უამრავ ფაქტზე, სახელმწიფო ქონების მითვისებაზე, დამნაშავე მაღალჩინოსნების მფარველობაზე, ბიუჯეტის გამოხვრაზე...ი ტაკ დალე) და ამოხეთქა გაჭედილი კანალიზაციასავით“.

2012 წელს მომხდარი მოვლენების სრული ჩამონათვალი და მათი ანალიზი ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ შეუძლებელია, გვერდი ავუაროთ იმ დიდ „მოლოდინს“, რომელიც ასტეროიდ ნაბირუს სახით უნდა „სტუმრებოდა“ დედამიწას.

ის გულარხეინობა, რომელიც ქართველებმა დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებით გამოვიჩინეთ, ყოფილი ხელისუფლების ერთ-ერთ „დამსახურებად“ შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ყოფილმა ჩინოსნებმა, ისე მიგვაჩვიეს ყოველგვარ უბედურებას, რომ ასტეროიდი არაფრად მიგვაჩნია.

ფეისბუკში კი 22 დეკემბერს ერთი ძალიან საინტერესო სტატუსი გაჩნდა: **— ხომ მაგრად მოგატყუეთ — მაიას ტომი.**

ამ მხიარულ ნოტაზე დავამთავრებ საახალწლო წერილს.

გილოცავთ 2013 წლის შემობრძანებას და გისურვებთ, რომ ყველა სიკეთის ასრულება, იმ სიკეთეების ასრულება, რომელზეც გვიოცნებია, 2013 წლის პირველივე დღეებიდან დაიწყოს.

მრავალს დაესწარით!

გია გაბრიჭიძე

◎ CFF{FKOKJ ,KBWBYNTHDBET,B

რით დაგამახსოვრათ თავი 2012 წელმა და რას ელით 2013 წლისგან?

მიხეილ მურვანიძე, პენსიონერი:

— აბა, ამას კითხვა უნდა, ბატონო?.. რა თქმა უნდა, საქართველოში ახალი ერის დაწყებით დაგვამახსოვრა თავი გასულმა წელმა და იმედი შეგვმატა იმისა, რომ მთლად დაქცეული არ არის ეს ქვეყანა. რა თქმა უნდა, ძნელია ისეთი, ვითომ, სახელმწიფო მშენებლობა, რომელიც საკუთარმა შვილებმა კუდის რიკამდე გაფცქვნეს და ასე დაახვედრეს 1 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებულ „ქართულ ოცნებას“. მაგრამ, გვჯერა, რომ ყველაფერი თანდათან მოგვარდება, ტარიფიც დაიკლებს, პენსიაც მოიმატებს, ოღონდ, მოთმინება გვმართებს სულსწრაფ ქართველებს... თქვე კაი ხალხო, სამოთახიანი ბინის რემონტს მოვუნდი სამ თვეს და, აბსოლუტურად თავიდან რომაა ასაშენებელი ქვეყანა, ამას ხომ დრო უნდა! მოვითმინოთ, ბიძინა, ჩემი აზრით, ის კაცია, არაფერს რომ არ უმალავს ხალხს. ჰოდა, ამას რა სჯობს. მოგვწყინდა სააკაშვილის „ფოკუსნიკობა“.

ბონდო მიძიაშვილი, პენსიონერი:

— გამართლდა ხალხის მოლოდინი — ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, შეჭამა ქვეყანა მიშამ და მისმა „კამპანიამ“... და მოხდა ის, რაც უნდა მოახდარიყო — გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“ და ჩვენც იმედი ჩაგვესახა.

უცებ, რა გასაკვირია, მეწყინა, პენსიის უფრო მეტად მომატებას ველოდი, მაგრამ რაც არის, ეგ აგის, როგორც გვიჭირდეს, ისე გვიღირდეს... თანდათან ყველაფერი მოგვარდება.

◎ ინფორმაცია

გაფორმდა ელექტროენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმი

„ინტერ რაო ეეს“-ის მმართველმა ბორის კოვალჩუკმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ელექტროენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის განვითარებაზე მემორანდუმი გააფორმეს, — ამის შესახებ „ინტერ რაო ეეს“-ის ვებგვერდზე გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

განცხადების თანახმად, მემორანდუმი 2013 წლის 31 მარტამდე მოქმედებს. დოკუმენტი მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა თვეში 301 კვტ/სთ-ს არ აღემატება, ტარიფის 3,54 ლარით შემცირებას გულისხმობს.

მემორანდუმის თანახმად, „თელასის“ არსებული სამომხმარებლო ტარიფი შუალედური და დროებითი ხასიათისაა და მიმართულია „თელასთან“ მიმართებაში 2013 წლის 31 მარტამდე შეთანხმებული სატარიფო პოლიტიკის ფორმირებისკენ.

მხარეები პირველი კვარტლის განმავლობაში გრძელვადიანი მემორანდუმის გაფორმებაზე შეთანხმდნენ, რომელიც 2025 წლამდე თანამშრომლობის განვითარებას გულისხმობს.

— „გრძელვადიანი ტარიფების დადგენა ელექტროენერგიაზე, შესაძლოა თანაბრად მომგებიანი იყოს „თელასისთვის“ „ინტერ რაო ეეს“-ისთვისა და საქართველოში ელექტროენერგიის მომხმარებლებისთვის, მათ შორის მოსახლეობისთვის. გრძელვადიანი ტარიფების პირობებში შესაძლებლობა გვექნება, მაქსიმალური სიზუსტით და მაღალეფექტურად დაიგეგმოს ინვესტიციების დაბანდება და საოპერაციო საქმიანობა, მომხმარებლები კი შეძლებენ დაგეგმონ თავიანთი სახსრები, რომელიც საჭიროა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადასახდელად. ჩვენ მივესალმებით საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნას, ოპერატიულად და კონსტრუქციულად გადაწყვიტოს ქვეყნის ელექტროენერგეტიკის საკითხები და დარწმუნებული ვართ, რომ ურთიერთთანამშრომლობა ეფექტური აღმოჩნდება, — განაცხადა ბორის კოვალჩუკმა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სააკაშვილი ველარ ამუხრუჭებს...

◎ დღის მთავარი თემა

პოლიტპატიმრებით გაღიზიანებულმა პრეზიდენტმა ამნისტიას ვეტო დაადო, მაგრამ...

პარლამენტის მიერ დამტკიცებულ „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტს „საღ აზრზე“ მყოფმა პრეზიდენტმა ვეტო დაადო. ქვეყნის პირველი პირის მრისხანება კანონპროექტში არსებულმა 24-ე მუხლმა გამოიწვია, რომელიც 190 პოლიტპატიმართან და 25 პოლიტდევნილთან დაკავშირებით, საკანონმდებლო რეგულაციებს განსაზღვრავს. კერძოდ, ამ მუხლის მიხედვით, კანონის დამტკიცებიდან ერთი კვირის ვადაში, 190 პირის მიმართ პოლიტიკური ამნისტია გამოცხადდება და ამავე ვადაში, პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილ პირთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გაუქმება ან მათი სასჯელისაგან გათავისუფლება მოხდება.

მართალია, პრეზიდენტმა პარლამენტის მიმართ პირველი საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებას უმრავლესობა ნოკაუტში არ ჩაუგდია და ხელისუფლებას პირიქით მეორე სუნთქვა გაეხსნა, რადგან უმრავლესობა ვეტოს დაძლევისთვის ემზადება. ოპოზიცია კი, ვეტოს დაძლევის შემთხვევაში, მმართველ გუნდს პასუხისმგებლობას აკისრებს.

როგორც **For.ge**-ს უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერმა გოკა გაბაშვილმა განუცხადა, პრეზიდენტისთვის რუსეთის ჯაშუშების ციხიდან გამოშვება წარმოუდგენელია, რის გამოც, კანონპროექტზე ვეტოს დადება ლოგიკურია.

„ბუნებრივი იყო, რომ ამ კანონპროექტს, პრეზიდენტი ვეტოს დაადებდა. მას ზოგადად ამნისტიის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. ის ამნისტიას როგორც ჰუმანურ აქტს ეთანხმება, მაგრამ ძალიან პოლიტიზებული თემა ე.წ. პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების საკითხია და პრეზიდენტი თავისი ხელმოწერით იმას არ დაადასტურებდა, რომ საქართველოში პოლიტდევნილები და პოლიტპატიმრები არიან. ამასთან, რუსეთის ჯაშუშების გამოშვება პრეზიდენტისთვის წარმოუდგენელია. რუსეთშიც არიან დაკავებული ადამიანები, რომელთაც ქართულ მხარესთან თანამშრომლობაში ბრალი ედებათ და მაშინ, გაცვლაზე გვესაუბრა“, — აცხადებს დეპუტატი.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც, პრეზიდენტისა და მისი გუნდის განცხადებების პათოსი იდენტურია, მაგრამ პრეზიდენტი განსაკუთრებულ აქცენტს პოლიტპატიმრების თემაზე აკეთებს.

„ამნისტიის კანონს საღ აზრზე ხელს არ მოვაწერ. ამით თავს ვის ვაწონებთ? ეს განცხადება, თუ ვინმემ სერიოზულად მიიღო, რომ ქვეყანაში 200 პოლიტპატიმარი გვყავს, გამოდის, რომ აფრიკის 70-იანი წლების ქვეყანა ვყოფილვართ. თუ პარლამენტი ამნისტიის კანონზე ვეტოს დაძლევს, მაშინ პასუხისმგებლობაც უნდა აიღოს, რომ საქართველოს თავს ჭრის. მინდა, კონკრეტულ ხალხზე ვისაუბრო, რომლებიც პარლამენტმა პოლიტპატიმრებად აღიარა. ბატონი გეგორქიანის მიცემული ნაკოლით, ფოთში უამრავი ადამიანი მოგვიკლეს. საუბარია „ენვერის“ საქმეზე და ის გარეთ გადის. იყო ასევე უწყინარი მკვლევარი მაისაია, რომელიც 2008 წელს, ჩვენი ოპერატორის გვერდით თავდაცვაში იჯდა და რუსეთს, ჩვენი ნაწილების გადაადგილების სქემებს გადასცემდა. ახლა მაისაია გარეთ გადის. სახელმწიფო გადამტრიალებლები — მუხროვანის ამბოხის მონაწილეები გარეთ გადიან“, — განაცხადა პრეზიდენტმა სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე.

უნდა ითქვას, რომ საპარლამენტო უმრავლესობა საგანგაშოს ვერაფერს ხედავს.

როგორც **For.ge**-ს უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა თინათინ ხიდაშელმა განუცხადა, პრეზიდენტი პროექტს ვეტოს რომ დაადებდა, ეს ნათელი და ახსნადია, თუმცა, ეს ირიბად იმის აღიარებას ნიშნავს, რომ ქვეყანაში პოლიტპატიმრები არიან.

„საგანგაშო არაფერია და მთავარია, რომ ხვალინდელ სხდომაზე ეს ვეტო გადავძალოთ. იმედი მაქვს, რომ უმცირესობაშიც აღმოჩნდებიან ის ადამიანები, რომელთაც ჰუმანიზმის ელემენტარული პრინციპები ამოძრავებთ“, — დასძინა კანონმდებელმა.

„ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტის ავტორი ეკა ბესელია კი იმაზე აკეთებს აქცენტს, რომ უმრავლესობა ვეტოს დაძლევისთვის მზად არის.

„პრეზიდენტს იმის აღიარება არ უნდა, რომ პოლიტპატიმრები და პოლიტდევნილები ჰყავს და გააფთრებით იბრძვის, რომ ისინი ციხიდან არ გამოვიდნენ. კანონპროექტში პედოფილიის მსგავსი სახელწოდებით მუხლები არ არსებობს და ეს სააკაშვილის მიერ მოგონილი ტყუილია. ამნისტიის პროექტში არ წერია გვარები, მაგრამ პროექტი პოლიტპატიმრების გათავისუფლებას ითვალისწინებს. მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება არ უნდა, მაგრამ ამ ადამიანებს, პარლამენტის მიერ სტატუსები მიენიჭათ და მათი ციხეში დატოვება არ შეიძლება, რადგან ამით ევროსაბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებაც დავარღვევთ“, — განუცხადა **For.ge**-ს ბესელიამ.

როგორც **For.ge**-ს უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა მიხეილ მაჭავარიანმა განუცხადა, ოპოზიცია ამნისტიის მომხრეა, მაგრამ ამნისტიის პროექტი პოლიტპატიმრების თემამ გაართულა.

„ძალიან სამწუხაროა, რომ კანონპროექტში დადგენილებაც შეიტანეს. უმრავლესობასთან ერთად გამოსავალს თუ მოვძებნით, კარგი იქნება, რადგან განწყობა გვაქვს, რომ ციხიდან ადამიანები გამოვიდნენ, მაგრამ პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით, პოლიტიკური თამაში არ უნდა იყოს. სიაში იმ ადამიანების ყოფნას არ მივესალმებით, რომლებიც ჯაშუშობდნენ, რადგან ეს პირები, საშიშნი არიან“, — აცხადებს დეპუტატი.

აღსანიშნავია, რომ უმრავლესობას პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის შანსი და პერსპექტივა გააჩნია. თუმცა, მათ ამ საქმეში ე.წ. დამოუკიდებელ მაჟორიტართა ფრაქციის დახმარება სჭირდება. კერძოდ, კონსტიტუციის თანახმად, თუ პარლამენტი კანონპროექტთან დაკავშირებით პრეზიდენტის შენიშვნებს არ მიიღებს, კენჭი კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას ეყრება. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივი თუ ორგანული კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედი დაუჭერს. მოცემული მომენტისთვის კი, პარლამენტის სიითი შემადგენლობა 147 დეპუტატით განისაზღვრება (ნაძალადევის, სამტრედიისა და ბაღდათის მაჟორიტარული მანდატები მომავალ შუალედურ არჩევნებამდე ვაკანტურია). აქედან 83 პარლამენტარი უმრავლესობის წევრია. ამასთან, პარლამენტში მოქმედებს „ნაციონალური მოძრაობიდან“ წასული „უპარტიო, დამოუკიდებელ მაჟორიტართა“ ექვსკაციანი ფრაქცია და ორი დამოუკიდებელი მაჟორიტარი. შესაბამისად, მათი მხარდაჭერისა და კენჭისყრაზე უმრავლესობის უკლებლივ ყველა წარმომადგენლის მობილიზების შემთხვევაში, „ქართულ ოცნებას“ 91 ხმა ექნება, პრეზიდენტის ვეტოს დასძლევისთვის კი, 89 კანონმდებლის ხმა იქნება საჭირო.

რაც შეეხება პოლიტპატიმრებსა და პოლიტდევნილებს, ერთთვიანი კამათის, დაპირისპირებებისა და ბრალდებების შემდეგ, ცოტა ხნის წინათ, პარლამენტმა დადგენილება დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც, 190 პირს პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა, ხოლო 25 ადამიანს — პოლიტდევნილის. ამ პირებთან დაკავშირებით, კი „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტში 24-ე მუხლი ჩაიდო, რომელიც კანონის მიღებიდან ერთი კვირის ვადაში ამოქმედდება. ზოგადად კი, ამნისტიით, დაახლოებით 3 ათასი ადამიანი პატიმრობიდან გათავისუფლდება, დაახლოებით 1 500 პირს სასჯელი გაუნახევრდება, ხოლო დაახლოებით 16 ათას მსჯავდებულს სასჯელი 1/4-ით შეუმცირდება. ამნისტია მხოლოდ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს არ ეხებათ, თუმცა, შესაძლოა, მომავალში მათი საქმეების გადახედვაც მოხდეს.

თეონა მანაგაძე

◎ საახალწლო ბლიცინტერვიუები

რით დაგამახსოვრათ თავი 2012 წელმა და რას ელით 2013 წლისგან?

ოთარ კანდელაკი, ეკონომისტი, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პედაგოგი:

— 2012 წელი პირადად ჩემთვის იმითაა აღსანიშნავი, რომ ქვეყანაში პირველად ამდენი ხნის მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტი იმდენადაა გამჭვირვალე, რომ მისი გაგება მარტო ამ დარგში მომუშავე კაცს კი არა, რიგით მოქალაქესაც სავსებით შეუძლია, რომელსაც სპეციალური განათლება არა აქვს. ასეთ ბიუჯეტს ქვეყნის მომავლისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან რეალური განვითარებისა და წინსვლისათვის სათანადო ბაზას ქმნის. იმედი მაქვს, რომ ხელისუფლებაში მოსულ ახალ ძალასთან ოპოზიცია კონსტრუქციულად შეძლებს თანამშრომლობას, საკუთარ თავში საიმისო ძალას მონახავს, რომ პირადული წყენა, გარკვეული ამბიცია გვერდზე გადადოს და ქვეყნის კეთილდღეობისთვის გაისარჯოს.

გიორგი ლაშხი, მშენებელი ინჟინერი:

— ყველაზე მეტად ორმა რამემ გამახარა წლეულს: პირველი, რა თქმა უნდა, ის იყო, რომ საპარლამენტო არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა და ხელისუფლების გადაცემა ქვეყნის ისტორიაში პირველად მშვიდობიანად, ყოველგვარი თოფის სროლისა და ნერვების დაძაბვის გარეშე მოხდა, რაც, ვფიქრობ, მომავალზე პოზიტიურად იმოქმედებს და მავანს „ქუჩის ბიჭივით“ მოქცევის ხალისს დაუკარგავს.

მეორე სიხარული კი ისაა, რომ დიდი ხნის უნახავი შვილიშვილი მესტუმრა გერანიიდან, გამიცისკროვნა დამდეგი წლის მოლოდინი. ჩემი ქალიშვილი და სიძე დიდი ხანია საზღვარგარეთ მუშაობენ, ორივე თავთავისი პროფესიით, ამდენად ორთავეს სავსებით ნორმალური გასამრჯელო აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთხმად გაიძახიან: კარგია, ბატონო, გერმანია, მაგრამ სამშობლოში გვინდა დაბრუნება, ყველანი გვენატრებით, იმის მესამედი ხელფასიც რომ გვქონდეს საქართველოში, მაინც გვირჩევნია, მაგრამ სადაა ასე... ამიტომაც ვისურვებდი, რომ გაისად არა მარტო ჩემი სისხლი და ხორცი დამიბრუნდეს სამშობლოში, არამედ ყველა ოჯახს დაუბრუნდნენ უცხოეთში საშოვარზე წასული ახლობლები.

ელზა ბაძრაძე, ლინგვისტი:

— ბუნებით ფატალისტი არა ვარ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, 21 დეკემბერს — მაიას ტომის წინასწარმეტყველების ახდენას, გულის კანკალით ველოდი, თუმცა კი ახლობლები სულ დამცინოდნენ ჩემი შიშის გამო. როგორც იქნა, ჩაიარა ამ დღემ მშვიდობიანად და ახლა გუნებაში მეც მეცინება საკუთარ შიშებზე, მაგრამ მაშინ კი ვინერვიულე. მომავლისგან კი უკეთესობას ველი, ჩემი ქვეყნის აყვავება და წინსვლა მინდა, რასაც მუხლჩაუხრელი შრომა უნდა, ამიტომ ძალღონე არავინ უნდა დაიშუროს და ყველაფერს გონივრულად მიუდგეს.

◎ ინფორმაცია

აკი დაცვა არ მჭირდებაო

პრეზიდენტს ვეუბნებით, დაიტოვე რაც გჭირდება დასაცავად, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილის განცხადება, რომ ის მზადაა დაცვის გარეშე და დედის მანქანით იაროს, მხოლოდ პიარული ნაბიჯია.

— ეს იყო პიარული ნაბიჯი, რომ გარესამყაროსგან გამოეწვია სენტიმენტები, რომ ის იჩაგრება და ამიტომაა იძულებული, მთავრობა დაითხოვოს. მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება და პრეზიდენტს ვეუბნებით, დაიტოვე რაც გჭირდება დასაცავად. დაიტოვე საკუთარ დაქვემდებარებაში, ადმინისტრაციაში და კანონპროექტში შევა სათანადო ცვლილებები. პარლამენტში შემოსული იყო გარკვეული კანონპროექტები პრეზიდენტის კომპეტენციიდან მთავრობაში გადასასვლელად — პრეზიდენტს ვეუბნებით, დაიტოვე ეგ საკითხები, არ გვჭირდება ზედმეტი უფლებამოსილება ჩვენი კომპეტენციების განსახორციელებლად, — განაცხადა უსუფაშვილმა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მიშა, ერთხელ მაინც მოიქეცი კაცურად!

არადა დრო იყო, უჩემოდ ბრიფინგებს არ იწყებდი თბილისის საკრებულოში – ერთ-ერთ პირველს მე მირეკავდა შენი მაშინდელი პრესმდივანი, პირმშვენიერი მარიკა ვერულაშვილი...

ყველაფერი კი 2002 წლის თებერვალში დაიწყო, როდესაც ერთ საღამოს ჩემს მობილურში მოულოდნელად გაისმა – ბატონი დავითი ბრძანდებით? მე ნაცმოძრაობის გენერალური მდივანი გიორგი არველაძე ვარ, ბატონ მიხეილს თქვენი გაცნობა სურს“. და ჩვენი პირველი შეხვედრაც შედგა ვუკოლ ბერიძის ქუჩაზე მდებარე ნაცმოძრაობის ჯერ კიდევ მოკრძალებულ ოფისში. სადაც მე, შენ, ვანო მერაბიშვილი და გენსეკი გვიან ღამემდე შევრჩით ფინჯან ყავა და სირჩა კონიაკთან ერთად გულითად საუბარს. იქამდე გვიანამდე, რომ როდესაც წასვლა დავაპირე, მეტრო იკეტება-მეთქი, არ გამიშვი და ნაშუაღამევს საკუთარი მანქანით გამამგზავრე. თავად კი, როგორც გზაში „დაანწიე“ მობილურით პირად მძღოლსა და იმავდროულად „ტელოხრანიწელს“, თურმე ფეხით გაჰყოლიხარ რუსთაველის გამზირს – მაშინ, იუსტიციის მინისტრობიდან ოპოზიციაში ახლად გადაბარგებულ მიშიკოს, ვისაც შევარდნაძის სტაგნაციით გაბეზრებული ხალხი იმედით შემოგყურებდა, მართლაც შეგეძლო, ჯერ კიდევ შეგეძლო რუსთაველზე მარტოდმარტოს უსაფრთხოდ სეირნობა.

ვაჰ, ეს რა უბრალო და თავმდაბალი ბიჭი ყოფილა-მეთქი, გულუბრყვილოდ გავიფიქრე და შენს ნაჩუქარ წიგნზე – „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის“ – მიძღვნას – „დათოს! დიდი პატივისცემით და თანამშრომლობის სურვილით“ კიდევ ერთხელ ჩავხედე სიამოვნებით. აბა, მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ სულ მალე დადგებოდა ჟამი, როდესაც შენს ნამდვილ, შეუბრალებელ, ამპარტავნულ სახეს გამოაჩენდი და შენი წიგნის სათაურად, „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოს ამოგდებისთვის“ უფრო უპრიანი იქნებოდა!..

ამიტომ, როგორც „გუშინ“, ათას სხვა სისულელესთან ერთად ისიც დაიქადნე, აღარც „ახრანა“ მინდა და არც „ტარტალიოტ-სამალიოტები“, ფეხით შემოვივლი მთელს ქვეყანასო, ამის გაკეთებას ნაღდად არ გირჩევთ შენც და შენს დამპალ გარემოცვასაც – ისე შეაზიზღეთ თავი სოფელ-ქვეყანას ამ 9 წლის მანძილზე, რომ საზოგადოებაში კი არა, ფეხთადგილშიც საშიშია თქვენი დაცვის გარეშე სიარული...

თუმცა მოდი ისევ იმ ჩემი და, სამწუხაროდ, არა მხოლოდ ჩემი, არამედ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის გულუბრყვილო იმედების დროში, ე.წ. ვარდების რევოლუციის წინარე საქართველოში დავბრუნდეთ:

იმჟამად გაზეთ „რეზონანსში“ ვმუშაობდი და შენს გაცნობამდეც, სწორედ რომ ნაციონალების თემას ვქაჩავდი. შენი გაცნობის შემდეგ ხომ, საერთოდ, იმ დოზით „ვთოხლე“ შენი კაიკაცობა, მთვარეზე მანდარინის პლანტაციების გაშენებაზედაც რომ მეწერა, იქაც ვახერხებდი შენი სახელის დადებით კონტექსტში ხსენებას.

ამიტომ ჩვენი „თანამშრომლობა“, რისი სურვილიც გაცნობისთანავე გამიმხილე და ავტოგრაფითაც დამიდასტურე, სულ უფრო მასშტაბური და შინაარსიანი ხდებოდა. გახსოვს, ალბათ, მაშინ, რომ იტყვიან „კუჭი აშლილი გქონდა“ გლდანის ლიფტებისა და სახურავების შეკეთებაზე და ამ პიარაქციებზეც კარლსონივით დაგყვებოდი. სხვათა შორის ელდარ კვერნაძეც მაშინ გავიცანი, რომლის სამშენებლო ფირმას უკვეთავდი ამ სამუშაოებს და ელდარ ბატონი, რომელიც მოგვიანებით შენი პარლამენტის „ინტელექტუალური სახე“ გახდა, ჯერ კიდევ მაშინ „შავი დედალივით კეთდებოდა“!

ერთი მე ვიყავი რა „იდეინნი ბორეცი“ და ამიტომ მუქთად ვწერდი შენი და შენი პარტიისთვის სასარგებლო სტატიებსა თუ ინტერვიუებს. ანუ იმ საქმეს, რისთვისაც, როგორც მოგვიანებით შევიტყვე, თურმე გულუხვად უხდიდით სოროსის ყულაბიდან სხვა ჩემს „კოლეგა-ჟურნალისტებს“...

თუმცა არა, ერთი „ცოდვა“ მაინც მიმიძღვის, როდესაც „საქართველო შევარდნაძის გარეშე“ დასახელების ერთჯერადი პარტიული გაზეთი გაგიკეთე – გახსოვს მაშინ, მე, შენ და ვანო ვიჯექით შენს კაბინეტში და ვანოს ხუმრობაგაშვებით უთხარი, დღეიდან შენი უფროსი დათოა, არ მოცდეს წვრილმან ამბებზე, წასვლამოსვლა იქნება, სიგარეტი თუ საჭმელ-სასმელი, ანაზღაურებაც მიეციო!

აი, ასე, ჩემო მკითხველებო, იმ ვანოს უფროსიც გახლდით მცირე ხნით, რომელიც ცოტა ხანში ქვეყნის ხერხემალი და ყოვლისშემძლე მინისტრი გახდა, ლამის მთელი თვე ნაცების ოფისში ვაღამებ-ვათენებდი, ვანოს მორთმეული „სუხოი პაიოკიც“ მიმირთმევია და ვანომ მცირე ჰონორარიც გადამიხადა. რაც შეეხება „ცოდვას“, თუ ამ სიტყვას უწინწკლებოდ ვიხმართ, ის მგონია, რომ ნაცების ერთჯერადი გაზეთი იქნებოდა თუ მრავალჯერადი „რეზონანსი“, ყველგან, როგორც აღმოჩნდა, ამ ნაძირალა მიშნაცების პროპაგანდას ვეწეოდი. თუმცა, ამ ცოდვას იმედია, შემინდობს უფალი, რადგანაც იმისი, რასაც ვწერდი, გულწრფელად მჯეროდა – მაშინ არც სოროსის შესახებ ვიცოდი და არც ბევრი ისეთი რამისა, რაც დროზე ამიხელდა თვალებს...

სიტყვამ მოიტანა და თვალების ახელის პროცესი იმთავითვე, ჯერ კიდევ შენი ოპოზიციონერობის დროს მიდიოდა ნელ-ნელა, ჩემო მიშიკო, მაგრამ, როგორც იტყვიან, საკუთარ თავთან გატყდომა მიჭირდა. პირველად გულმა რეჩხი მაშინ მიყო, როდესაც საკრებულოს თავმჯდომარეობა გაინაღდე და მერიიდან ვიდრე მთაწმინდის პანთეონამდე, ილიას საფლავზე პიარსვლა მოაწყვეთ – პროცესიას ფეხით არ გავყოლივარ, რადგან მომავალმა „ხერხემალმა“ თავისი ძველი მერსედესით წასვლა შემომთავაზა და როდესაც პანთეონამდე ავედით, ვანო მანქანიდან არ გადმოვიდა – რაღას უცდი-მეთქი და, მეო კათოლიკე ვარო. ეგ რა შუაშია, ილიას საფლავზე ავდივართ და არა მართლმადიდებლურ წირვაზე-მეთქი, მაგრამ „უძრავ იყო ხერხემალი“ – აბა მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ კონფესიების სხვაობას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ნაცმოძრაობის ნიღაბაფარებული მანქურთი ხლისტები მოდიოდნენ ხელისუფლებაში, უწინარესად სწორედაც რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ამოსაგდებად!

მერე იყო და არანაკლები ენთუზიაზმით ვეხმარებოდი ნაცმოძრაობის კიდევ ერთ „ნათელ სახეს“ – ენაბრგვილ გივია თარგამაძეს, რომელიც საბურთალოს მაჟორიტარად იყრიდა კენჭს ცნობილი მხატვრის და ნაღდი ქალაქელის თემო გოცაძის წინააღმდეგ – ეეე, მიშა, მიშა, რამდენი ღირსეული პიროვნება გახდა მაშინ ჩემი კრიტიკის (და ეს რბილად ნათქვამია) სამიზნე ნაცმანქურთების სასარგებლოდ, რომელთაც ყველას უნდა ბოდიში მოვუხადო – ეს ფოტოც გივი თარგამაძის „გამარჯვების“ დღეს არის გადაღებული, როდესაც სპორტის სასახლის წინ, შევარდნაძის „დარჩენილი დღეების“ ათვლის სტენდი დადგით, არც ეგ გახსოვს მიშა? გახსოვს, მაგრამ მაგისთვის არ გცხელა, რადგანაც 1 ოქტომბერს შენი დარჩენილი დღეების ათვლა დაიწყო ბიძინა ივანიშვილმა და 5 იანვარს, როდესაც შენი სამარცხვინო პრეზიდენტობის ვადა ამოიწურება, ქართველი ხალხი საბოლოოდ დაგიდასტურებს „კოჰაბიტაციას“ – მერე წადი და ჯონ მაკკეინთან იჩივლე ამერიკაში...

კიდევ ერთ „რელიკვიას“ ვინახავ პირად არქივში – საკრებულოში ჩემს სახელზე გამოწერილ მუდმივ საშვს და ამ საშვის რელიკვიურობა იცი რაშია? ეს დოკუმენტი, სადაც გვარ-სახელის გარდა ისიც წერია, რომ მე ნაცმოძრაობის ექსპერტი ვყოფილვარ (!?), პირადად დათა ახალაიამ გადმომცა „ბატონ დავითს“ (ასე მომმართავდა მაშინ ბუნჩულა ბავშვი, რომელიც შენს გამო, სისხლისმსმელ სადისტად იქცა). დიახ შენ გამო მიშა, რადგანაც მახსოვს, პირადად მე შემომჩივლა პარლამენტს მიღმა დარჩენით და „კუდში“ გამწესებით უკმაყოფილო დათამ – დეპუტატობა მერჩივნაო – ეგეც, რომ გაგედეპუტატებინა, როგორც არაერთი, დათასავით „შესტიორკა“, არც პარლამენტი გახდებოდა უარესი და საზოგადოებაც დათას სადისტობას ასცდებოდა!

სიტყვამ მოიტანა, და რა იყო, ბიჭო, პარლამენტი თუ სამინისტროები ლაწირაკი „დედიკოს ბიჭებით“ რომ გაავსე, რომლებმაც „ძველბიჭობა“ თანამდებობებზე დაიწყეს!

რომელი ერთი ჩამოვთვალო შენი ზონდერებიდან – ვასილ სანოძე თუ დავით კეზერაშვილი, იქნებ დავით კირკიტაძე, ზონდერკამანდის შეფი, რომელთა დამსახურება რევოლუციის წინაშე სწორედ ნაც-ზონდერობა იყო და ამისთვის „გაიკრეს“ დეპუტატობა თუ გუბერნატორ-მინისტრობები „ვარდების რევოლუციით“ „გაბრწყინებულ“ საქართველოში?

ერთ-ერთ ასეთ „ძალად ძველიბიჭს“, შენ რომ „ჩვენი დროის გმირი“ უწოდე, რომელიც კომუფლიაჟის ამერიკული ფორმით დადიოდა პარლამენტში, დავით კირკიტაძეს არ ვაპატიე თავხედობა, საკადრისი მივუზღე და არა მხოლოდ შენ გაგემიჯნე საბოლოოდ, ჩემო მიშიკო, არამედ, სამწუხაროდ, საკუთარი მამაც მოვიმდურე კაი ხნით...

ეს ის კირკიტაძეა, რომელმაც 23 ნოემბერს, შევარდნაძის გადადგომით გახარებული ხალხის შემხედვარემ, ცინიკურად წაიქირქილა – მე რა მიხარია ვიცი, „მაყუთი“, კაი მანქანებით „ნაშებში“ გრიალი, „პაესტკები“ პერსპექტიული მომავალი და ა.შ. მაგრამ ამ „გამოქლიავებულებს“ რა უხარიათ, მიშა, მიშას რომ გაჰყვირიანო?..

ეს ამბავი კაი ხნის წინათ გახდა ჩემთვის ცნობილი პარლამენტის შტურმით აღების მონაწილე იმ ორი ბიჭისგან, რომლებიც ამ დროს მის მანქანაში უკანა საღლონში ისხდნენ, „კირკიტას“ ქილიკის ობიექტი ხალხივით ალალად აღტკინებულ-გახარებულები, რის გამოც ვერ აჰყვნენ მხიარულებაში ქვემო ქართლის მომავალ გუბერნატორს და უხერხულად გაჩუმებულან...

აქამდე მათივე უსაფრთხოების გამო ვდუმდი ამაზე. ახლა კი, ჩემო მიხეილ, თუ საჭირო გახდა პირზედაც დავაყენებ ამ ხალხს ქვემო ქართლის გუბერნატორს!

ეს ისე, ლირიკული გადახვევა იმის საცნაურად, თუ იმ თავითვე, როგორი განზრახვებით, რა იდეალებით მოდიოდით მიშნაცები ხელისუფლებაში...

ახლა არის და სულ გარეკე, ისეთ რამეებს როშავ – ჩემს დროს ნარკომანია დავამარცხე, ახლა სადარბაზოებში ისევ ყრია შპრიცები, რადგანაც რუსეთიდან ახალი ნარკოტიკი, „კროკოდილი“ შემოედინებაო!

მართლა ბნელა, მიშიკო? რა ნარკომანია დაამარცხეთ ის, რომ თავად ჰყიდდით და ჰყიდით, დღისით-მზისით, ნარკოტიკებს? აბა ე.წ. მეტადონის და სუბოტექსის „ჩანაცვლების პროგრამები“ რა არის? პროგრამები შენს საყვარელ დასავლეთში, როგორც წესი, უფასოა, ჩვენთან კი, ჯერ ერთდროულად 450 ლარი უნდა შეიტანონ (3 თვის თანხა) და შემდეგ ყოველთვიურად 150 ლარს ახდევინებთ ნარკომან ავადმყოფებს – ბოროტი ენები ამბობენ, რომ ამ სარფიანი ბიზნესის წილებში, შენი ხელისუფლების მაღალჩინოსნები ისხდნენ და სხედან. ალბათ, ამიტომაც არ დაადგა საშველი ნარკომანიის დეკრიმინალიზაციას, რომლის კანონპროექტი გიგი წერეთელს მრავალი წელიწადი, პარლამენტის თაროზე ჰქონდა შემოდებული...

რაც შეეხება „კროკოდილს“ და კიდევ ერთს შეგაშველებ – ე.წ. „ვინტს“, აქ რუსეთი და მით უმეტეს „რუსეთუმე“ ბიძინა ივანიშვილი არაფერ შუაშია. ამ სინთეტიურ ნარკოტიკებს ის ნარკომანები ამზადებენ კუსტარულად, რომლებსაც ზემოთ ხსენებული თანხების გადახდა არ შეუძლიათ და რადგან „კრაკადილის“ თუ ვინტის“ საჭირო ინგრედიენტები თავისუფლად იყიდებოდა და დღესაც იყიდება ნებისმიერ აფთიაქში, ერთგვარი „ალქიმიური“ საამქროები შენს დროსაც მთელი დატვირთვით მუშაობდნენ – ასეა, ქართველები ყველაფერში ნიჭიერი ხალხი ვართ და ქიმიაში ჩვენი ნარკომანების განსწავლულობა, დიმიტრი მენდელეევსაც კი შეშურდებოდა.

ჰოდა, უსახსრობის გამო, გაათმაგებული ტემპებით იკლავენ თავს ეს უბედურები, რადგანაც იმ „ჩანაცვლების თერაპიასთან“, მით უმეტეს „ვინტ-კროკოდილთან“ შედარებით, ე.წ. ტრადიციული (თუ ასე თქმა შეიძლება), გნებავს ბუნებრივი ნარკოტიკები, მართლაც ათჯერ ნაკლებად სასიკვდილოა...

ანდა, შენა ხარ „უშიშიო, ვითარცა უხორცო“, ამას წინათ, რომ წაიტრაბახე, ქუთაისში ქვები რომ დაგაყარეს – მაგათი შემეშინდება, პუტინმა ვერ შემაშინაო?

შენ არა ხარ გორში მიწაზე მგორავი მთავარსარდალი, შენივე დაგებული ასფალტი ცხვირით რომ თხარე და თბილისში ჰალსტუხს ლოღნიდი?

ან ვინღა დაგრჩა, შე საწყალო, სიტყვა, რომ შეგაწიოს, „დიდი მწერალი“ დეფი, რომელსაც წიგნებს თურმე პრეზიდენტის ფონდიდან უფინანსებდი თუ „დიდი ხელოვანები“ აჩიკო გულედანი, ზუმბა, ან ბუბა კიკაბიძე, რომლებსაც იგივე ფონდიდან, ანუ ჩვენი ფულით აჯეჯილებდი?

იქნებ ახალი მემარჯვენეები, რომლებმაც ახლა წამოყვეს თავი და ივანიშვილის დიქტატურაზე დაიწყეს საუბარი? იოზეფ ჰებელსის ერთი ნათქვამი გამახსენდა, რაც მან 1944 წლის ბოლოს, ანუ მაშინ, როდესაც ომის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო, ფიურერის წვეულებიდან დაბრუნებულმა ცოლს მაგდა ჰებელსს უთხრა – ფიურერთან ერთად ან ფერფლიდან აღვდგები, ან ფიურერთან ერთად დავიღუპები, მესამე არ არსებობსო!

ახლებიც ასე არიან, მათი პოლიტიკური რეანიმაცია, მხოლოდ თქვენი, მიშნაცების ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაშია შესაძლებელი. ეს კი შენც კარგად იცი, რომ მიუხედავად შენი ბაქი-ბუქისა, აბსურდია, რადგან გერმანელი ფაშისტების ფიურერისა არ იყოს, ნაცების ფიურერსაც „სიკვდილის ბუზი დაგტრიალებს“ და პოლიტიკური სიკვდილის წინ ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოიქეცი კაცურად – ჯერ ერთი, არ გაბედო და ეს ახალი წელი მაინც აღარ მოგვილოცო (ამ „ბედნიერებას“, მგონი, გადავრჩით, ავღანეთში მიდიხარ, მაგრამ იმ სასიკვდილოდ განწირულმა ბიჭებმა რა დააშავეს?) და მერე, ნაახალწლევს, 5 იანვარს, როდესაც საპრეზიდენტო ვადა გეწურება, საკუთარი ნებით უმტკივნეულოდ გადადექი, თორემ მტკივნეულად გადა-გა-ყე-ნე-ბენ!

ამას მე გეუბნები – ნაციონალური მოძრაობის ექსპერტი...

დავით მხეიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ დრო და ადამიანი

როგორ შევხვდეთ სწორად ახალ, 2013, გველის წელიწადს

გველის წელიწადი ძალაში შედის 2013 წლის 10 თებერვალს და გრძელდება 2014 წლის 31 იანვრამდე.

თავის სვლას ის დაიწყებს აღმოსავლეთიდან და წავა დასავლეთისკენ. მაგრამ მზადება იმ მომენტისთვის, როდესაც გველი თავის უფლებებში შევა, შეიძლება დავიწყოთ უკვე ამჟამად!

არასოდეს ამდენი ხალხი არ ითვალისწინებდა ასტროლოგების რჩევებს, როგორც ახალი წლის დასაწყისში. ყველაზე არცთუ მორწმუნენიც კი კითხულობენ: „რა მოვამზადოთ?“, „რა ჩავიცვათ?“, „როგორ მოვრთოთ სახლი?“.

აი, ამის შესახებ ღირს საუბარი

აღმოსავლეთში გველს ამაოდ როდი ეძახიან „პატარა ურჩხულს“: ყველა გამოვლინებაში მას სიმდიდრე არანაკლებად უყვარს, ვიდრე დიდ ურჩხულს. ამიტომ საახალწლო მასპინძლობა უნდა იყოს ნამდვილად შერჩეული, შეზღუდული — უბრალო და ჩვეულებრივი კერძებით გამასპინძლება არ ღირს. დროული იქნება სხვადასხვა ხარისხის ხორცი (რაც მეტი — მით უკეთესი), თევზი, ფარშირებული კვერცხი.

გამასპინძლება სასურველია მოვახდინოთ ძვირფას ჭურჭელზე (იდეალურია — „ძველი“ ოჯახური. გველი, როგორც ურჩხულიც, დიდ ყურადღებას უთმობს თაობათა შორის კავშირს); ფაიფური, ვერცხლი — ეს სწორედ ის არის, რაც საჭიროა. დაუშვებელია პლასტიკური ან ქაღალდის თეფშები, თუნდაც ისინი იყვნენ სხვადასხვა ფერისა და ბრჭყვიალა.

გართობა გველისთვის

გველი გონიერია, ამიტომ სადღესასწაულო ღამით სასურველია, უპირატესობა მივანიჭოთ ინტელექტუალურ გართობებს. ჭადრაკი, შარადები — სავსებით ნორმალურია. თუ ცეკვა გინდათ — იცეკვეთ ვალსი, ფოქსტროტი, ტანგო; მხიარული ცეკვები, როდესაც შეგიძლია გააკეთო, რაც გინდა, გველს არ უყვარს.

გახსოვდეთ, რომ გველი მეტად სერიოზულია, ამიტომ სადღესასწაულო საღამოსთვის მზადებას მოეკიდეთ პასუხისმგებლობით, რაც ადრე დაიწყებთ მზადებას გველის წელიწადის დაწყებისთვის, მით უფრო წარმატებული იქნება იგი თქვენთვის.

ტანსაცმელი გველის წელიწადთან შესახვედრად

დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ თქვენ თვითონ მოგწონდეთ თქვენი თავი. თქვენი ფიგურა, დიდად იდეალურიც რომ არ იყოს და თქვენ იცით გარეგნობის ზოგიერთი ნაკლოვანება — ეს არ არის საბაბი მწუხარებისთვის. უბრალოდ, გააკეთეთ ყველაფერი, მაქსიმალურად კარგად რომ გამოიყურებოდეთ. გველის წელიწადის შეხვედრისთვის ყველაზე ხელსაყრელი ფერებია — მუქი ლურჯი, მწვანე, ზღვის ტალღის ფერი. უნდა შევარჩიოთ ტანსაცმელი ძვირფასი ქვებისა და ლითონისგან, თუ ასეთები არა გვაქვს — გამოიყენეთ ბუნებრივი მასალები.

საღღესასწაულო ატმოსფერო

მის შექმნაში დაგვეხმარება ტრადიციული საგნებიც (ნაძვის ხე, ნაძვის ტოტები, სანთლები, ფიგურები, რომლებიც გველს წარმოაჩენენ), ასევე ზოგიერთი სპეციფიური ელემენტები: ნიჟარები, ზღვის ვარსკვლავები, მარჯნები. ეს ყოველივე გველს შეახსენებს მის მშობლიურ სტიქიას — წყალს. დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ მაგიდაზე დავდგამთ პატარა შადრევანს, ან შევქმნით დეკორატიულ კომპოზიციას წყალქვეშა თემაზე.

როგორ შევხვდეთ ახალ 2013 წელს?

აღმოსავლური ჰოროსკოპი ამტკიცებს, რომ გველს არ უყვარს ხმაური, ბევრი ხალხი და გვირჩევს შევხვდეთ გველის წელიწადს ოჯახურ წრეში. თუმცა, თავად ჩინელები გველის წელიწადს რეგულარულად ხვდებიან ათასობით სალუტის გაშვებით. ახალ წელს თავს იყრის ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში დიდი ოდენობის ხალხი. ასე რომ, იდღესასწაულეთ გინდათ მჭიდრო ოჯახურ წრეში, გნებავთ, კოოპერატიულად. აი, იმას კი, რომ „არ იყოს არანაირი კონფლიქტი“, უნდა დავუჯეროთ. გველი ვერ იტანს სისულელეებს, ჩხუბსა და მოლაპარაკების უნარის უქონლობას. გასაგებია, რომ შეუძლებელია მოვაწესრიგოთ აბსოლუტურად ყველა კონფლიქტი, მაგრამ შეეცადეთ.

წლის კოსმოსური ელემენტი

წლის კოსმოსური ელემენტი წყალია, გველის ფერი — შავი. ამრიგად, 2013 წლის თილისმაა შავი წყლის გველი. შავი ფერის სიმბოლოა კოსმოსი, პოლარული ღამის ფერი. წყლის გველი — ეს არის ყოვლისგამანადგურებელი წყლის ნაკადის პირველყოფილი სტიქია. ამ წლის სიმბოლო ატარებს რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობას, მაგრამ სათანადო ყურადღების გამოჩენის შემთხვევაში შექმნილ სიტუაციასთან და წარმოქმნილ ქცევასთან, თქვენ შესაძლებლობა გექნებათ კარდინალურად შეცვალოთ სიტუაცია მომგები მიმართულებით.

ახალი წლის დღესასწაულს თან უნდა ახლდეს წყნარი, ნელი მუსიკა, ყველაზე მეტად გამოდგება კლასიკოსების მუსიკალური ნაწარმოებები ანდა მედიტაციური მელოდიები. წყლის გველი შეეჩვია დამალვას, თუმცა, ზოგჯერ მზეზე წოლაც უყვარს. ამიტომ გირჩევთ შეხვდეთ ახალ წელს პატარა წყნარ სათავსოში. გველი — კონსერვატიული ცხოველია, ამიტომ ახალი წლის კლასიკური შეხვედრა საუკეთესო ვარიანტია.

„ვარდების რევოლუციის“ დასასრული

გავიდა სამი თვე მას შემდეგ, რაც საქართველოში პარლამენტის არჩევნები გაიმართა. ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა: ბიძინა ივანიშვილის ახლად არჩეული მთავრობის გადაწყვეტილებამდეც კი — დაზოგონ ელექტროენერგია პრეზიდენტის სასახლეში. მაგრამ ახლა უკვე ერთი რამ არის ცნობილი: ერა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა „ვარდების რევოლუციის“ დროს და რომელიც ოცნებობდა, გადაექცია ღარიბი საბჭოთა რესპუბლიკა დასავლური ტიპის თანამედროვე სახელმწიფოდ თავისი არსითა და ყველაზე რადიკალური მეთოდებით დასრულდა. ამიერიდან საქართველოს მართავს ერთბაშად ორი ადამიანი, თანაც ისინი ერთმანეთს მტრობენ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და ძნელად რომ ასეთი მდგომარეობა შეიცვალოს მომავალი პრეზიდენტის არჩევნებამდე 2013 წლის ოქტომბერში.

მაშ, რა ელის საქართველოს ახლა, როდესაც დასრულდა „ვარდების რევოლუცია“? კონტრრევოლუცია? თუ მაინც ნორმალური განვითარების პერიოდი? სწორედ ამ კითხვების პასუხს ეძებს ჩვენი გაზეთის მიმომხილველი.

„როგორც ცნობილია, სწორედ ამჟამად ახალი მთავრობის რეპუტაცია იმყოფება საფრთხეში: დასავლეთის ქვეყნები, რომლებიც არაერთგზის აფრთხილებდნენ ახალ ხელისუფლებას, არ გამოიყენოს „არჩევითი იუსტიცია“, როგორც ეს მოხდა უკრაინაში იულია ტიმოშენკოს მთავრობასთან დაკავშირებით, სერიოზულად არიან შეშფოთებული, თბილისში ხომ დაიწყო დაპატიმრებები, — გვიამბობს ჟურნალისტი. — დააპატიმრეს არა მხოლოდ ყოფილი თავდაცვის მინისტრი გენერალური შტაბის ხელმძღვანელობასთან ერთად, არამედ მთელი რიგი მაღალი რანგის პოლიციელებიც, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი და ერთ-ერთი სატელევიზიო არხის გენერალური დირექტორი“. დაპატიმრებათა ტალღა მთელს ქვეყანაში არ ცხრება. ამერიკული გამოცემა „დი ვაშინგტონ პოსტი“ როგორღაც აღნიშნავდა კიდეც, რომ ივანიშვილს შეუძლია, არ იჩქაროს ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტთან დაკავშირებით, სანამ საქართველოში გრძელდება ოპოზიციის დევნა.

და სწორედ ამ ფონზე ამჟამინდელმა მთავრობამ მოაწყო კონფერენცია დასავლელი ჟურნალისტებისთვის, რისი მიზანიცაა მის მოქმედებათა გამართლება. როგორც საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი ტკბებოდა საკუთარი დაუსჯელობით. ჩინოვნიკები ასე სისტემატურად არღვევდნენ კანონს, ხელისუფლება დევნიდა მოწინააღმდეგეებს პოლიტიკური მოტივებით, ზოგჯერ მათ რუსეთის ჯაშუშების იარლიყსაც აკრავდა, პოლიციის რეფორმამ იგი ხელისუფლების ძლიერ ინსტრუმენტად გადააქცია, საქართველოს გადატვირთულ ციხეებში იყენებდნენ წამებას, სასამართლოებს პრაქტიკულად არ გამოჰქონდათ გამამართლებელი განაჩენები. რამაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვია მთელი ქართველი ხალხის ზიზღი. ყველაზე მაღალ ფენებში მთელი სერიოზულობითაც კი განიხილავენ შესაძლებლობას — შექმნან სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო კომისია, აღნიშნავს გამოცემა.

„მაგრამ ახალი რევოლუცია, რის შესახებაც ასე ბევრს ლაპარაკობს ამჟამინდელი მთავრობა, სულაც არ სჭირდება საქართველოს, — მიაჩნია პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩეველს რაფაელ გლიუკსმანს. — ქვეყანას სჭირდება ისწავლოს — შეცვალოს ელიტა თავად სახელმწიფოსთვის ზიანის მიუყენებლად“. ეს კი, როგორც აღნიშნავს ფრანგი მრჩეველი, არის უკანასკნელი დონე თამაშში სახელწოდებით „დემოკრატია“, რომელსაც ბევრმა ქვეყანამ თავი ვერ გაართვა.

კრისტიან ეში

Frankfurter Rundschau

დედამიწის ზურგზე

ბრიტანეთის პრემიერმა გააოცა ჟურნალისტები ექსტრემალური გარბენით: „თქვენ რა, პუტინი ხართ?“

დევიდ კემერონი ადრეც მონაწილეობდა საქველმოქმედო რბოლაში, მაგრამ მან ეს პირველად გააკეთა პრემიერ-მინისტრის ჩინში. ის მიხოსავდა ხიდქვეშ და გადადიოდა გაყინულ მდინარეზე, რითაც ბრიტანელმა ჟურნალისტებს ვლადიმერ პუტინი გაახსენა, რომელიც ცურავდა ციმბირის გაყინულ ტბაში. ერთადერთი სხვაობა: კემერონი იყო რიგით ბრიტანელებს შორის, ფინიშზე კი მას ცოლი ხვდებოდა.

* * *

დიდ ბრიტანეთში საიდუმლოება მოუხსნეს 80-იანი წლების დოკუმენტებს — სსრ კავშირის ჯაშუშობის, ციმბირის გაზთან დაკავშირებული დავისა და ბრეჟნევის იუბილეს შესახებ

კანონით დადგენილი საიდუმლოების შენახვის 30 წლის ვადის გასვლის შემდეგ ფართო საზოგადოებას პირველად წარუდგინეს სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტები. ძირითადად, საიდუმლოებამოხსნილი მასალები შეეხება ფონკლენდის ომს დიდ ბრიტანეთსა და არგენტინას შორის. საქაღალდეში, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირს, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მასალებს სადაზვერვო საქმიანობის შესახებ.

* * *

გარდაიცვალა ამერიკელი გენერალი, რომელიც სარდლობდა „ძარიშხალს უდაბნოში“



ერაყის კუვეიტში შეჭრის შემდეგ 1990 წელს ნორმან შვარცკოფი სარდლობდა 700-ათასიან საერთაშორისო კონტინგენტს, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სამხედრო მოსამსახურეები 30-ზე მეტი ქვეყნიდან. ოპერაციის „ქარიშხალი უდაბნოში“ მსვლელობის დროს 1991 წლის იანვარ-თებერვალში ჯარებმა მისი სარდლობით გაათავისუფლეს კუვეიტი ერაყის ოკუპაციისგან.

* * *

არგენტინის ფინანსთა ექსმინისტრს მიუსაჯეს ოთხი წელი კორუფციისთვის

ქალბატონი ფელისა მისელი გადადგა 2007 წელს მას შემდეგ, რაც მისი სახლის სააბაზანოში აღმოაჩინეს ჩანთა დაახლოებით 52 ათასი დოლარის ოდენობით. მაშინ მინისტრი გამოძიებას არწმუნებდა, რომ ფული მის ძმას ეკუთვნოდა, რომელიც სახლის ყიდვას აპირებდა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„სულის გადასხმა“

გურამ ოდიშარია

„ჩანაწერების“ წიგნიდან

„ჩვენ ვცხოვრობთ პოსტკონფლიქტური კონფლიქტების კონფლიქტურ ეპოქაში“ — ეს გურამ ოდიშარიას ერთ-ერთი ჩანაწერია წიგნიდან, რომელიც 1997-2011 წლებში იწერებოდა. „სულის გადასხმა“ სწორედ კონფლიქტებით მოცულ, „დაწყვეტილი ურთიერთობების პლანეტას“ შეეხება და იქ მცხოვრებ ადამიანს, რომლის ფიქრის საგანი ფიზიკური და სულიერი გადარჩენა გამხდარა.

მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, სახალხო დიპლომატიის ეგიდით გამართული მოლაპარაკებები და დიალოგები, არაერთი გულისშემძვრელი ისტორიაა, რომელიც კავკასიას, „ბებერი კონფლიქტის ჩიხს“ უკავშირდება, გურამ ოდიშარიასთვის მიზეზი და საბაბია, ერთხელ კიდევ შეახსენოს მკითხველს, რომ „მომტევებელი კაცი კაცობრიობის მხსნელია“ და რომ „ქვეყნის ზნეობრივი მთლიანობა ბევრად მნიშვნელოვანია ტერიტორიულ მთლიანობაზე“.

ეს ყველაფერი თავმოყრილია „ინტელექტის“ მიერ გამოცემულ მწერლის ჩანაწერებში“, საიდანაც დღეს ჩვენს მკითხველს მხოლოდ რამდენიმეს ვთავაზობთ.

შეცდომის აღიარება ხელმეორედ დაბადებაა.

ლტოლვილი

განა – იძულებით გადადაგილებული პირი, განა – დევნილი, განა – დროებით გადაადგილებული ან კიდევ სხვა, ოფიციალური თუ არაოფიციალური სახელი, არამედ – ლტოლვილი! სახელი, რომლითაც მას იცნობს საზოგადოება და ყოველდღიურ საუბრებში მოიხსენიებს, რომელიც შეერქვა, რომელიც პოპულარულია მისთვის, რომელიც გახდა დამღა, ამოტვიფრული მის სულში და თვალისთვის უჩინარი ბეჭედი – სამუდამოდ ჩარტყმული მისი ცხოვრების უვადო პასპორტში.

ლტოლვილი და მხოლოდ ლტოლვილი! მის სხვა სახელთაგან ზოგი ხელოვნურია, ზოგი ზედმეტად ხელოვნური, ზოგი უნიჭოდ მოკეკლუცე, ზოგიც იურიდიულად მძიმე, დახლართული და ყალბი. ყველა სხვა სახელი ტყუის და მხოლოდ „ლტოლვილი“ არ გღალატობს, ის ისევე რეალურია, როგორც ცხოვრება, ბუნებრივი, როგორც მზე, წვიმა, ვარსკვლავები, და უკვე – მშობლიურიც.

1993 წლის დამლევს, როდესაც ჩემი წიგნი „დევნილთა უღელტეხილი“ დაიბეჭდა, მე ის „დევნილად“ მოვიხსენიე, ის, ანუ იგივე, საკუთარი თავიც, რადგანაც მეც, ამ სტრიქონების ავტორიც, ლტოლვილი ვარ.

„დევნილი“ უფრო მიბლიურია, ძველთუძველესი ჟღერადობის და ის ომი, რომელიც აფხაზეთს დაატყდა თავს, ის სიცოცხლე და ის სიკვდილი, რომელიც აფხაზებმა, ქართველებმა, რუსებმა, სომხებმა, უკრაინელებმა, ესტონელებმა, ბერძნებმა, ებრაელებმა თუ სხვებმა და სხვებმა გადაიტანეს, ის უღელტეხილი, რომელიც გადალახეს ომს გარიდებულებმა და ბევრი სხვა რამ, მიბლიური ტრაგედიების ასოციაციებს ბადებდა და მაშინ ლტოლვილს უფრო „დევნილი“ მიესადაგებოდა. ამის გარდა, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, ვერ გავრკვეულიყავით, ვინ გაგვხადა ბედისწერამ, საიდან მოვდიოდით, საითკენ მივდიოდით და რა გველოდა. მაშინ ლტოლვილს ჯერ არ ეძახდნენ „ლტოლვილს“, არც „დევნილს“ არც „იძულებით გადაადგილებულ პირს!.

ისე, ამდენი წლის შემდეგ დღეს მეშლება – როდესაც რომელიმე სხვა ქალაქიდან თბილისისკენ მივემგზავრები, ხანდახან, უნებურად, მშობლიური ქალაქის სახელს ვამბობ – სოხუმში მივდივარ-მეთქი.

ომის დაწყებიდან დღემდე თითქმის თორმეტი წელია გასული, დამთავრებიდან კი – თითქმის თერთმეტი. ლტოლვილის ცხოვრებაში კი არაფერი შეცვლილა, ის ისეთივე ლტოლვილია, როგორც იყო. არც მის გარშემო შეცვლილა მაინცდამაინც რაიმე – მის ირგვლივ უამრავი არალტოლვილი, მაგრამ ლტოლვილის ფსიქოლოგიით მცხოვრები ადამიანია. ასეც ხდება თურმე – შეიძლება მშობლიურ სახლში ცხოვრობდე, მაგრამ ლტოლვილი იყო.

არიან ადამიანები ლტოლვილები სხვებისთვის.

არიან ადამიანები ლტოლვილები საკუთარი თავისათვის.

ასეა, ურთულეს დროში ვცხოვრობთ, უამრავი რამ გადასაფასებელია და თავიდან საკვლევი, შესასწავლი.

დიახ, ლტოლვილი ლტოლვილად რჩება, მის ცხოვრებაში თითქმის არაფერი შეცვლილა, მაგრამ ლტოლვილი დღეს მაინც ისეთი არ არის, როგორიც ადრე იყო – ის არ არის დღეს ისეთი მარტივი, უწინ რომ წარმოგვედგინა, ის დღეს ვერა და ვერ ეტევა ძველი სტერეოტიპების არტახებში.

ადამიანი ბუნებით ზარმაცია, მას არ სურს გამოწვლილვით ანალიზი, ის აერთიანებს ცნებებს, რათა გაიადვილოს აზროვნება, ამარტივებს არგუმენტებს. თუ ერთ დროს თავისი მსჯელობის რომელიმე თაროზე თავისი რომელიმე ფორმულა ჩამოდო, მერე მას ძალზე იშვიათად გადაადგილებს. ადამიანთა უმრავლესობას შეუძლია მთელი ცხოვრება ძველი ფორმულებით ისაზრდოოს. ეს ადამიანის კომფორტული მდგომარეობაა.

ყველაზე მეტად დღეს ჩვენ, ყველას, შემოქმედებითი ხედვისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარის გაზარმაცება გვჭირს. ამიტომაა, რომ ძალიან ცოტა რამ იცვლება ჩვენ გარშემო, ზარმაცად ბრუნავს ჩვენთვის პლანეტა და დრო ველის მდინარესავით უჩუმრად მიედინება. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, გაიხედავ და აღმოაჩენ, რომ დიდი დრო გასულა, რომ დაბერებულხარ, რომ ცხოვრების საათის ისარი ცაიტნოტის ნიშანს მიუახლოვდა.

მეგობრები

მინახავს ორი ისეთი ადამიანის მეგობრობაც, რომელთაგანაც ერთი მკვლელად იყო დაბადებული, მეორე კი – ადამიანთა სულების გადამრჩენელად.

მარტოხე

რამდენიმე წლის წინათ თურქეთში ერთ-ერთი ქალაქის მესვეურებმა ქალაქის სიახლოვეს მარტოდმარტო მდგარი ხე დააჯილდოვეს, გადასცეს მას დიდი მედალი. დაჯილდოებას უამრავი ადამიანი ესწრებოდა, ცერემონიალს მასმედია აშუქებდა.

საქმე ისაა, რომ იქ, სადაც მარტოხე იდგა, რამდენიმე წლის წინათ უსიერი ტყე შრიალებდა. თურქებმა მედალს, რომლითაც ხე დაჯილდოვეს, დააწერეს – „ეს შენ, ხეო, ერთადერთს, გადარჩენილს: ყინვას, გვალვას, ნაჯახსა და კაცთა უგუნურებას“.

ქავკასია – ბებერი კონფლიქტების ჩიხი

თუ თანამედროვე ბაბილონში კავკასიელები უახლესი წარსულის, დღევანდელი მდგომარეობის ერთად გაანალიზებას, ერთმანეთის პრობლემების გაზიარებას, ერთმანეთის სატკივართა გაგებას შეძლებენ, მაშინ ხვალ ნაბიჯის გადასადგმელად ფეხქვეშ მყარი ნიადაგი გვექნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კავკასია განწირულია გაჭიანურებული, მრავალწლიანი, ქრონიკული ომებისათვის.

როდესაც ხალხებს შორის იზრდება კონფლიქტებში დაღუპულ ადამიანთა საფლავების, გადამწვარი სახლების, ჭამებულთა, უსამართლოდ დასჯილთა რაოდენობა, მაშინ, რა თქმა უნდა, კლებულობს ურთიერთნდობა, პატივისცემა, საერთოდ, მომავლის იმედიც. და ისეთი ფრაზები, როგორიცაა – „მოდით, ბოდიში ვუთხრათ ერთმანეთს, დავივიწყოთ წყენა და დავიწყოთ ახალი ცხოვრება“, – აბსურდული ხდება. სიტუაცია უკვე ასე მარტივად ვერ გადაწყდება.

ბუნებაში არ უნდა ეარსება ამ კონფლიქტებს, მაგრამ, ასე ვთქვათ, ისტორიას არ უყვარს ლირიკა, რაც მოხდა, მოხდა, ეს ფაქტია, ვერსად გავექცევით. მძიმეა დაღვრილი სისხლი. რეალობების მოშუშვას დრო სჭირდება, დრო და იმ ადამიანების ძალისხმევა, რომლებიც ადამიანთა, საზოგადოებების შერიგების ღმერთისაგან დალოცვილი საქმისათვის არიან დაბადებულები.

ჩვენი კონფლიქტები დაბერდნენ, უფრო ზუსტად – გახანგრძლივდა მათი მოწესრიგების პროცესი. ერთ წელში ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ათი წლის ხდება, ყარაბაღისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები კი უკვე ათზე მეტისანი არიან. ისინი მიემატნენ თხუთმეტ, ოც, ოცდაათწლიანი მოუგვარებელი კონფლიქტების ტრაგიკულ რიცხვს. არც ათი, არც ოცი, არც ორმოცდაათი წელი ისტორიისათვის არაფერს წარმოადგენს, მაგრამ ადამიანისთვის უზარმაზარი დროა.

კავკასია ბებერი კონფლიქტების ჩიხი გახდა.

სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი კონფლიქტების ასაკისა, ჩვენ ჯერ კიდევ კარგად ვერ ვხედავთ ვერც სათავეებს კონფლიქტებისა, ვერც ერთმანეთს და ვერც საკუთარ თავს. და ამის მიზეზი მარტო ომის ჯერ კიდევ მხრჩოლავი კვამლი როდია.

ომის მსხვერპლი ხალხები არიან და სწორედ მსხვერპლთა ნებით მოხდება დიდი შერიგება. ეს კი ერთ დროს აუცილებლად იქნება, ჩვენ ერთმანეთს ვერსად გავექცევით. ცხოვრებისეული რეალიები, მომავალი თაობები წერტილს დაუსვამენ გაუგებრობებს. ისინი განსაზღვრავენ ერთმანეთთან, სხვა საზოგადოებებთან, მთელს მსოფლიოსთან ურთიერთობების გზებს.



კონფლიქტებმა რამდენიმე ნაწილად დაყვეს საზოგადოებები, შემდეგ დანაწილაკებულებშიც გაგრძელდა შიდა ფრაგმენტაცია. შექმნილმა სიტუაციამ შექმნა პოლიტიკური მუტანტები – „მანია-გრანდიოზები“, „მასმედიაზავრები“, „მარად მართლები“, „შეწირულები“ და ა.შ. კონფლიქტების სტაგნაცია აზროვნების სტაგნაციამ გამოიწვია. ძველი აზროვნებისა და მიმართულების ლიდერები თანდათანობით შორდებიან თავიანთ საზოგადოებებს. დრო და ვითარება გარდაქმნებს ითხოვს, ახალ ადამიანებს, გამოუყენებელი რესურსების გამოყენებას.

კონფლიქტებმა სერიოზულად დაზიანეს, მაგრამ ვერ გაანადგურეს ადამიანთა, საზოგადოებათა ურთიერთობის კულტურა; უმაღლესი და უდიადესი კულტურათა შორის – მშვიდობის კულტურა, მაგრამ დროებით მისი ადგილი მაინც დაიკავა კონფრონტაციულმა ანტიკულტურამ. პოსტსაბჭოთა ურთიერთობები უძლური გახდა, რომ მოეწესრიგებინა ქაოსი.

„ჩვენ“ საბოლოოდ დაიშალა მრავალ, ზოგჯერ გაურკვეველ – დაუდგენელ „ჩვენ“-ად. ახალი „ჩვენ“ საზოგადოებები დიდი „ჩვენ“-ის გარეშე დამოუკიდებელ ცხოვრებას ეჩვევიან და სწავლობენ.

კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ კაცობრიობის ისტორია ომების, კონფლიქტების ისტორიაა. პოლიტიკას ძირითადად მაინც აქტიური, ხშირად უარყოფითი ენერგიის მქონე ადამიანები ქმნიან, როდესაც ასეთი ადამიანები უფრო მნიშვნელოვანი ხდებიან ქვეყნისთვის, ვიდრე მაღალი კულტურის მატარებლები, მაშინ ქვეყნის საქმე ცუდადაა.

შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როდესაც სხვებთან კი არა, საკუთარ თავთანაც ვერ პოულობ საერთო ენას. ეს ომის მდგომარეობაა ან მდგომარეობაა იმ მშვიდობისა, რომელიც სრულებით არ ჰგავს მშვიდობას, მშვიდობაც არაადამიანური გახდა.

ბევრმა სიტყვამ დაკარგა მნიშვნელობა, აზრმაც. ნდობის ფაქტორმა თავად საზოგადოების შიგნით დაიწყო დაცემა.

ჩვენ უახლესი წარსულიდან გადმოგვეცა ასეთი ტრადიციაც – მასობრივი დახვრეტები, დასჯა, ხალხების გადასახლება. გვასწავლიდნენ, რომ ეს სჭირდება უზენაესი მიზნის მიღწევას. ამართლებდნენ ყოველგვარ დანაშაულს. ეს მასობრივი იდეოლოგიის თვისებაა – ფეხით გათელოს ყოველივე ადამიანური, „მასებად“ მონათლოს ადამიანთა გაერთიანებები, შექმნას „უსასრულო წარმატებების“ ილუზია.

ბრბოდ ქცევის აგრესიულ პროცესს, მასობრივ ფსიქოზს ვერ გაუმკლავდნენ პოლიტიკური დაუნდობლობისა და პოლიტიკური სპეკულაციის მსხვერპლი ადამიანები.

ვსაუბრობთ დიად მიზნებზე, ზეპოლიტიკაზე, გეოპოლიტიკაზე, ეკოკულტურაზე, ადამიანები კი გვავიწყდებიან. ვსაუბრობთ სამართლიანობაზე, უსამართლობაზე, უსასრულო ბრალდებებზე, სახელმწიფოთა პოლიტიკურ მოწყობაზე, ადამიანები კი არ გვახსოვან. შესაძლოა, ამიტომაც წარიმართა დრო ასე სასტიკად.

იქნებ ამიტომაც, გაადვილდა წარმოუდგენელი დანაშაულობები. ადადგილი შესაძლებელია. ამის მრავალი მიზეზი არსებობს. ვფიქრობ, ეს აზრი ჭეშმარიტებას არ არის მოკლებული, მაგრამ თუ როგორ შეიძლება აქ დაწყებული კონფლიქტის მოწესრიგება, ეს ჯერ კიდევ არავინ იცის. ის კი არადა, ხანდახან ტერმინების კონფლიქტების მომსწრენიც ვხდებით. ვგულისხმობ იმ გაცხარებულ კამათებს, ერთი და იგივე მოვლენის ამსახველი სხვადასხვა ტერმინის გამოყენების გამო რომ იმართება ხოლმე. მაგალითად, პირადად ჩემთვის ყველაზე კარგად ნაცნობი ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ხშირად ასეა მოხსენიებული: „აფხაზურ-ქართული ომი“, „ქართულ-აფხაზური ომი“, „კონფლიქტი აფხაზეთში“, „საქართველო-რუსეთის ომი“, „რუსეთ-საქართველოს ომი“, ასეცაა მოხსენიებული – „ამერიკა-რუსეთის ომი“, „რუსეთ-ამერიკის ომი“, „საქართველო-რუსეთ-აფხაზეთ-ამერიკის ომი“ და ა.შ.

* * *

თვალებს ვხუჭავ და ვხედავ გარდამავალი პერიოდების გადახანძრულ უდაბნოს.

* * *

კიდევ რა გვაკლია? კატასტროფების ეპოქაში ადამიანობის შემანარჩუნებელი გმირობა!

სახალხო დიპლომატთა ქართულ-აფხაზური დიალოგის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ

აფხაზეთში საომარი მოქმედებების გასრულების დღიდან თითქმის 11 წელი გავიდა. მას შემდეგ კონფლიქტის დარეგულირება ამა თუ იმ ქვეყნის ემისრებისა თუ სხვადასხვა რეიტინგის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით მიმდინარეობს, მაგრამ დაპირისპირებული მხარეების პოლიტიკოსების, სხვადასხვა რანგის ლიდერების შეხვედრები, ფაქტობრივად, უშედეგოდ მთავრდება.

თუ რაიმე შედეგზე შეიძლება საუბარი, ეს კვლავ სახალხო დიპლომატიის ეგიდით გამართული მოლაპარაკებებისა და დიალოგების მონაწილეთა ერთობლივ გადაწყვეტილებებსა და საქმიანობას ეხება.

სახალხო დიპლომატია ორი დიადი სიტყვისაგან შედგება: „ხალხი“ და „დიპლომატია“, ამიტომაც სახალ-

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ხო დიპლომატებს სულ სხვა, განსხვავებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ და განსაკუთრებული მოვალეობა გააჩნიათ. ზოგიერთი ცნებას – „სახალხო დიპლომატია“ ამჯობინებს „სამოქალაქო დიპლომატიას“, ზოგიერთებს კი „არაოფიციალური დიპლომატია“ მოსწონთ. პირადად ჩემთვის მისაღებია „სახალხო დიპლომატია“, რომელიც დღეს ყველაზე პოპულარულია საზოგადოებაში.

1997 წლიდან დღემდე ჩვენ, ქართველმა და აფხაზმა სახალხო დიპლომატებმა, შევძელით კონსტრუქციული დიალოგისთვის შეგვექმნა მშვიდი, შემეცნებით-შემოქმედებითი გარემო.

იმდენად, რამდენადაც ჩვენს ომგამოვლილ საზოგადოებებს შორის უნდობლობის ხარისხი ძალზე მაღალი იყო, პირველი შეხვედრები, შესაბამისად, ძალზე რთულად და ემოციურად ჩატარდა. მიუხედავად ამისა, მიზეზთა და მიზეზთა გამო ორივე მხრიდან მრავალთა მიერ შექმნილ აკრძალვათა ბარიერები გადავლახეთ. ჩვენ გავხდით თითქმის აკრძალული „დიალოგების პარტიზანები“ და ყოველივე ამის შესახებ მალე მასმედიასაც შევატყობინეთ. ჩემ თვალწინ, ჩვენ საზოგადოებებს შორის სამომავლოდ მშვიდობიანი ურთიერთობის აუცილებლობის „გაცნობიერებით“ საკუთარ ტკივილს ძლევდნენ დიალოგში ჩართული, ომში უახლოეს ადამიანებდაღუპული მონაწილეები. ისინი ჩემთვის დღესაც ზნეობრივი გმირები არიან. თანაც ადვილი როდია, რამდენიმე ნაბიჯით გაუსწრო არსებობის უმძიმეს პერიოდში მყოფ საკუთარ საზოგადოებას, რომელმაც შეიძლება ვერც გაგიგოს და არც გაპატიოს ამგვარი ნაბიჯების გადადგმა.

პირველი საფეხურები ჩვენ სწრაფად დავძლიეთ, ავირბინეთ კიდეც, მაგრამ მას შემდეგ უკვე კარგა ხანია, ერთსა და იმავე სიბრტყეზე დავბიჯებთ.

სიბრტყე თანდათან დაფერდდა და, ჩვენ, თითქოს შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც ნელ-ნელა ძირს ვეშვებით.

ყველასათვის ცნობილია კონსტრუქციული დიალოგის წარმართვისათვის ხელის შემშლელი გარემოებები: ქრონიკული, ხანგრძლივი კონფლიქტი, პერიოდულად ფეთქებადი სიტუაციები (მაგ., გალისა და კოდორის ამბები), მასშტაბური პოლიტიკური მოვლენები (საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნები) და სხვა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ახალ-ახალ ნაღმებს ამატებს ჩვენს საზოგადოებებს შორის არსებულ ისედაც გულმოდგინედ დანაღმულ ველს.

ჩვენ მიერ წარმოებული საქმიანობა ვერ განვითარდა ჭეშმარიტ სახალხო დიპლომატიად. ჩვენ უფრო „ჯგუფურ დიპლომატიას“ (მხოლოდ ერთი ჯგუფის ურთიერთობა მეორესთან) ვაწარმოებთ, ვიდრე „სახალხოს“.

ზოგჯერ ეს საქმიანობა აშკარად „ინდივიდუალური დიპლომატიის“ ხასიათსაც ატარებს.

მოხდა დიალოგის კაფსულირება.

კაფსულირებული დიალოგი, ინდივიდუალურ-ჯგუფური დიპლომატია პერიოდულად განახლებადი საომარი მოქმედებების დაწყების საშიშროების განმუხტვის წინააღმდეგ სრულიად უსუსური გამოდგა.

ჩვენ შორის არსებული კარი იშვიათად იღება, ამიტომაც შეუცნობელი ხდება ჩაკეტილ სივრცეში არსებული პრობლემების ანატომია.

ჩვენი შეხვედრების ოთახში ერთ დროს განახლებული ჰაერი უკვე დამძიმდა. ჩვენ კი ჯერ კიდევ ვკამათობთ, გავაღოთ თუ არა ფანჯრები.

ჩვენ თავდაპირველადვე სწორად ვერ განვსაზღვრეთ ჩვენი ურთიერთობის, მოქმედების დეტალური მოდელი და ადამიანები, რომლებსაც ჩვენი ურთიერთობის მიკროსკოპული ცვლილებებიც უნდა გვეგრძნო, თურმე ნდობასთან ერთად, ნებით თუ უნებლიედ, უნდობლობასაც ვაშენებდით.

ჩვენ ვერ დავუმტკიცეთ ჩვენს საზოგადოებებს, რომ პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, ჩვენ, როგორც მომლაპარაკებლებს, სხვა მისია გაგვაჩნია. ჩვენ თავადაც ვერ განვსაზღვრეთ, პროფესიონალურად ვერ დავაკონკრეტეთ ჩვენი სამოქმედო არეალი.

ამის მაგალითია ზოგიერთი ჩვენი საჯარო განცხადება, ინტერვიუ, ის კოლექტიური წერილები, რომელიც არ არის დაწერილი სახალხო დიპლომატების, კონფლიქტოლოგების, მომრიგებლების სულისკვეთებით.

ხანდახან ზოგიერთი ჩვენგანი ფარულად თუ აშკარად განაგრძობს ოფიციალურ პოლიტიკას და მისგან არაფრით განსხვავდება.

ვემსგავსებით ველოტრეკის მონაწილეებს, იმათ, რომლებიც რბოლის დაწყებამდე დაძაბულად და უნდობლად აკვირდებიან ერთმანეთის მოქმედებებს.

ჩვენ ვერ გამოვიყენეთ კეთილსასურველი პერიოდები დიალოგის გასაფართოებლად. რაც უფრო ვიწროვდება დიალოგი, მით უფრო ფართოვდება კონფრონტაცია.

ადვილად ჩაგვითრია პოლიტიკურმა მორევმა და ამიტომაც ჩვენი გაჩუმება ადვილი შესაძლებელი გახდა.

ვერ გავხდით სხვებისთვის მაგალითის მაჩვენებლები.

საზოგადოებებში ჩვენს მიმართ იზრდება უნდობლობა და მრავლდება უარყოფითი სტერეოტიპი. ვინც საზოგადოებას თავის სიმართლეს ვერ

ზნეობა და სინდისი ზეციური საჩუქრებია. ზნეობა და სინდისი ის კოსმოდრომებია, სადაც ხშირად უნდა იკრიბებოდნენ ხიდებდამწვარი ხალხები. არადა, რაც დრო გადის, ჩვენს პლანეტაზე თანდათანობით მცირდება მათი ადგილი.

ზნეობრივია მიმტევებელი კაცი – კაცობრიობის მხსნელი, ისეთივე მხსნელი, როგორც – მომნანიე და თანამგრძნობი.

უმტკიცებს, ის რეიტინგთან ერთად შედეგსაც კარგავს.

თუ დაპირისპირებული საზოგადოებების ლიდერების პირადი მტრობა ახანგრძლივებს და ამძაფრებს კონფლიქტს, ჩვენ ჩვენი ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილი ურთიერთობით ჯერ ვერ შევძელით „შეგვერბილებინა“ კონფლიქტი.

ოფიციალური წრეების უსამართლო შემოტევისაგან ერთმანეთი ვერ დავიცავით, ვერ გავუფრთხილდით ერთმანეთის ავტორიტეტს და ამით კონფრონტაციული სულისკვეთების ადამიანთა თვალწინ და, მათ გულის გასახარად, საერთო საყრდენი მოვიშალეთ.

ამ მიზეზის წყალობითაც, ზოგიერთი ჩვენი კოლეგა იძულებული ხდება, სხვადასხვა ენით ისაუბროს სხვადასხვა საზოგადოებაში და სხვადასხვა სიტუაციაში.

საუბედუროდ, უკანასკნელ პერიოდში ჩვენ გავხდით შეზღუდული შესაძლებლობების ურთიერთობის ჯგუფი, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე დიდძალი ინტელექტუალური თუ მატერიალური რესურსია დახარჯული.

ჩვენს საზოგადოებებში დღესაც ვერ ვაკეთებთ თამამ, აუცილებელ და მართალ განცხადებებს.

ბოლო დროს კოსმეტიკურმა სახალხო დიპლომატიამ ჩვენივე ინტელექტუალური გადაღლა გამოიწვია.

ჩვენი ნაბიჯები ძალზე მოკლე გახდა და თითქმის ერთ ადგილს ვტკეპნით.

მართალია, დროგამოშვებით ვსაუბრობთ ტაბუირებულ თემებზე, მაგრამ ეს თემები ფართო საზოგადოების მსჯელობის საგნად ვერ გავხადეთ.

ვერც ბიულეტენებად დასტამბული და წიგნად აწყობილი დიალოგები გავხადეთ საინტერესო უმრავლესობისთვის.

ჩვენს შეხვედრებში ვერა და არ „ჩავრთეთ“ ახალი ადამიანები: დიალოგის ოსტატები, ახალი სამოქალაქო ლიდერები.

ძალაუნებურად გავხდით დაპირისპირებულ პოლიტელიტართა მოთხოვნათა მძევლები.

ჩვენ ვერ შევძელით ჩვენი ჩაის კოვზებით მოტანილი წყლით ხანძრის ჩაქრობა (მით უმეტეს, თუ ზოგიერთი იმ კოვზით ხანძარს ნავთს ასხამდა).

ხანდახან თავად ჩვენი ხედვაც ვერ სცდებოდა შავთეთრ ფერებს, რის გამოც ახალ სტერეოტიპებს მივეცით გზა ფართო.

მდგომარეობა კი არ შეიცვლება, თუ ჩვენი საზოგადოებები არ შეიცვალნენ.

წინ ვერ ივლი, თუ მუდამ უკან იხედები.

ამიტომაც ვერ შევცვალეთ ის გაბატონებული ვითარება, რომლის მიხედვით საფრთხილოცაა და საშიშიც საუბარი და მსჯელობა ადამიანთა ნათელ ურთიერთობებზე, ურთიერთგაგებასა და სიკეთეზე. ჩვენს საზოგადოებებში უარყოფითი ინფორმაციები ჯერაც პოპულარიზაციის საგანია, ჩვენ ამგვარი ინფორმაციების ტყვეობაში ვიმყოფებით.

სამწუხაროდ, ჩვენ მივეცით კარტბლანში ჩიხების დიდოსტატებს, პოლიტიკისა თუ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს, რომლებსაც ხელს აძლევთ ასეთი მდგომარეობა და აშინებთ წარმატებული დიალოგი.

სწორედ რომ მარადი კონფრონტაციის, ომის პარტიელებს აწყობთ ფრთებშეჭრილი, კონტროლირებადი სახალხო დიპლომატია. ჩვენ მათ ადვილად ვუთმობთ სამოქმედო არეს და აქტიურობაში ხელს არ ვუშლით.

შესაძლოა, ჩემს კრიტიკულ მოსაზრებას ზოგი არ დაეთანხმოს, ზოგმა კი, საერთოდ უარყოს სახალხო დიპლომატიის ღვაწლი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რამ გვაქვს გასაანალიზებელი, საკამათო და დასადგენი. მე კი, როგორც იტყვიან, ჩემი სამრეკლო მაქვს. იქიდან ვლაპარაკობ, ასე ვხედავ და ასე მწამს.

სახალხო დიპლომატიის გზაზე ფეხშემდგარი ადამიანების მხოლოდ კეთილი განწყობა და კეთილი სურვილები მიზნის მისაღწევად არ არის საკმარისი. ლოზუნგებისა და პირველად განცხადებების დრო დიდი ხანია, გასრულდა.

აუცილებლად მიმაჩნია განვლილი გზის ობიექტურად შეფასება, დიალოგის ახალ სიმაღლეზე აყვანა, უცნობი ნიჭიერი ადამიანების წარმოჩენა, შეხვედრების მონაწილეთა წრის გაფართოება, შეძენილი გამოცდილების განვითარება.

უპირველესად, აუცილებელია თვისებრივად ახალი შეხვედრების ჩატარება, რომლის დროსაც საფუძვლიანად გაანალიზდება რა ჩვენი უახლესი წარსული, ახალი შემოქმედებითი ხედვითა და გადაწყვეტილებებით განისაზღვრება ხვალინდელი სამოქმედო არეალი.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ნიშნით, ჩვენ განწირულები ვართ ხანგრძლივი კონფლიქტისათვის, რომელმაც, მოსალოდნელია, თანდათანობით მუტაციაც განიცადოს და უფრო დამძიმდეს.

* * *

როგორ იჭერენ დიდ თევზებს?
– პატარა თევზებით.
– „დიდ კაცებს“?
– ...?

დილარ ივარდავა



ახალი რეგიონიდან

* * *

გადავიღალე შურიგე,
წინაპართ სულის ზენამა...
რაც ხდება,
რაც კი მომხდარა,
ვეღარ გამოთქვას ენამა;
დაწრიტა ჩვენი სხეული
მტრისაგან სისხლის დენამა,
რა ეშმამ გადააქცია
ზოგი ქართველი ვერანად?!
გადავიღალე შურიგე!
დაქანცვას ვით შევურიგდე?!

პალესტინიდან

მე გესთმანიის ბაღში ვნახე
ბალღი იესო,
ზეთისხილები ცას ახლიდნენ
დახუნძლულ რტოებს,
გოლგოთას ზედა ავმაღლდი და...
გულით ვილოცე –
ვგრძნობ ამ მიწაზე
რელიგიის რწმენას ვატოლებ.

მოზღვავებული გრძნობითა ვარ
პირთამდე სავსე,
უნდა დაიქცეს კართაგენი –
დასაქცევარი,
აქ მთვარის ეტლი, შუქმფენი
და ზემობარბაცე,
ქრისტიანული გაცხადების
მუდამ მწე არი!

სულში ჩასახლდა უცაბედად
ეჭვი მცირედი,
მომყვება ყველგან ზოგიერთთა
მზერა ირიბი, –
აი, ეს განცდა, საკვირველი,
გახლავთ იმედი,
პალესტინიდან თავს
მახსენებს
ფიფქა კირიბი!

* * *

ნუთუ ესენი მართავდნენ მამულს?
ეს რა ურიცხვი გიჟი გვყოლია,
ყველა მათგანი ჩასაქოლია,
ეგ გაყრილები – სინდისს და
ნამუსს!

მათი საქმენი ვერ გამიგია,
ფასი არ შერჩათ
ერთი შაურის, –
ფეხქვეშ მკვრივად და
ცხადად გვიგია
ჭაობი დიდი დანაშაულის!

ღილა სასაფლაოზე

შაბი და შალაფი
ძეძვნარს ზე აყოლილა –
მწვანედ შეუფუთავს
ავშანს საფლავი,
– ვინღა მიაფრქვია
ფოთლებს ეგ ლილა?–
ცქმუტავს ფურისულა
ნიავში კანკალით!

რა ხდება ქვეყანაზე?
არა ვარ გაგებას,
ვერაფერს ვათეთრებ,
ვერაფერს ვაშავებ,
რეკვიემი დაღვარეს
არყოფნის დარდებმა,
ნისლებმა კარვები
ზეგანზე გაშალეს!

* * *

ღამე ჩამესმა ხმა უცნაური,
თურმე ყოფილა გულის ხმაური,
ის ლაკადური ქარით რხეული,
სისხლის ჩქერია ჩემი სხეულის!
გავხდი ლუსკუმი ღამის მთეველი,
ცისკრისას პირველ სხივზე
მლოცველი, –
ჩემი კოლხეთის მწვანე მთა-ველი,
შემოქმედია წვის და ოცნების!

* * *

მეხის ბერშმა
ხის ვარჯებში
იკივლა და იწივლა;
ელვა გამოაბრძანა –
საავდარო მაყარი;
ბაღჩა ჰგავდა ფრთებმოკეცილ
და გაწუწულ წიწილას,
რომლის გულმკერდს
ჩაფრენოდა
წვიმა, როგორც წაწალი!

ქორცხელის საყდართან

ტაძრის გუმბათზე
აცოცებულ ჯუჯა ლეღვის ხეს
ჯვრად უქცევია
გაფორჩხილი ტოტების ხლართი,
ამ სენაკებში წინაპრებმა
სული შეხიზნეს,
შვიდ ასეულზე მეტ მზეს
გვაფრქვევს
სხივები ნათლის!..
მეფობს სიჩუმე სვიისფერი,
გულის ოდენი,
ახლახან ისევ აღორძინდა
ლოცვა-ვედრება,
ადამის ძეთა მღვრიე ტალღას
ბორჯი მოდენის,
უძლეველია
რელიგიის შემოქმედება!

უნდა იბრწყინოს

ღამის წკვარამი შუქს უქრობს
ნათელს,
სანთლით დავეძებ ყანას და
მზვარეს;
დიდთა ქართველთა
ოცნება-სათქმელს,
მთავარი ტაძრის ხმიანობს ზარი!
მორჩა! ჯვარცმა და წარღვნა
ვიკმაროთ,
რომ არ დააცვდეს ბრჭყალები
არწივს, –
აქ წმინდა ნინოს მტანჯველ
ნაკვალევს
ქრისტიანების
ცრემლები აწვიმს.
მივსდიოთ რწმენას გულის
კანკალით –
კაცს უბრუნებდეს ღვთაებრივ
ხალისს,
მინდა მე შენთვის გავხდე
ნაცარი –
მზე არ ჩაგვიქრეს არასდროს –
ხვალის!

XXX

აისის სხივი თითო-ოროლა,
როცა ცისკრის ჭერს ჩამოქნის
სანთლად,
დაეკიდება ზეცას ტოროლა
და დილიდანვე ხმას ხმაზე ართავს!
ნეტავი იმ წუთს...
სივრცე კანკალებს
და იწერება ჰანგთა სურათი,
ასეთი თრთოლა მღერად
მაკმარეთ
სიცოცხლის ჩემის
დასასრულამდი.

ივრის პირზე

ივრის პირზე ატყორცნილი
გნოლი
ცის წიაღში შერჭობილა ისრად,
ვეღარ ვკიდე თვალი –
დამენისლა,
ო, ეს ხილვა ზღაპარია, მგონი!
ჯერ გზა მიდევს –
დაკლაკნილი, შორი,
ბედისწერამ ვნება მიწილადა,
ივრის პირზე ავარდნილი გნოლი
ისევე მწამს,
ვითარც ადრე მწამდა!

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

როგორ ხვდებიან ახალ წელს მსოფლიოს ქვეყნებში

ახალი წელი ჭეშმარიტად ინტერნაციონალური დღესასწაულია, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში მას სხვადასხვანაირად აღნიშნავენ. იტალიელები ფანჯრებიდან ყრიან ძველ უთოებსა და სკამებს, პანამის მცხოვრებლები ცდილობენ იხმაურონ, რაც შეიძლება მეტად, რისთვისაც იყენებენ თავიანთი მანქანების სირენებს, უსტვენენ და ყვირიან. ეკვადორში განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ ქვედა თეთრეულს, რომელსაც მოაქვს სიყვარული და ფული, ბულგარეთში რთავენ შუქს, ვინაიდან ახალი წლის პირველი წუთები — ეს საახალწლო კოცნების დროა. იაპონიაში 12 ნაცვლად ზარს 108-ჯერ რეკენ, საუკეთესო საახალწლო აქსესუარად კი ითვლება ნიჩბები, რომ ჩვენსკენ მოვიზიდოთ ბედნიერება.

იტალიაში ახალი წელი იწყება 6 იანვარს. რწმენის თანახმად, ამ ღამით ჯადოქრული ცოცხით მოფრინავს კეთილი ფერია ბეფანა. იგი კარებს ხსნის პატარა ოქროს გასაღებით და როდესაც შედის ოთახში, სადაც ბავშვებს სძინავთ, საჩუქრებით ავსებს ბავშვების წინდებს, რომლებიც სპეციალურადაა ჩამოკიდებული ბუხართან.

* * *

იტალიის თოვლის პაპაა — ბაბო ნატალია. იტალიაში მიაჩნიათ, რომ ახალი წელი უნდა დავიწყოთ ყოველივე ძველისგან გათავისუფლებით. წეს-ჩვეულების თანახმად, გადმოყრილი ნივთების ადგილი აუცილებლად უნდა დაიკავოს ახალმა ავეჯმა.

იტალიელთა საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს კაკალი, ოსპი და ყურძენი — დღეგრძელობის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სიმბოლოები.

იტალიელებისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ პირველად ვის შეხვდებიან ახალ წელს. თუ 1 იანვარს პირველი შემხვედრი, ვისაც იტალიელი დაინახავს, იქნება მონაზონი ან მღვდელი, ეს ცუდია. არასასურველია ასევე პატარა ბავშვთან შეხვედრა, კუზიანთან შეხვედრა კი — ბედნიერებას მოასწავებს.

* * *

ეკვადორი. წითელი ფერის თეთრეული, ეს სიყვარულს ნიშნავს, ყვითელი ფერისა — ფულს. ეკვადორში ზუსტად შუა ღამისას თოჯინებს წვავენ და ამას უწოდებენ „ქვრივთა ტირილს“, რითაც დასტირიან თავიანთ „ცუდ ქმრებს“. როგორც წესი, „ქვრივებს“ წარმოსახავენ მამაკაცები, რომლებსაც ქალის ტანსაცმელი აცვიათ. მათთვის, ვისაც სურს მთელი წლის განმავლობაში მოგზაურობა, ტრადიცია ურჩევს: სანამ საათი დარეკავს 12-ჯერ, უნდა აიღო ჩემოდანი ან დიდი ჩანთა და ირბინო სახლის გარშემო. თუ გსურთ ახალ წელს გამდიდრდეთ ან შეიძინოთ დიდი სიყვარული, ახალ წელს ფული რომ „ცვიოდეს ციდან“, აუცილებელია როგორც კი საათი დარეკავს 12-ჯერ, ჩაიცვა ყვითელი ფერის თეთრეული. თუ საჭიროა არა ფული, არამედ ბედნიერება პირად ცხოვრებაში, მაშინ თეთრეული შავი ფერისა უნდა იყოს. ყოველგვარი ცუდი მომენტებისგან გათავისუფლების საშუალებაა ეკვადორელებისთვის ის, რომ ქუჩაში გადააგდონ ჭიქა წყლით, რითაც იმსხვრევა ყოველივე ცუდი.

* * *

შვედეთი. ახალი წელი — შუქის დღესასწაულია. ახალი წლის წინ ბავშვები ირჩევენ სინათლის დედოფალ ლუჩიას. მას აცმევენ თეთრ ტანსაცმელს, თავზე ახურავენ გვირგვინს ანთებული სანთლებით. ლუჩიას მოაქვს საჩუქრები ბავშვებისთვის და სასიამოვნო საკვები საოჯახო ცხოველებისთვის: კატისთვის — ნაღები, ძაღლისთვის — შაქრის ნატეხი, სახედრისთვის — სტაფილო. სადღესასწაულო ღამით სახლში შუქი არ ქრება, ქუჩები გაკაშკაშებულია.

* * *

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. პოლიცია კეტავს კვარტალებს ტრანსპორტის მოძრაობისთვის — ფანჯრებიდან ისვრიან მაცივრებს. ამ სახელმწიფოს სამრეწველო დედაქალაქში — იოჰანესბურგში — ერთ-ერთი კვარტალის მცხოვრებლები ახალ წელს ფანჯრიდან ისვრიან სხვადასხვა საგნებს — დაწყებული ბოთლებიდან და დამთავრებული დიდგაბარიტიანი ავეჯით. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიციამ უკვე დაკეტა ჰილბროუს კვარტალი ავტოტრანსპორტის მოძრაობისთვის და რაიონის მცხოვრებლებს თხოვნით მიმართა, აღარ გადმოაგდონ ფანჯრებიდან ახალი წლის ღამით მაცივრები. პოლიციის წარმომადგენლის სიტყვებით, ამ ტრადიციასთან დაკავშირებით ეს კვარტალი ყველაზე სახიფათოდ ითვლება ქალაქში.

* * *

ინგლისი. მთელი წლის განმავლობაში ერთად რომ იყვნენ, შეყვარებულებმა ერთმანეთს უნდა აკოცონ.

ინგლისში საახალწლოდ მიღებულია, გაითამაშონ წარმოდგენები ბავშვებისთვის ძველი ინგლისური ზღაპრების სიუჟეტებზე. ლორდ „უწესრიგობას“ თან მოჰყავს მხიარული კარნავალი, რომელშიც მონაწილეობენ ზღაპრის პერსონაჟები: ჰობი ჰორსი, მარტის კურდღელი, პანჩი და სხვები. მთელი ახალი წლის განმავლობაში ქუჩის მოვაჭრეები ყიდიან სათამაშოებს, სასტვენებს, ნიღბებს, საჰაერო ბურთებს. სწორედ ინგლისში გაჩნდა ჩვეულება საახალწლოდ გაუცვალონ ერთმანეთს მისალოცი ღია ბარათები. პირველი საახალწლო ღია ბარათი დაიბეჭდა ლონდონში 1843 წელს. დაძინების წინ ბავშვები მაგიდაზე დგამენ თეფშს საჩუქრებისთვის, რომელიც მათთვის მოაქვს სანტა კლაუსს, ფეხსაცმელში კი დებენ თივას — საკვებს სახედრისთვის.

ინგლისის სახლებში საახალწლო სუფრაზე მოაქვთ ინდაური წაბლითა და შემწვარი კარტოფილით სოუზთან ერთად, აგრეთვე ბრიუსელის მოთუშული კომბოსტო ხორცის ღვეზელით, რასაც მოჰყვება პუდინგი, ტკბილეული, ხილი. როდესაც საათი დარეკავს 12-ს, აღებენ სახლის უკანა კარს, რათა გაუშვან ძველი წელი, საათის მომდევნო დარტყმისთვის ხსნიან წინა კარს, უშვებენ სახლში ახალ წელს.

* * *

შოტლანდიაში ახალი წლის დღესასწაულს ჰქვია „ჰოგმანი“. ქუჩებში დღესასწაულს ხვდებიან შოტლანდიური სიმღერით რობერტ ბერნსის სიტყვებზე. ჩვეულების თანახმად, ახალი წლის ღამით ცეცხლს უკიდებენ კუპრიან კასრებს და მიაგორებენ მას ქუჩებში, რითაც წვავენ ძველ წელიწადს და იწვევენ ახალს. სტუმრებმა აუცილებლად უნდა მოიტანონ ნახშირის ნატეხი, რომ შეაგდონ საახალწლო ბუხარში. ზუსტად შუაღამისას აღებენ ყველა კარს, რათა გაუშვან ძველი და მიიღონ ახალი წელი.

* * *

ირლანდია. აქ დიდ პატივშია პუდინგები. ირლანდიური შობის დღესასწაული — ეს ერთგვარად უფრო დიდი რელიგიური დღესასწაულია, ვიდრე უბრალო გართობა. ანთებულ სანთლებს დგამენ საღამოს ფანჯრებთან შობის წინ, იესოსა და მარიამის დასახმარებლად, თუ ისინი თავშესაფარს ეძებენ. ირლანდიელი ქალები აცხობენ სპეციალურ კერძს ოჯახის თითოეული წევრისთვის. ისინი ასევე ამზადებენ სამ პუდინგს — ერთი შობისთვის, მეორე ახალი წლისთვის და მესამე კი ნათლობის წინა პერიოდისთვის.

* * *

კოლუმბია. აქ საახალწლო კარნავალის მთავარი გმირი ძველი წელიწადია. ის დაიარება ხალხში დიდ ოჩოფეხებზე და უამბობს ბავშვებს სასაცილო ამბებს. ახალი წლის წინა დღით ბოგოტის ქუჩებში ეწყობა თოჯინების აღლუმი: ათობით კლოუნი, ჯადოქარი და სხვა ზღაპრის პერსონაჟები, რომლებიც მიმაგრებული არიან მანქანების სახურავებზე, დადიან ქალაქის ქუჩებში.

* * *

ვიეტნამი. ახალი წელი, გაზაფხულის დღესასწაული — ეს ყოველივე ვიეტნამის ყველაზე მხიარული დღესასწაულის სახელწოდებებია. აყვავებული ატმის ტოტები — ახალი წლის სიმბოლო — უნდა იყოს ყველა სახლში. ბავშვები მოუთმენლად ელოდებიან შუა ღამეს, როდესაც შეიძლება ატეხონ პატარა თვითნაკეთი ბუშტების „ომი“. სიბნელესთან ერთად პარკებში, ბაღებსა და ქუჩებში ვიეტნამელები ანთებენ კოცონს, რომლის გარშემოც რამდენიმე ოჯახი იკრიბება. ნაკვერჩხლებზე ამზადებენ განსაკუთრებულ ტკბილეულს ბრინჯისგან. ამ ღამით ივიწყებენ ყველა დავას, პატიობენ ერთმანეთს წყენას, ვიეტნამელებს მიაჩნიათ, რომ ყველა სახლში ცხოვრობს ღმერთი და ახალ წელს ეს ღმერთი მიდის ცაში, რათა იქ ისაუბროს, თუ როგორ გაიცილა ახალი წელი ოჯახის თითოეულმა წევრმა.

* * *

ნეპალი. აქ ახალ წელს ხვდებიან მზის ამოსვლასთან ერთად. ღამით, როდესაც სავსე მთვარეა, ნეპალელები ანთებენ უზარმაზარ კოცონს და ცეცხლში ყრიან არასაჭირო ნივთებს. მეორე დღეს იწყება საღებავების დღესასწაული. ხალხი იღებავს სახეებს, ხელებს, მკერდს პატარა ნახატებით, შემდეგ ცეკვავენ და მღერიან ქუჩებში.

* * *

საფრანგეთი. მთავარია — შემოეხვიო ღვინის კასრს და მიულოცო მას დღესასწაული.

ფრანგული თოვლის პაპა — პერ ნოელი — მოდის ახალი წლის ღამით და ტოვებს საჩუქრებს ბავშვების ფეხსაცმელებში. ის, ვისაც შეხვდება საახალწლო ღვეზელი პარკოსნით, იღებს ტიტულს „პარკოსნის მეფე“ და საახალწლო ღამით ყველა ემორჩილება მის ბრძანებებს. სანტონები — ესენია ხის ან თიხის ფიგურები, რომლებსაც ნაძვის ხის მახლობლად დგამენ. ტრადიციის მიხედვით, კარგი მეოჯახე — მეღვინე აუცილებლად უნდა მივიდეს ღვინის კასრთან ჭიქით, მიუჭახუნოს, მიულოცოს დღესასწაული და დალიოს მომავალი მოსავლის სადღეგრძელო.

* * *

ფინეთი. თოვლის პაპის სამშობლო. თოვლიან ფინეთში ზამთრის მთავარ დღესასწაულად ითვლება შობა, რომელსაც აღნიშნავენ 25 დეკემბერს. საშობაო ღამით ხანგრძლივი გზის შემდეგ ლაპლანდიიდან სახლებში შედის თოვლის პაპა, ბავშვებს გასახარად უტოვებს დიდ კალათას საჩუქრებით. ახალი წელი შობის ერთგვარი გამეორებაა. ახალი წლის ღამით ფინელები ცდილობენ, გამოიცნონ თავიანთი მომავალი და მკითხაობენ, ადნობენ ცვილს და ასხამენ მას ცივ წყალში.

* * *

გერმანია. სანტა კლაუსი გერმანელებთან სახედარზე ამხედრებული მიდის. ძილის წინ ბავშვები მაგიდაზე ტოვებენ თეფშებს საჩუქრებისთვის, რაც მათთვის სანტა კლაუსს მოაქვს.

* * *

კუბა. ფანჯრებიდან ასხამენ წყალს. ახალი წლის ღამის საბავშვო დღესასწაულს კუბაში მეფეთა დღეს უწოდებენ. ჯადოქარ მეფეებს მოაქვთ საჩუქარი ბავშვებისთვის. წინა დღით მათ ბავშვები წერენ წერილებს, რომლებშიც საუბრობენ თავიანთ ოცნებებზე. კუბელები ახალი წლის წინა დღით წყლით ავსებენ მთელ ჭურჭელს, რაც სახლში მოიპოვება, შუაღამისას კი მათ ფანჯრიდან ღვრიან. თავისუფლების კუნძულის მცხოვრებლები ასე უსურვებენ ახალ წელს ბედნიერებასა და სიხარულს. სანამ საათი რეკავს 12-ჯერ, აუცილებელია შეჭამო ყურძნის 12 მარცვალი, და მაშინ სიკეთე, თანხმობა, აყვავება და მშვიდობა მუდამ შენი თანამგზავრი იქნება მთელი თორმეტი თვის განმავლობაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ვითხოვ სიტყვას

იტყუებენ თავს და ატყუებენ სხვებსაც

ახალ წელს ვულოცავ ძვირფას მკითხველს და მთელ საქართველოს! დაგვდგომოდეს ისეთი წელიწადი, როდესაც საქართველოში იმოღვაწებს ხალხის ინტერესების დამცველი, ხალხზე მზრუნველი მთავრობა, როდესაც თითოეული ჩვენგანი (საქართველოს მოსახლეობა) თავისი საყვარელი საქმით იქნება დაკავებული, არავის ექნება ხელისუფალთა მიმართ უკმაყოფილებისა თუ კრიტიკის გამოხატვის სურვილი... ეჰ„ ბევრ რამეს ვისურვებდი ჩემთვის და ჩვენთვის, ჩემო ქართველო ხალხო!

ახლა კი ჩვენს დღევანდელობას დავუბრუნდები.

ხალხზე ზრუნვას კუს ნაბიჯებით იწყებს ახალი მთავრობა, მაგრამ, რაც მთავარია, ხომ იწყებს, ხომ წინ მიდის და არა უკან. ესეც საქმეა და იმედი. მაგრამ მაინც მაშფოთებს პრეზიდენტის, რომელსაც ძველი ხელისუფლების მეთაური მინდა ვუწოდო და როგორ, როცა იცი, რომ ის დღესაც, ანუ საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც, ახალი მთავრობის პრეზიდენტია. რა დრომდე იქნება ქართული პოლიტიკური ცხოვრება ასეთ გაუგებრობაში, ზუსტად არ ვიცით,. თანაცხოვრებაო, — შემოთავაზეს უცხოელებმა ჩვენს პოლიტიკურ მოღვაწეთ, მაგრამ ამათი თანაცხოვრებ-თანამშრომლობა, რომელსაც გინდ კოჰაბიტაცია დაარქვი და გინდ შოკოლადი, ისევე არ იქნება, როგორც ცხვრისა და მგლისა. მეტისმეტად ყინჩად დგას საქართველოს პრეზიდენტი, მეტისმეტად იტყუებს თავსა და ატყუებს ხალხსაც, რომ ვითომ წარმატებული და ქვეყნისათვის სასარგებლო იყო მისი და მისი გუნდის მოღვაწეობა და ამჟამად კი თურმე „ოროსნები“ და ვიღაც „წვერგაუპარსავნი“ დაეუფლნენ სახელისუფლო რგოლებს, ქვეყანას აქცევენო...

რა ხდება? — მირეკავს მეგობარი. ვიცი რაც და რაზედაც მეკითხება.

ხდება ის, რაც უნდა მომხდარიყო, ოღონდ, ძალიან ცივილიზებულად , ჰუმანურად, ღმობიერად, ადამიანის ღირსების დაცვის პრინციპებით. ასე ჩამოყალიბდა ჩემი პასუხი, მაგრამ მხოლოდ გონებაში, მეგობარს ამ კითხვაზე არ ვუპასუხე. სამწუხაროდ, ვიცოდი ვერ გამიგებდა, შემხვედრი კითხვა დავუსვი, მისი ჯანმრთელობა მოვიკითხე.

მერე თავადაც გამიკვირდა ჩემი თავდაჯერებულობა. მართლა ვიცი კი რა ხდება? ელიტური კორუფცია ყვავისო ჩვენში, იტყოდნენ, მაგრამ ძნელია, წარმოიდგინო ეს ახალგაზრდა მინისტრები (ყოფილნი), თავიანთ სწავლა-განათლებას, მახვილ ჭკუა-გონებას ქვეყნის საზიანო საქმეების წარმოებაში თუ ფლანგავდნენ და ამავე დროს თურმე, ფლანგავდნენ სახელმწიფო ქონებასაც. და, ვინ იცის, კეთილი საქმის კეთების ნაცვლად რამდენ დროს ხარჯავდნენ (უთუოდ, ტვინსაც!). როგორ გაუტკბათ... ჩვენს ქვეყანაში, სადაც უმუშევართა, უხელფასოთა რაზმები დღითი დღე მატულობს, ამ დროს ხელფასებით უზრუნველყოფილნი რას სჩადიან! განა მარტო უზრუნველყოფილნი! თავს გადასდიოდათ, თანამდებობების გამოც ხომ მწვანე შუქი ენთოთ ყველგან. აი, როგორ გამართლა პრეზიდენტის თეორიამ: მივცეთ, დავუნიშნოთ ჩინოვნიკებს დიდი ხელფასები, რათა ქრთამის ასაღებად თვალი არ გაექცეთო. თვალის გაქცევისა რა მოგახსენოთ და ქვეყანა კი მართლაც დააქციეს. დიდი ხელფასი მაინც ვერ იკმარეს, განებივრდნენ და უფრო მეტი მოინდომეს, რა ხიბლი აქვს თურმე ფულს და სიმდიდრეს, რაც უფრო მეტი გაქვს, კიდევ უფრო მეტი გინდა!

ამას წინათ ერთი კორესპონდენტის წერილი წავიკითხე ამავე გაზეთში. არ ვიცი, ვინ არის ბატონი აბრალავა, მაგრამ, როდესაც მის წერილს გაეცნობი, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს შენი ფიქრები და აზრები ამოიკითხე იქ, ეჭვი არ მეპარება, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილმა ამ წერილმა ასევე იმოქმედა სხვა მკითხველებზეც, იმ ადამიანებზე, რომლებიც გასული ცხრა წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ და დღემდე ცხოვრობენ საქართველოში და რომელთაც თავს მოახვიეს ადამიანისთვის უღირსი და უსამართლო ცხოვრების წესები.

იმავე დღეს გავეცანი ამჟამინდელი უმცირესობის, ნაცმოძრაობის ერთ-ერთი, ასე ვთქვათ, აპოლოგეტის აზრებს (ბატონი გია ნოდიას მსჯელობა მაქვს მხედველობაში). კორესპონდენტის შეკითხვებზე გაცემულმა ამ ბატონის პასუხებმა გაკვირვებული და (გაწბილებულიც) დამტოვა, იმდენად შორს იყო ის მხოლოდ ხალხის შეხედულებებისაგან, კი არა, საერთოდ, რეალობისაგან. თუმცა, არც უნდა იყოს ალბათ გასაკვირი. ხალხი ხალხია და ფილოსოფოსი კი... მაგრამ ნუთუ ფილოსოფოსობა ჭეშმარიტებისაგან გადახვევას ნიშნავს? ძალიან უცხო მეჩვენა მისი დამოკიდებულება ამ ბოლო ხანებში ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენებისადმი. ვფიქრობ, რომ არა მარტო გასაკვირი, არამედ ერთგვარად აღმაშფოთებელიც კია ადამიანისათვის ისეთი რამის მოსმენა, რაც სინამდვილესთან სავსებით შეუთავსებელია. მით უფრო, როდესაც ერთ დროში მცხოვრები ორი მოაზროვნე და წიგნიერი ადამიანი (ბატონი აბრალავა და ბატონი ნოდია) არცთუ ისე რთულად აღსაქმელ მოვლენებზე პოლარულად განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამს. თუმცა, მეორე მხრივ, მკითხველის ინტერესს ალბათ უნდა იწვევდეს, რადგანაც ნებისმიერ აზრსა აქვს არსებობის უფლებაო, ხომ იტყვიან, მით უფრო ფილოსოფოსისას. უნდა მოვუსმინოთ, მაგრამ როგორ გავუგოთ? — აი, სწორედ ეს არის საკითხავი, მით უფრო, როდესაც მხოლოდ აზრებთან და შეფასებებთან როდი გვაქვს საქმე, არამედ ბრალდებებთან... ხალხის, საზოგადოების თვალწინ (ზოგჯერ მალულად) მომხდარ იმ დანაშაულებრივ ქმედებებთან, რომელსაც ყოფილი მთავრობა და მისი ჩინოვნიკები სჩადიოდნენ და, რომლის გამოც მათ მთელი ამ გასული ცხრა წლის განმავლობაში ხალხის სიძულვილი, წყრომა და რისხვა დაიმსახურეს. მაგრამ, თურმე შეიძლება იყო მეცნიერი, ფილოსოფოსი და ამავე დროს ვერ ხედავდე (ალბგიკური აზროვნება?) ყოველივე ამას! ამ ცხრა წლის განმავლობაში თუ ვერ ხედავდა, მაინცდამაინც ახლა რატომ უნდა დაინახოსო, გაიფიქრებ უნებურად. საქმე ის არის, რომ, როცა ხალხმა თავისი სიტყვა თქვა, დიდი წვალებით და ვაი-ვაგლახით ყოფილი მთავრობა ხელისუფლებას ჩამოაშორა, როცა ახალმა პროკურორმა უამრავი განცხადებების საფუძველზე ძველების მიერ მიჩქმალული საქმეების შესახებ გარკვეული სახის მტკიცებულობები მოიპოვა და საქმე აღძრა, უკანონობის ბევრი სურათი გამოიკვეთა და ბევრიც რიგში დგას გამოსაჩინებლად, ამ დროს ბრძენი, მეცნიერი და ფილოსოფოსი თუ ხარ, მაშინ იმ დანაშულებრივ ქმედებებს (არასწორად გამოძიებული ან სავსებით გამოუძიებელი საქმეები, ბიზნესის განვითარებისთვის მიზანდასახულად ხელის შეშლა და სხვა მრავალი უკანონობანი მაქვს მხედველობაში), „დიდი საქმეების“ კეთებად არ უნდა უთვლიდე ყოფილ მთავრობას, „ესა თუ ის დიდი საქმე უმტკივნეულოდ არასდროს გაკეთებულაო“, ამბობს ბატონი ფილოსოფოსი 2003 წლიდან მოყოლებულ, სამართლიან თუ უსამართლო დაჭერებისა და დაპატიმრებების სერიებზე და განაგრძობს, მაშინდელი მთავრობა მხოლოდ დანაშაულობებს ებრძოდაო: „ეს იყო დანაშაული, რომელიც წლების განმავლობაში აპრობირებული და დაუსჯელი გახლდათ და მის აღმოსაფხვრელად რამე უნდა ეღონათ, სახელმწიფოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დანერგილიყო, რომ მაღალჩინოსანს პატიოსნად ემუშავა“. კარგი ნათქვამია, მაგრამ ეს ხომ „ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალის“ ვარიანტია!? ძალიან უბადრუკად გამოიყურებიან პრეზიდენტი და მისი გუნდი. ისინი ხომ ხალხმა გადაირჩია და მათ სამართალს ხალხმა უსამართლობა და რეპრესიები უწოდა. ახლად ფეხადგმულმა მთავრობამაც სახელმწიფოში გამეფებული უსამართლობის აღმოფხვრის მცდელობით დაიწყო. ვინ იცის როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ ის ხომ ნამდვილად ვიცით; რა იყო 2003 წლიდან 2012 წლის ოქტომბრამდე და როგორ იყო.

ძვირფასო მკითხველო, ეს წერილი იმ მოვლენებმა დამაწერინა, რაზედაც კარგა ხანია, ვფიქრობ. სინამდვილის დანახვა, რომ ვინმე, რიგით, ჩვეულებრივ ადამიანს უჭირდეს, ამას კიდევ შეეგუება კაცი, იტყვი, განათლება და ცოდნა აკლიაო, მაგრამ ნეტავ მაცოდინა რა ფენომენია ის, როდესაც შემოქმედი, მოაზროვნე, ხელოვანი , პოეტი თუ მწერალი მოვლენებს სულ სხვა ჭრილში აღიქვამენ და რეალობა მათთვის ისეთი ბუნდოვნებით და სიბნელით არის მოცული, უჭირთ კი არადა, ოდნავადაც არ შეუძლიათ შიგ ჭვრეტა. ასეთმა ადამიანებმა რომ ჟამთააღმწერლობა მოინდომონ; წარმოგიდგენიათ, რა ისტორიას დაუწერენ და დაუტოვებენ შთამომავლობას?

გულნარა სტურუა

◎ თამამი პროგნოზი

ახალმა მთავრობამ საინვესტიციო გეგმა გააორმაგა

„2013 წელი საქართველოს ისტორიაში ინვესტიციების მხრივ ყველაზე წარმატებული იქნება“ — ამ განცხადებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ქვეყნის ფინანსთა მინისტრი ერთმანეთის პარალელურად აკეთებენ. ბიძინა ივანიშვილი ქვეყანაში მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ყველაზე ძველი ფინანსური ჯგუფის „ჯიპი მორგანის“ შემოყვანას გეგმავს. არანაკლები გეგმები აქვთ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს.

დაინტერესდებიან თუ არა ქართული ბაზრით მსოფლიო საინვესტიციო გიგანტები? მით უფრო მაშინ, რომ მსოფლიო ახალი ფინანსური კრიზისის წინაშე დგას? ბევრი რამ იანვარშივე გადაწყდება, როდესაც ჩვენი ქვეყნის პრემიერი დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე ჩავა. სწორედ აქ ეცდება იგი „ჯიპი მორგანთან“ წარმატებულ მოლაპარაკებას.

ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ 2013 წელს ინვესტიციების მოზიდვა მარტივი იქნება. იგი იმ სავარაუდო ნიშნულსაც ასახელებს, რომელზეც ქვეყანამ სწორება უნდა მოახდინოს.

„2 მილიარდზე მეტი ინვესტიციის მოზიდვა შესაძლებელია. ინვესტირების საშუალება იქნება, მაგრამ როგორ მოხდება მისი განთავსება, ეს მეორე პრობლემაა. ამისთვის კარგი პროექტები უნდა არსებობდეს, საინტერესო და რენტაბელური“, — აღნიშნავს ივანიშვილი.

პრემიერმა კონკრეტული ინვესტორების ვინაობის დასახელებისგან ამ ეტაპზე თავი შეიკავა, თუმცა მას აქვს იდეა, კომერციულ სტრუქტურებში განაცხადი შეიტანონ, ვის რა პროექტი აქვს და მათი განხილვა მოხდეს.

2-მილიარდიანი ზღვარი არცთუ დაუძლეველად მიაჩნია ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურსაც. მისი აზრით, ახალი მთავრობისთვის შეუძლებელი არ იქნება 2007 წლის მაჩვენებლის

გამეორება. ხადური კაპიტალის წარმომავლობასთან დაკავშირებით უფრო კონკრეტულ პასუხს იძლევა და აცხადებს, რომ განსაკუთრებული ინტერესი არსებობს ევროპული ქვეყნებიდან.

ექსპერტები ცოტა არ იყოს ეჭვის თვალით უყურებენ მთავრობის წევრთა ესოდენ თამამ განცხადებებს. საინვესტიციო კომპანია „ჯიაიჯი პლიუსის“ ხელმძღვანელი რადიო „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ საქართველოში საფონდო ბირჟების შესახებ კანონის დარეგულირებამდე ქართული ბაზრით საინვესტიციო ფონდები არ დაინტერესდებიან. დავით ასლანიშვილის თქმით, საქართველოში საინვესტიციო გარემოს მსგავსი გიგანტების შემოსვლა გააქტიურებს, თუმცა საკითხავია დაინტერესდებიან თუ არა ისინი ქართული ბაზრით. ქვეყანაში საბროკერო ფირმები ფაქტობრივად აღარ არსებობს და ასეთ პირობებში საქართველოში თანხას არც ერთი საინვესტიციო კომპანია არ ჩადებს.

საინვესტიციო კომპანია „სიეფესში“ კი აცხადებენ, რომ „ჯიპი მორგანის“ მსგავსი კომპანიებისთვის ქართული ბაზარი მწირია, თუმცა კომპანიის ადგილობრივი ფინანსური ბაზრით დაინტერესების შესაძლებლობა მაინც არსებობს. „სიეფესის“ ხელმძღვანელი დარწმუნებულია, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, მსხვილ ინვესტორთა მოზიდვის კუთხით ქართული მხარე შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებსაც გაატარებს.

თუმცა, ინვესტიციების მოზიდვის მხრივ მხოლოდ ადგილობრივი პრობლემები კი არ გველოდება, არამედ გაცილებით გლობალური. საქმე ისაა, რომ ახალ წელს მსოფლიოს, შესაძლოა, ახალი მასშტაბური ფინანსური კრიზისი დაემუქროს და ეს ყველა გეგმას თავდაყირა დააყენებს. The Financiali times-ის საიტზე საერთაშორისო ურთიერთობების სამეფო ინსტიტუტის ხელმძღვანელი და ინგლისის ბანკის ყოფილი წარმომადგენელი დე ანე ჯულიუსი გლობალური კრიზისი შესახებ შესაბამის დასკვნებს აკეთებს.

„ერთმა ან რამდენიმე ქვეყანამ, შესაძლოა, დატოვოს ევროზონა. ძალადობა შეიძლება მთელ ახლო აღმოსავლეთზე გავრცელდეს. არ არის გამორიცხული, რომ ამერიკის კონგრესმა ქვეყანას „ფინანსური უფსკრულიდან“ რეცესიისკენ უბიძგოს. შესაძლოა, დაიწყოს კუნძულებზე დავა ჩინეთსა და მის მეზობლებს შორის და აშშ იძულებული გახდეს ჩაერიოს“, - აცხადებს ჯულიუსი.

ყველაზე დიდი საფრთხე კი ის არის, რომ ერთ-ერთი ამ მოვლენათაგანი (ან ყველაფერი ერთად) მსოფლიოს ახალ ფინანსურ კრიზისში შეიყვანს.

„ამას სამი მიზეზი აქვს. პირველ რიგში, მსოფლიო ეკონომიკა 2007-08 წლების შემდეგ ფეხზე ვერ დადგა. მეორეც, ეკონომიკურმა პოლიტიკამ საკუთარი თავი ამოწურა. ორივემ, ფინანსურმა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ, თავიანთი ეფექტურობის ზღვარს მიაღწია. ბოლო, მესამე მიზეზი კი არის პოლიტიკური სისუსტე. ეკონომიის გაჭიანურებული პოლიტიკა მმართველი პარტიებისადმი ნდობას არყევს. ევროზონის პერიფერიული ქვეყნები განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. იტალიაში სუსტი კოალიცია არჩევნების შემდეგ გაზაფხულზე, ან კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეთა გამარჯვება, შესაძლოა, არა მხოლოდ ევროს დასასრულის დასაწყისი, არამედ ახალი ფინანსური კრიზისის სტარტი გახდეს,“ — ამბობს ექსპერტი.

ეკა ბაძრაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აუცილებლად გასაკეთებელი საქმე 2013 წელს

„თბილისოს“ ავტორის ძეგლი სწორედაც უნდა ამშვენებდეს თბილისს!

მირეკავს ბატონი **ნუგზარ ფოფხაძე** – ერთ დროს ჩემი რედაქტორი გაზეთ „კომუნისტში“ და სალამ-ქალამის შემდეგ მეკითხება: – „შენი აზრით, უნდა იდგეს თუ არა თბილისში რევაზ ლაღიძის ძეგლი?!“

– „თბილისოს“ ავტორისთვის სიცოცხლეშივე უნდა დაგვედგა ძეგლი, ნუგზარ ბატონო!

– „აგაშენა ღმერთმა!.. ჰოდა, იმ დღეს წავიკითხე, „საქართველოს რესპუბლიკაში“, საკითხს რომ სვამ, ლადო ასათიანი მთაწმინდის პანთეონში ავასვენოთ, ხოლო მისი ძეგლი, გოგი შხვაცაბაიას მიერ შესრულებული, რუსთაველზე დავდგათო... და ასეთი აზრი მომივიდა: შენ გეცოდინება მოქანდაკე **თენგიზ აბრამიშვილი** – ნიჭიერი კაცი, რომელსაც მზადა აქვს რეზო ლაღიძის, მე მგონი, მართლაც უნაკლო ძეგლი, ჰოდა, ნახე თენგიზი, ესაუბრე, კარგი იქნება, აქაც დასვას საკითხი „საქართველოს რესპუბლიკამ“, რეზო ლაღიძის ძეგლის თბილისში დადგმის თაობაზე... იცოდე, „რედაქტორის დავალებაა“ ეს... 25 წლის შემდეგ!“ – თავისებურად ხუმრობს ნუგზარი.

„აუ, რა დრო გასულა!“

„მაშ!“

* * *

...ჰოდა, ვდგავარ ახლა თენგიზ აბრამიშვილის სახელოსნოში და რეზო ლაღიძის, ჯერჯერობით, თაბაშირში ჩამოსხმულ ბიუსტს ვათვალიერებ, მართლაც შთამბეჭდავია, მართლაც დიდებულია იგი. თენგიზი კი მიყვება მისი შექმნის ისტორიას: – „რა გასაკვირია, რომ განსაკუთრებით მიყვარდა რეზო ლაღიძის მუსიკა, როგორც შემეძლო, ვასრულებდი ფორტეპიანოზე მის ნაწარმოებებს, ანდა, ვმღეროდი ჩემთვის... სამხატვრო აკადემია 1998 წელს დავამთავრე ბატონი მერაბ ბერძენიშვილის პედაგოგობით, მის გვერდით ვიმუშავე კარგა ხანს და ეს წლები დაუვიწყარია ჩემთვის...

უფრო საეკლესიო ხუროთმოძღვრებამ გამიტაცა და, ამჟამად, სწორედ ამ საქმეს ვემსახურები. ქვაში მაქვს გამოკვეთილი წმინდა ნინოს, ილია ჭავჭავაძის, დავით აღმაშენებლის, გრიგოლ ხანძთელის (რომელიც ახალციხეში დაიდგა) და სხვათა ბარილიეფები... პირველი ნამუშევარი, მაინც ცხონებული გოგი დოლიძის ძეგლი იყო 2000 წელს, რომელიც, რა დასამალია და, ძალიან მოსწონთ „ქართული ხმების“ ბიჭებს და, მგონი, სხვებსაც...

ერთ დღესაც ჩემი უსაყვარლესი კომპოზიტორის გამოძერწვა მოვინდომე, წავედი საგარეჯოში, იქ მეგობარი მუშაობდა აგურის ქარხანაში, რომელმაც ოთხი ტომარა თიხა მაჩუქა, დავამუშავე ეს თიხა და რაც შემეძლო სიყვარულით გამოვძერწე რეზო ლაღიძის სახე... როგორც ხედავთ, ჯერ თაბაშირშია იგი, ბრინჯაოში უნდა ჩამოისხას... ბევრსა აქვს ნანახი, მოწონებულიც, რაც მთავარია, რეზოს ქალიშვილი ქალბატონი ლელა და მისი მეუღლე დარჩნენ კმაყოფილი, მოსწონთ „ქართული ხმების“ ბიჭებსაც, ის კი არა, სალომე ყანჩელის მემორიალური დაფის გახსნისას (ჩემი შესრულებულია) „ქართული ხმების“ ხელმძღვანელმა ბატონმა ზურაბ ლოლაძემ დახმარება აღმითქვა, ყოველნაირად ვეცადოთ, რომ ეს ძეგლი ოპერის თეატრის ეზოს ამშვენებდესო, და მიდგა-მოდგა კიდეც... თითქოს არავინ უარზე არ იყო, თბილისის მერიაც დაგვეთანხმა, მაგრამ დაიწყო ოპერის თეატრის რეკონსტრუქცია და ეს საქმეც გადაიდო... ჩვენც ველოდებით... ჩემი და არქიტექტორ **მალხაზ თავართქილაძის** აზრით, ძეგლი უნდა დაიდგას ლაღიძის ქუჩისა და ოპერის ბაღის დასაწყისში... ვნახოთ...

* * *

თენგიზ აბრამიშვილი მორიდებული კაცია... რას ჰქვია, **ვნახოთ?!** ეს ნამუშევარი უკვე აქვს ნანახი და მოწონებული ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელს, მწერლებს, მხატვრებს, მოქანდაკეებს... მათი აზრი თანხმიერია – ჩვენს წინაშეა ნაღდი რეზო ლაღიძე, ჩვენ რომ გვახსოვს მისი აღმაფრენის წლებში, ისეთი!..

ჰოდა, სწორედ ქართული ინტელიგენციის სახელით, დიდი რეზო ლაღიძის ნათელი ხსოვნის სახელით, ვთხოვთ საქართველოს კულტურის სამინისტროს, ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექციას, რომ დაუყოვნებლივ მიაქციოს ყურადღება ამ ფაქტს, რადგან საოპერო თეატრის შენობის რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ ისე არ მოხდეს, რევაზ ლაღიძის ძეგლის ავტორს უთხრან, დამთავრდა რემონტი, აქამდე, სად იყავითო!

ხომ ღირსია რევაზ ლაღიძე, რომ მისი ძეგლი ოპერის თეატრის შემოგარენს ამშვენებდეს?.. ჰოდა, იქნებ დავაჩქაროთ მისი დადგმა თეატრის ეზოში, ლაღიძის ქუჩის მოსაზღვრე ტერიტორიაზე!

* * *

ახლა კულტურის სამინისტროს, ანუ ბატონი გურამ ოდიშარიას და ოპერისა და ბალეტის თეატრის, ანუ ბატონი დავით საყვარელიძის ჯერია, რომლებიც, დარწმუნებული ვართ, ამ საშვილიშვილო საქმეს, ყურადღებას არ მოაკლებენ... აბა, ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ გზაში

შემთხვევა ავტობუსში

ამას წინათ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობიდან გამოვედი. ჩვენს ეროვნულ (ყოფილ საჯარო) ბიბლიოთეკაში მივდიოდი. იქამდე ავტობუსის ორი გაჩერებაა. ამ მანძილს და კიდევ მეტს ჩვეულებრივ ფეხით გავდივარ ხოლმე, მაგრამ ამჯერად მიმეჩქარებოდა, ბიბლიოთეკაში ბლომად მოსასწრები საქმე მქონდა, ამიტომ ავტობუსით წასვლა გადავწყვიტე. უკანა კარებიდან ავედი. ცქრიალა გოგონა სკამიდან მაშინვე წამოხტა და ადგილი დამითმო. „გავჯავრდი“ და ხმამაღლა მივმართე: მე გოგოებს თვალებს ვუპრაწავ და შენ ჩემი სიბერე მთელ ქვეყანას გააგებინე-მეთქი. ამხანაგები ახლდნენ და გაიცინეს.

მერე იმავე ტონით ვუთხარი: არ გეშინია, ლომაიამ რომ დაგინახოს და დაგსაჯოს, მან ხომ გასწავლათ და გაგაფრთხილათ, ტრანსპორტში ბილეთი გაქვს ნაყიდი და ადგილი შენია, არავის დაუთმოო!

ვიღაცამ დაიძახა: ჩანს, ეს გოგონა ოჯახშია გაზრდილიო.

– რა, შენი ყურით გაიგონე, კახა ლომაიამ ეს რომ თქვა? – შემომედავა ჩემსავით ხანდაზმული, უკანა კარებიდან ხელმარჯვნივ მდებარე სკამზე ჩვენკენ პირით მჯდომი გაუპარსავი კაცი.

– არა, მისგან არ გამიგონია, მაგრამ ბევრისგან კი ნამდვილად მსმენია. მისი მინისტრობის დროს არაერთი აბიტურიენტის მშობელს ჩემთვის უთქვამს: სახელმძღვანელოდ გამოსულ „უნარ-ჩვევების“ სამაგალითო კითხვა-პასუხებში კითხვაზე – ტრანსპორტში მოხუცს უნდა დაუთმო თუ არა ადგილი? – სამი თუ ოთხი სავარაუდო პასუხიდან სწორად მიჩნეულია – „არა!“. ასეაო ახსნილი: იმ ადგილში ფული გაქვს გადახდილი და შენ გეკუთვნისო. ასე რომ ლაპარაკობდნენ, ნაღდია, კვამლი კი, ამბობენ, უცეცხლოდ არ არსებობსო. ყოველ შემთხვევაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თუ სხვა ვინმეს ეს რომ გაეპროტესტებინოს, ნამდვილად არ მახსოვს!

ის კი ტელევიზიით მთელმა საქართველომ იხილა, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, სწორედ ალექსანდრე (კახა) ლომაიამ, რომელმაც განათლებისა და მეცნიერების ე. წ. რეფორმა ჩაატარა, თბილისელმა ქართველმა კაცმა, მოსწავლეთა წინაშე დაფაზე „ბავშვი“ რომ ვერა და ვერ დაწერა! ეს თქვენ არ გინახავთ? მაშინ რამდენი მოქმედი და ღირსეული მეცნიერი სამსახურიდან გაყარეს, „ჩარეცხეს“!

– მე მეცნიერი ვარ და ახლაც ვმუშაობ.

– მანვე „წყალგაუვალი“ საგუთი მომიტანა.

– რამდენი წიგნის ავტორი ბრძანდებით? – ვეკითხები მე.

– მე ტექნიკური დარგის მეცნიერი ვარ. შენ რამდენი გაქვს?

– ცამეტი. – აღარ დავუზუსტე, რომ რვა წიგნი გამოცემული მაქვს და ხუთი – გამოსაცემად გამზადებული. რომ 2007 წლიდან, რაც ლომაიას ცოლის დაქალებმა პოსტები დაიკავეს და მე „ჩამრეცხეს“, ყოველწლიურად თითო (უმეტესად სქელტანიან) წიგნს ვბეჭდავ. ამ დროს კი სამსახურში დატოვებულნი, მცირე გამონაკლისის გარდა, ერთ და ორ სტატიას თუ „მოახლაფორთებენ“ ხოლმე.

– შენისთანებს კომუნისტები მოსწონთ და ლომაია არ მოეწონებათ, – აგრძელებს იგი.

– რა შუაშია აქ კომუნისტები?! რა მეცნიერიცა გრძანდებით, მაგ ლოგიკასა და აზროვნების წესში გეტყობათ. გაეცანით ლომაიას ქონებრივ დეკლარაციას, გაზეთ „ასავალ-დასავალში“ რომ დაიბეჭდა, და ნახავთ: თავიდან რა ქონების პატრონი გრძანდებოდა იგი (მისი მშობლები, ოჯახი) და რა ქონება იშოვა მინისტრობისას. საიდან?!

ამასობაში ავტობუსი ილიასა და აკაკის ძეგლთან მივიდა. რომ ჩავდიოდი, ჩემმა „ოპონენტმა“ მომაძახა:

– რამდენი შვილიშვილი გყავს?

– იცი, ჩემმა ღორმა რამდენი გოჭი დაყარა?! – წავიხულიგნე და მყისიერად მივახალე. ავტობუსში ხარხარი ატყდა.

ბორის დარჩია

◎ საახალწლო ბლიცინტერვიუები

რით დაგამახსოვრდათ 2012 წელი და რას მოელით 2013 წლისგან?

ივანე ჯაფარიძე, გეოლოგი და ჟურნალისტი, რადიოპროგრამა „ჩვენი საგანძურის“ ავტორი და წამყვანი: „2012 წელი დასამახსოვრებელი და მნიშვნელოვანი იმით იყო, რომ შეიცვალა ხელისუფლება არა რევოლუციით, ომით, სროლებით, არამედ მშვიდობიანად. ეს არის მნიშვნელოვანი.

მომავალ წელს ველოდებით სიკეთეს. იმედი გვაქვს, რომ ქვეყანა გახდება სამართლიანი, კანონი იქნება უზენაესი და აქედან გამომდინარე, ყველაფერი თავის ნორმალურ კალაპოტში ჩადგება – განვითარდება ხელოვნება, კულტურა, მეცნიერება, რაც აუცილებელი და სასულდგმულოა ქვეყნისათვის.

ბელა შალვაშვილი, პოეტი და მთარგმნელი: „2012 ჩემთვის ბედნიერი წელი იყო. მრავალწლიანი შრომა ირანელებმა დამიფასეს და შაჰ-ნამეს თარგმნისათვის მომანიჭეს ირანის ისლამური რესპუბლიკის საერთაშორისო პრიზი – წლის წიგნი. ამ ამბავმა ძალიან წამახალისა და მთელი წლის განმავლობაში შაჰ-ნამეს კიდევ 9 ათასი სტრიქონი ვთარგმნე. ასე რომ, ხელხვავიანი მქონდა 2012 წელი. მინდა, რომ ჩემს ქვეყანას ხელხვავიანი ჰქონდეს არა მარტო ეს წელი, არამედ – ხვავრიელი და ბედნიერი ასწლეულები და ათასწლეულები.

რას მოველი 2013 წლისგან? ქვეყნისთვის უკეთესსა და უკეთესს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სურვილი მაქვს. ახალი ხელისუფლებისგან დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველო, მართლაც, მრავალ სიკეთეს მოიმკის. კონკრეტულად – ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მწერლებს დაუბრუნდებათ მათი უძვირფასესი სასახლე – მწერალთა სახლი.

ჯუმბერ ჯიშკარიანი, სპელეოლოგი-ჟურნალისტი: „2012 წელი, განსაკუთრებით მისი ბოლო მეოთხედი ბედნიერი იყო არა მარტო ჩემთვის, არამედ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისათვის.

ვისურვებდი, რომ 2013 წელს მოსახლეობას უფრო რეალურად ეგრძნოს თავიანთი არჩევნის სისწორე.

ვისურვებდი, რომ მომავალ წელს წყალტუბოს მღვიმე საქართველოში პოპულარულ ტურისტულ ობიექტად ქცეულიყოს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ერიჰაა!

როდესაც კახეთის მოსახლეობა სასხოვრებლისა და სარჩოს გარეშე დარჩა, სააკაშვილი ბოტის, სტინგისა და ბუბა კიკაბიძის კონცერტებს პრეზიდენტის ფონდიდან აფინანსებდა

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 2004 წელს შეიქმნა და დღემდე მის საქმიანობას „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 28-ე მუხლი განსაზღვრავს. 2005 წლამდე კანონში ეწერა, რომ პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახელმწიფო თანხებს გამოყოფს ისეთი საგანგებო შემთხვევებისათვის, როგორიცაა ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები და გაუთვალისწინებელი საგანგებო შემთხვევები, 2005 წელს ნაცებმა კანონში ცვლილებები შეიტანეს და პრეზიდენტსა და მთავრობას საშუალება მიეცათ დააფინანსონ „გაუთვალისწინებელი ხარჯები“. თუმცა, რა შედის გაუთვალისწინებელ ხარჯებში, კანონში დაკონკრეტებულია არაა.

ამის შემდეგ სარეზერვო ფონდების შესახებ კანონში სისტემატურად შედიოდა ცვლილებები. იურისტების განმარტებით ეს ცვლილებები ყოველთვის მიმართული იყო ფონდების დაფინანსების, არეალის გაფართოებისკენ და ამცირებდა მათ ანგარიშვალდებულებას, ნელ-ნელა გაუქმდა კონტროლის ყველა მექანიზმი. 2006 წლიდან სავალდებულო აღარ არის პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების კვარტალური ანგარიშების პარლამენტისათვის წარდგენა. იმავე წელს კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც პრეზიდენტს მოუხსნეს ანგარიშგება განხორციელებულ შესყიდვებზე. 2009 წელს კანონში კიდევ ერთი ცვლილება შევიდა, რომლითაც პრეზიდენტს ფონდიდან თანხების განკარგვაზე ყველანაირი შეზღუდვები მოეხსნა. მაგრამ, სააკაშვილს ეს არ ყოფნიდა, მას მეტი თავისუფლება უნდოდა და კანონშიც შევიდა ცვლილება – კანონიდან ამოიღეს ის მუხლები, რომელშიც იყო ჩამონათვალი იმისა, თუ რაში არ შეიძლებოდა სარეზერვო თანხიდან ფულის დახარჯვა.

იურისტ ლევან ალაფიშვილის განმარტებით, უკვე მოქმედი კანონით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან კონცერტების დასაფინანსებელი თანხების გამოყოფა კანონდარღვევად არ აღიქმება, მაგრამ რეალურად საქმე გვაქვს ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივ ხარჯვასთან.

მარტო გასულ წელს პრეზიდენტის ფონდიდან 1265743 ლარი გამოიყო ბათუმში კრის ბოტისა და სტინგის კონცერტების დასაფინანსებლად. მომღერალ ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძეს, პრეზიდენტის ფონდიდან დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში კონცერტების ჩასატარებლად 327 ათასი ლარის ეკვივალენტი დოლარი გამოეყო. იმავე ფონდიდან 50 ათასი ლარი გამოიყო ლელა წურწუმიას 17 წლის შემოქმედების აღსანიშნავი ფილარმონიაში ჩატარებული ღონისძიებისათვის. 200688 ლარი დაუჯდა ფონდს „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ჭაღის დამზადება-დამონტაჟება.

387 ათასი ლარი დაჯდა საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში სარეკლამო ბანერების განთავსება. სააკაშვილმა მესტიაში „უკრაინული ახალი წელი საქართველოში“ ღონისძიების ჩასატარებლად 66159 ლარი გამოყო. იმავე მესტიაში თამარ მეფის ქანდაკების დადგმა 1.202 566 ლარი დაჯდა,

ამას ჰქვია პრეზიდენტის არაადეკვატურობა!

ხოლო თბილისში რიყეზე აშშ ყოფილი პრეზიდენტის როლანდ რეიგანის ძეგლის დადგმა 133.959 ლარი დაჯდა. სარეზერვო ფონდიდან 300 ათასი ლარით დაფინანსდა საქველმოქმედო ფონდი „ხელოვნები თანადგომისათვის“. ბათუმის შესახებ ვიდეო-კლიპ „ბესამე მუჩოს“ შესაქმნელად 56 ათასი ლარი გახდა საჭირო. ბორჯომის ცენტრალური პარკის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია ერთი მილიონი ლარი დაჯდა, ხოლო ანაკლიის ზღვის ზოლზე ბულვარის გაშენება 3 მლნ. ლარი მოხმარდა. საოპერო სპექტაკლის „ქეთო და კოტეს“ დადგმის რაოდენობის გაზრდას 1250000 ლარი დასჭირდა. თბილისში მოდის კვირეულის ჩატარებას – 165 ათასი ლარი.

სპეციალისტთა გაკვირვებას იწვევს სააკაშვილი ხელგაშლილობა უშიშროების საბჭოს დაფინანსების კუთხით გამოყოფილია 18201 669 ლარი, რომელთა მიზნობრიობა გაურკვეველია პრეზიდენტის ბრძანებით თანხა გამოყოფილია სარემონტო სამუშაოებისათვის და ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის.

ფონდიდან თანხების ფლანგვას პრეზიდენტი 2012 წელსაც აგრძელებდა

სააკაშვილმა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის 638216 ლარი დახარჯა. 600 ათასი ლარი გამოიყო ლაზიკაში საზეიმო ღონისძიებების ორგანიზებისათვის. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გამოეყო 102405 ლარი ბრენდ „ნიუ ჯორჯიას“ დასაფინანსებლად, რათა მას მოეხდინა საქართველოში მოსახლეობისა და უცხოელი ინვესტორების ინფორმირება სარეკლამო მასალებით, ქვეყნის წარმატებით განვითარების თაობაზე. 102 ათასი ლარი გამოიყო ჟურნალ „მარკის“ 37 ნომრის მთელ საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებისათვის, სადაც იყო სლოგანი – „სააკაშვილი აღაშენებს საქართველოს“. ასევე რეკლამირებისთვის გაიხარჯა 82 ათასი ლარი ბანერების შესაქმნელად და საქართველოს მასშტაბით გასავრცელებლად. როგორც 2011 წელს, მიმდინარე წელსაც საზოგადოებრივი ფონდის „ხელოვნები თანადგომისთვის“ 300 ათასი ლარი გამოიყო. 450 ათასი ლარი გამოიყო ქუთაისში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი საზეიმო აღლუმისათვის.

2012 წელი საპარლამენტო არჩევნების წელი იყო და სააკაშვილს ახლაღა მოაგონდა რეგიონები და მათი ინფრასტრუქტურა. ამისთვის ყველა რეგიონს გამოეყო თანხები – სულ 30460 000 ლარი. თანხები გამოყოფილია უცხოეთში ნაციონალების პიარის შესაქმნელადაც. გერმანიაში საქართველოს საელჩოს დამხმარე სამუშაოების ანაზღაურებას 22356 დოლარი მოხმარდა. საქართველო აშშ-ის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის დღის აღსანიშნავ ღონისძიებებზე პრეზიდენტის ფონდიდან 205 ათასი ლარის ეკვივალენტი გამოეყო დოლარებში. ღონისძიებები ვაშინგტონსა და ლოს-ანჯელესში ჩატარდა. გაეროში აფრიკის ქვეყნების და საქართველოს წარმომადგენლების ჩვენთან ვიზიტი 205 ათას ლარი დაჯდა, ხოლო გაეროში სხვადასხვა ქვეყნების და საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის ვიზიტი – 283300 ლარი.

რაც შეეხება სხვადასხვა ღონისძიებებს. პრეზიდენტის ფონდმა დააფინანსა კერძო პირთათვის ლეპტოპების შეძენა, ფიზიკურ პირთათვის ფინანსური დახმარებები 1000 ლარის ოდენობით ყოველ თვეში. და სხვა მეორეხარისხოვანი საკითხები. საბოლოოდ პრეზიდენტის ფონდმა წლეულს 9 თვის განმავლობაში გახარჯა 40980 ათასი ლარი. ამ მონაცემების საფუძველზე იურისტი ალაფიშვილი ასკვნის, რომ თანხების არამიზნობრივმა ხარჯვამ, ის შედეგი მოიტანა, რომ როდესაც საჭირო იყო თანხები კახეთში მოსახლეობის დასახმარებლად, ფონდში ფული აღარ იყო.

იურისტ სოსო გალუმაშვილს ვერ გაუგია, თუ რა იყო ბუბა კიკაბიძის უცხოეთში კონცერტებით ვოიაჟის მიზანი. რა მიიღო საქართველომ ამ კონცერტებით. ეს არის ჩვენი, გადასახადების გადამხდელთა ფული და ყველამ უნდა ვიცოდეთ, რაში იხარჯება თანხები.

ექსპერტთა საერთო მოსაზრებით, ფონდების შეკვეცა-შემცირებით პრობლემა ვერ მოგვარდა. ის საკანონმდებლო დონეზე უნდა გადაწყდეს. საბიუჯეტო კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილებები, რომლითაც განიხილება არა მხოლოდ ლიმიტები, არამედ ისიც, თუ რაში უნდა დაიხარჯოს ფულები სარეზერვო ფონდებიდან.

აუდიტის სამსახური აწარმოებს როგორც ფინანსურ ასევე ეფექტიანობის აუდიტს, ფინანსური აუდიტი ეს არის ბუღალტრული აღრიცხვა. შესაბამისობის აუდიტი ეს არის კანონთან შესაბამისობაში თანხების ხარჯვა. ეფექტიანობის აუდიტი კი არის სწორედ მიზნებია და თანხების ეფექტურად ხარჯვა. კარგი იქნება თუ აუდიტის სამსახური (მოგელაძე და მისი კოლეგები) ჩაატარებენ კვლევას და საზოგადოებას მოახსენებენ რამდენად ეფექტიანად ხდებოდა თანხების ხარჯვა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან.

ზაზა ბილიხოძე

◎ ჯარიმები შემცირდა

საშემოსავლო გადასახადზე ფიქრი დაიწყეს

მთავრობა შემცირებისა და შელავათების გზას ადგას. მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის გაიაფების შემდეგ ჯერი ბიზნესმენებზე მიდგა. მათთვის საჯარიმო განაკვეთები იკლებს.

საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის 500-ლარიანი ჯარიმა 200 ლარამდე მცირდება. მთავრობამ პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტით მიმართა, რომელიც რიგ საკითხებთან ერთად საგადასახადო კუთხით დაწესებული სანქციების შემცირებასაც ითვალისწინებს. ეს სალარო აპარატებსაც ეხება.

ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსით, მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას, საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობა იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ქვითარში ფაქტობრივად გადახდილზე ნაკლები თანხის ჩვენებაც 500-ლარიანი ჯარიმის საფუძველია. წარმოდგენილი ცვლილებით კი, აღნიშნულ ქმედებებზე დაწესებული 500-ლარიანი ჯარიმა 200 ლარამდე მცირდება.

უმნიშვნელო შესწორებაა გარკვეული ტიპის საჯარიმო სანქციებში. ასე მაგალითად, დღესდღეობით საქონლის ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებისათვის გათვალისწინებულია 1000 ლარის ოდენობის ჯარიმა, ქმედების განმეორებისას ჯარიმა კი 5 000 ლარამდე იზრდება, ხოლო მომდევნო განმეორებაზე – 10 000 ლარამდე. ახალი ცვლილების მიხედვით კი, ყოველ შემდეგ განმეორებაზე ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს 5 000 ლარის ოდენობის ჯარიმა გამოეწერება.

მთავრობა პარლამენტისგან საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების პროექტის დაჩქარებული წესით განხილვას ითხოვს, რადგანაც ცვლილები სამომავლოდაც იქნება და როგორც ჩანს, არცთუ უმნიშვნელო. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სულაც არ გამორიცხავს, რომ ეკონომიკის ზრდის გათვალისწინებით, გადასახადების საპროცენტო განაკვეთები შემცირდეს.

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც დაუბეგრავ მინიმუმზე დაიწყო საუბარი, საზოგადოება ორად გაიყო: ოპოზიცია და ფინანსისტთა ერთი ნაწილი საშემოსავლოს კლებას უჭერს მხარს, ხელისუფლება და ეკონომისტთა მეორე ნაწილი ამჟამინდელ ინიციატივას.

აუდიტორული კომპანია „ბიდიოს“ ხელმძღვანელ ზურაბ ლალაზაშვილის თქმით, დაუბეგრავი მინიმუმის შემოღების ნაცვლად საშემოსავლო გადასახადის შემცირება ბიზნესს უფრო მომგებიან სიტუაციაში ჩააყენებდა, რადგან ამ შემთხვევაში შეღავათი ყველაზე გავრცელდებოდა. იგივე შეხედულების არის მოქალაქეთა ნაწილიც. ინტერაქტიული გამოკითხვების შედეგად 52% უფრო ეფექტიანად საშემოსავლოს შემცირებას მიიჩნევს.

საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი კი თვლის, რომ ერთდროულად საშემოსავლო გადასახადის შემცირებაც და დაუბეგრავი მინიმუმის შემოღებაც შეუძლებელია, რადგან ეს პირდაპირ ბიუჯეტის პრობლემას წარმოშობს.

ონოფრიშვილის თქმით, დაუბეგრავი მინიმუმი მხოლოდ სოციალურად დაუცველ დაბალშემოსავლიან ფენას ეხება, რადგან ის მხოლოდ წლიურად 6 ათასი ლარის ქვევით შემოსავლის მქონე ადამიანების ხელფასებზე ვრცელდება. საშემოსავლო გადასახადის შემცირებით კი, ონოფრიშვილის თქმით, სარგებელს საშუალო, მაღალი და მდიდარი ფენის წარმომადგენლები მიიღებდნენ.

ასეა თუ ისე, მთავრობაში მაინც ფიქრობენ საზოგადოებრივ განწყობაზე. ჯერჯერობით მათ დაუბეგრავი მინიმუმის შემოღება დააკანონეს, მაგრამ არცთუ შორეულ მომავალში, შესაძლოა, საშემოსავლოს განაკვეთის კორექტირების საკითხიც დადგეს.

„2013 წლიდან სიახლე იქნება ის, რომ საშემოსავლო გადასახადში დაუბეგრავი მინიმუმი შემოგვაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთა წლიური შემოსავალი 6 ათას ლარს არ აღემატება, შესაძლებლობა ექნებათ, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლიდან 1 800 ლარზე გადახდილი საშემოსავლო გადასახადი დაიბრუნონ წლის დასრულების შემდგომ. სხვა ცვლილებები 2013 წლისთვის გათვალისწინებული არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, ჩვენც მომხრე ვართ, რომ გადასახადები შევამციროთ“, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

გიორგი ბეძაური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ საახალწლო ბლიცინტერვიუები

რით დაგამახსოვრათ თავი 2012 წელმა და რას ელით 2013 წლისგან?

10 წურება 2012 წელი, რომელიც მნიშვნელოვანი იყო როგორც ქართველი სპორტსმენებისთვის, ისე მთლიანად ქვეყნისთვის. რას ფიქრობენ და როგორ აფასებენ სპორტის კაცები განვლილ 12 თვეში განვითარებულ მოვლენებს, ამის თაობაზე ზოგიერთი ათლეტის შთაბეჭდილებებიდან გაიგებთ:

შოთა ხაბარელი, ოლიმპიური ჩემპიონი, პარლამენტარი: დაუფარავად გეტყვით – 2012 წლის პირველ ოქტომბერს საქართველო გადარჩა – მოვიდა ხელისუფლება, რომელსაც თავისი ხალხი და ქვეყანა უყვარს. ჩვენთან მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელი სულ მალე იგემებს საკუთარი არჩევანის ნაყოფს. მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

პირადად ჩემთვისაც მნიშვნელოვანი იყო ეს წელი – საკანონმდებლო ორგანოში ამირჩია ხალხმა და მეტი შანსი მომეცა, ერის კეთილდღეობაში ჩემი წვლილი შევიტანო. პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვარ. ასე რომ, ისევ ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურები და სპორტს პარლამენტიდან დავეხმარები. იცით, რომ კანონი სპორტის შესახებ 1996 წელს მიიღეს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ შეიცვალა. 2013 წელს სპორტის სამინისტრო შემოვა პარლამენტში ინიციატივით და ახალ კანონზე ვიმუშავებთ. უკვე მიმდინარეობს წინასწარი სამუშაოები, ყოველდღიურად ვხვდებით ფედერაციების წარმომადგენლებს, რომ მათი აზრი მაქსიმალურად გავითვალისწინოთ.

კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი გვექნება მოსაგვარებელი სასწრაფოდ: წინა მთავრობამ უსამართლოდ გააუქმა სპორტის აკადემია. უკვე მიღებულია ისეთი დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც 2013 წელს სპორტის უნივერსიტეტი გაიხსნება და მწვრთნელების, მსაჯებისა თუ სპორტის მასწავლებლების მომზადებაში დეფიციტი აღარ გვექნება.

ლაშა შავდათუაშვილი, ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონი: თავი ჯერ კიდევ სიზმარში მგონია. ის იყო, წლეულს უფროსებში გადავედი და ძნელად თუ დაიჯერებდა ვინმე, რომ ლონდონის ოლიმპიადის საგზურს მოვიპოვებდი. ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავე, მერე სალიცენზიო ქულებიც მოვაგროვე და, რაც მთავარია, ბრიტანეთის დედაქალაქში ქომაგების გახარება შევძელი – ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი. ლონდონის ტატამზე ყველა წარმატება მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებით ფავორიტთან – იაპონელ მეტოქესთან გამარჯვებამ გამახარა და კვარცხლბეკზე ასასვლელად დამატებითი მუხტი მომცა. ჯერ ბოლომდე ვერც გამითავისებია, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ვარ. მართალია, ასეთი რანგის ტიტული, მართლაც, შეუდარებელია, მაგრამ უფრო დიდ ჯილდოდ ხალხის სიყვარული მიმაჩნია, რომელსაც ყოველდღიურად ვგრძნობ. 2012 წელი ჩემი ქვეყნისთვისაც მნიშვნელოვანი იყო. ახლა ბევრი რამ იცვლება და მჯერა, რომ ყველაფერი ხალხის საკეთილდღეოდ იქნება.

გაგამარუ (თეიმურაზ ჯუდელი), სუმოისტი: 2012 წელი ჩემთვის წარმატებით დაიწყო – იანვრის ბაშოზე 12 ორთაბრძოლა მოვიგე და „პატარა ჩემპიონის“ წოდებაც დავიმსახურე, კომუსუბობაც მომანიჭეს, მაგრამ შემდეგ შეჯიბრებაზე მხარი დავიზიანე და საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენას ვერ ვახერხებდი. ნოემბერში მაინც შევძელი, ასპარეზობის დადებითი ბალანსით დასრულება, ამიტომ მეშვიდედან მეოთხე მაეგაშირამდე დავწინაურდი. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიხარულო მაინც ის იყო, რომ საქართველოში პოლიტიკური ცვლილებები დემოკრატიულად და ცივილიზებულად მოხდა. მართალი გითხრათ, წინა წლებში ისეთი უსიამოვნო ფაქტების მომსწრენი ვიყავით, რომ ერთგვარ შიშს ახლაც ვგრძნობდი, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა, რაც გადამწყვეტი მომენტი იყო. იაპონელებსაც, რომლებიც ახლა ჩვენს ქვეყანას ბევრად უკეთ იცნობენ, მიაჩნიათ, რომ საქართველო დემოკრატიულად ვითარდება, რაც, ცხადია, სიკეთეს მოგვიტანს.

ვაჟა დანელია

◎ აღიარება

სეოკ-ის რჩეულნი

საძართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 2012 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი დაასახელა. გთავაზობთ მათს ვინაობას: ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო, ლონდონის ოლიმპიური ჩემპიონი), **დავით მოძმანაშვილი, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (ორივე–თავისუფალი ჭიდაობა, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსნები), **რევაზ ლაშხი** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ოლიმპიადის მეორე პრიზიორი), **დავით მარსაგიშვილი, გიორგი გოგშელიძე** (ორივე–თავისუფალი ჭიდაობა, ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორები), **მანუჩარ ცხადაია** (ბერძნულ–რომაული ჭიდაობა, ოლიმპიადის მესამეადგილოსანი), **ვარლამ ლიპარტელიანი** (ძიუდო, ევროპის ჩემპიონი), **ელენე გედევანიშვილი** (ფიგურული სრიალი, ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი), **მამუკა გორგოძე** (მორაგბე).

შეგახსენებთ, რომ ტატამის გორელ დიდოსტატს ტრადიციულ გამოკითხვაში უპირატესობა ქართველმა სპორტულმა ჟურნალისტებმაც მიანიჭეს. მათვე განვლილი სეზონის უძლიერეს გუნდად ჩვენი ქვეყნის კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრები მიიჩნიეს.

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

ხუთეული ცნობილია

საძართველოს საჭადრაკო ჩემპიონატის პირველი ლიგის გამარჯვებული დავით ლომსაძე (2343) გახდა, რომელიც ბოლო ტურში თეთრი ფიგურებით გიორგი ნიკოლაიშვილს (2275) დაუზავდა და 7 ქულა მოაგროვა. მან დამატებითი მაჩვენებლებით დავით ბენიძეს (2518) აჯობა, რომელმაც მე-9 ტურში შავებით ზურაბ ჯავახაძეს (2446) სძლია.

უმაღლესი ლიგის კიდევ 3 საგზური დავით ჯოჯუამ (2545), გიგა ყუფარაძემ (2484) და გაიოზ ნიგალიძემ (2457) მოიპოვეს, რომელთა აქტივშიც 6.5-6.5 ქულა გახლდათ. დასკვნით ტურში ყუფარაძემ და ნიგალიძემ ყაიმი გაიფორმეს, ხოლო ჯოჯუამ თეთრი ფიგურებით ოთარ ჯირკვალიშვილს (2252) სძლია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ თანამშრომლობა

რაგბის კავშირის და UNICEF-ის ახალი ერთობლივი პროექტი

წლეულს ივნისში, ლონდონში, საქართველოს რაგბის კავშირისა და UNICEF-ის პირველი ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში ხორციელდება. პროექტმა საერთაშორისო კონკურსზე „სპორტს მიღმა“ (Beyond Sports Award) დიდი მოწონება დაიმსახურა, რის შედეგადაც გადაწყდა, რომ UNICEF კიდევ უფრო გააღრმავებდა თავის ურთიერთობას საქართველოს რაგბის კავშირთან.

სწორედ ამ მიზნით, 26 დეკემბერს შევარდენის სანაკრებო ბაზაზე საქართველოს რაგბის კავშირის განვითარების ჯგუფი შეხვდა საქართველოში UNICEF-ის თბილისის ოფისის წარმომადგენელს, დავით ღვინერიას.

შეხვედრაზე განიხილეს UNICEF-ისა და საქართველოს რაგბის კავშირის შემდგომი თანამშრომლობის საკითხები. გადაწყდა, რომ სრკ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს UNICEF-ის პროექტში, რომელიც ბავშვებზე ძალადობის წინააღმდეგ არის მიმართული.

დაისახა კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სრკ-ს განვითარების ჯგუფის წევრების მიერ სპეციალური ტრენინგების გავლას და შემდგომ მათ აქტიურ მონაწილეობას ძალადობის მსხვერპლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის პროექტებში.

გიორგი შოთაძე

◎ სეზონის ფინიშზე

ჩვენი გუნდი ხელჩართულ ბრძოლაში მსოფლიო თასის მფლობელია

თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში, საბრძოლო ხელოვნებათა მსოფლიო კონფედერაციის ორგანიზებით, ამ დღეებში ჩატარდა მსოფლიო თასის გათამაშება საბრძოლო ხელოვნების რამდენიმე სახეობაში.

15 ქვეყნის წარმომადგენლებმა კარატეში, აიკიდოში, ჯიუჯიცუში, კიკბოქსინგში, სანდასა და ხელჩართული ბრძოლაში იასპარეზეს.

განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები ხელჩართულ ბრძოლასა და სანდაში გაიმართა, რადგან აქ დარტყმის ტექნიკასთან ერთად, დასაშვებია ჭიდაობის ფანდების გამოყენება. ხელჩართულ ბრძოლაში შეხვედრები წარიმართა როგორც დგომში, ისე ჩოქბჯენში.

კარატეში საქართველოს ღირსებას შოტოკანის ქართველი წარმომადგენლები იცავდნენ. ხელჩართულ ბრძოლაში საქართველო ორი ნაკრებით - ხრიდოლის ეროვნული ფედერაციისა და შერეული ორთაბრძოლების ფედერაციის გუნდებით იყო წარმოდგენილი.

ამასთან, ხრიდოლის ფედერაციამ სამივე ასაკობრივ ჯგუფში გამოიყვანა მონაწილეები. ხელჩართულის გარდა, ხრიდოლის რამდენიმე მებრძოლმა სანდას და კიკბოქსინგის ჩემპიონატშიც იასპარეზა.

ხელჩართულ ბრძოლაში უფროსებს შორის პირველი ადგილები დაიკავეს გიგა გელაშვილმა და ზურაბ ჯოჯუამ (იგი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა).

ზურაბმა სანდას წესებითაც იჩხუბა და 18 წლამდე ასაკის მებრძოლებს შორის თასს აღნიშნულ სახეობაშიც დაეუფლა. წლეულს ამ სპორტსმენმა უფროსებს შორის საქართველოს ჩემპიონობა კონტაქტურ კარატეშიც მოიპოვა.

იგი ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონი, საქართველოსა და ევრაზიის თასის მფლობელი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულია სანდასა და კიკბოქსინგში. არის აგრეთვე კავკასიისა და ევრაზიის თასის მფლობელი ხელჩართულ ბრძოლაში.

ხელჩართულ ბრძოლაში ხრიდოლის გუნდიდან 18 წლამდე მებრძოლებს შორის გამარჯვებულები არიან: გოგიტა ბარბაქაძე, ნიკა ჭიკაიძე, ვალერი ღოლიჯაშვილი, ბექა გოგალაძე. 16 წლამდელებში: ნიკოლოზ ბუჩუკური, პაპუნა ნეფარიძე, ვაჟა წიპტაური, გიორგი ნატროშვილი, ოთარ ლუარსაბიშვილი, ვეფხვია ჭინჭარაული.

ხრიდოლში დიდებს შორის მეორე ადგილი დაიკავა ბადრი შუბითიძემ, ჭაბუკებში - გიორგი როსტიაშვილმა.

სანდას ხალიჩაზე მსოფლიო თასისთვის იბრძოლა შვიდმა ხრიდოლიონმა. უფროსებს შორის ომარ ნაროზაულმა, მიუხედავად იმისა, რომ სიცხიანმა იასპარეზა, ნახევარფინალში აშკარა უპირატესობით დაამარცხა ირანელი მეტოქე, ფინალში კი საჯარიმო ქულით დამარცხდა აზერბაიჯანელ მებრძოლთან და მეორე ადგილს დასჯერდა.

მესამე ადგილი დაიკავა ბადრი შუბითიძემ. ჭაბუკებში თავიანთ წონებში იპირველეს აგრეთვე ბექა გოგალაძემ და რომან ხუნდაძემ. ეს 16 წლის სპორტსმენი ყველაზე ტიტულოვანია ხრიდოლის ისტორიაში. თურქულ ხალიჩაზე ის მსოფლიო თასის მოპოვებამდე თითქმის ყოველწლიურად იმარჯვებდა ეროვნულ ჩემპიონატში.

გარდა ამისა, ხუთჯერ გახდა სანდაში საქართველოს ჩემპიონი და ორჯერ თასის მფლობელი, ორჯერ მოიპოვა ევრაზიის თასი სანდაში და ერთხელ ხელჩართულ ბრძოლაში. ასევე ხელჩართულ ბრძოლაში ოთხჯერ მოიპოვა კავკასიის ჩემპიონის ტიტული, მრავალჯერ გაიმარჯვა კიკბოქსინგში შინ თუ საერთაშორისო ტურნირებში. შარშან სტამბოლში ევრაზიის საბრძოლო ხელოვნებათა ოლიმპიადაზეც ჩემპიონი გახდა. არის თბილისის პრიზიორი ძიუდოში და სამწუხაროდ, ორგანიზატორთა შეცდომის გამო ვერ მოახერხა ეჭიდავა საქართველოს პირველობაზე.

ტრაპიზონის ხალიჩაზე სანდას ჩემპიონატში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა გოგიტა ბარბაქაძემ, მესამე – ნიკოლოზ გუმბერიძემ.

ხრიდოლის ერთმა მებრძოლმა ვეფხვია ჭინჭარაულმა, ხელჩართულის გარდა, ლ-1 წესებითაც იჩხუბა და აქაც პირველი ადგილი დაიკავა.

საბოლოო ჯამში, საქართველოს ხრიდოლის გუნდმა საუკეთესო შედეგი აჩვენა და მსოფლიო თასს ღირსეულად დაეუფლა.

მანუჩარ გიორგაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ საახალწლო ბლიცინტერვიუები

რით დაგამახსოვრათ თავი 2012 წელმა და რას ელით 2013 წლისგან?

მზია ლომციძე, თბილისის მე-10 საჯარო სკოლის პედაგოგი:

2012 წელი ჩემთვის და ბევრი პედაგოგისთვის მეტად რთული იყო. მართალია ჩვენს სკოლაში და პირადად ჩემზე არ ყოფილა პოლიტიკური ზეწოლის ფაქტები, მაგრამ ჩვენ ყველანი ვხედავდით, რაც ხდებოდა საქართველოში, ფაქტიურად სასწავლო პროცესები ჩაშლილი იყო. გადამეტებულად მეჩვენება ის უაზრო და არაფრისმომცემი ტრენინგები, რომლის გამოც უამრავი პედაგოგი ცდებოდა თავის საქმეს და ნაკლები დრო რჩებოდა აღსაზრდელებთან სამუშაოდ. მართლაც ნათელი წერტილი და უდიდესი მოვლენა იყო ხალხის ნებისა და სამართლიანობის გამარჯვება, რაც ოქტომბრის არჩევნებით დაგვირგვინდა.

გაჩნდა იმედი, რომ მიმდინარე ცვლილებები საგანმანათლებლო სივრცეში პედაგოგებს ძველებურ სახელსა და ავტორიტეტს დაუბრუნებს. საგანმანათლებლო სისტემის აპოლიტიზაცია მეტ საშუალებას მოგვცემს, რათა ჩვენი გამოცდილება მთლიანად მოვახმაროთ ახალგაზრდების აღზრდას. იმედია, რომ ცვლილებები ჩვენს სოციალურ უზრუნველყოფაზეც აისახება, რაც პედაგოგს ნაკლებ საფიქრალს გაუჩენს იმისა, თუ როგორ არჩინოს ოჯახი. თუ ყველა დაპირება დროულად და ხარისხიანად შესრულდა, საგანმანათლებლო სფერო მართლაც საუკეთესო იქნება საქართველოში.

* * *

მალხაზ დოლიძე, პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე:

2012 წელი, ჩვენთვის მეწარმეებისთვის, ძალიან რთული იყო საგადასახადო ვალდებულებების მხრივ. მხედველობაში მაქვს ანგარიშსწორების ფორმები, რისი ცვლილებებიც ისე სწრაფად ხდებოდა, რომ მეწარმეებს კაბალურ მდგომარეობაში აყენებდა. ჩვენს საქმიანობაზე უარყოფითად აისახებოდა ისიც, რომ არავითარი ალტერნატივა არ გვქონდა ფქვილის შეძენისას არც ფასში და არც ხარისხში, რაც უარყოფითად აისახებოდა ჩვენს საქმიანობაზე. ეს პირდაპირი ზეწოლა და ხელის შეშლა იყო ჩვენი დარგის მეწარმეებზე.



დასამახსოვრებელი და დადებითი იყო დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები, რამაც საქართველოს მოსახლეობას იმედი ჩაგვისახა და სამართლიანობის ზეობის განცდა გაგვიჩინა.

დიდი იმედებით ვეგებები 2013 წელს. საქართველოსთვის ეს წელი ყოფილიყოს საუკეთესო. ქართველი მეწარმეები ვისურვებდით სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას, საგადასახადო კოდექსიდან ნაღმების ამოღებასა და მარტივ და გასაგებ ბიზნეს წესების შემოღებას. ქართველი მეწარმეები ყოფილიყვნენ წარმატებული და უფრო მეტი მრავალფეროვანი ადგილზე დამზადებული პროდუქცია გამოჩენილიყოს საქართველოში.

* * *

უშანგი ჩომახიძე, პენსიონერი, ინდმეწარმე:



გასული წელი როგორც ჩემთვის, ასევე თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისთვის, დასამახსოვრებელი იყო იმით, რომ ხალხის ნებით ბოლო მოეღო ტირანიას, უსამართლობასა და განუკითხაობას. ამ სიხარულმა ძალზე ბევრი უარყოფითი პირადული გადაფარა.

მომავალი წელი იმედია, მშვიდი და ნორმალური იქნება. ხალხს იმედი გაუჩნდა. უამრავი პრობლემა, რომელიც ნაცმოძრაობამ დაგვიტოვა მოსაგვარებელია. ამას კი დრო სჭირდება და ერთი ხელის მოსმით არ მოგვარდება. მთავარია მოთმინება.

◎ დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 28 დეკემბრის ნომრის მე-5 გვერდზე დაბეჭდილ მარიამ ლორთქიფანიძის ინტერვიუში **„ქართველ ისტორიკოსებს საინფორმაციო ომი არ წაგვიგია...“** დაშვებულია ტექნიკური შეცდომები: მესამე სვეტის პირველი აბზაცის პირველ სტრიქონში უნდა იყოს — **„X საუკუნის ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე“, ასევე მე-6 სტრიქონში — „ე. ი. უკვე X საუკუნეში, მათთვის სადავო დროზე ბევრად ადრე“...**

ხსოვნა

დალი ფორჩხიძე

საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტის ექიმი **დალი ფორჩხიძე,** შესანიშნავი ექიმი, გულისხმიერი მეგობარი, სამი ვაჟკაცის დედა და მრავალი შვილიშვილის ბებია. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულებში.

რადიაციული ონკოლოგებისათვის ეს მძიმე წელიწადი ასევე მძიმედ სრულდება ძვირფასი დალი ფორჩხიძის გარდაცვალების გამო.

იგი დაიბადა 1955 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში და სიცოცხლის ბოლომდე უანგაროდ ემსახურა ონკოლოგიურ პაციენტებს. თავად მძიმე ავადმყოფი, დალი ყოველთვის ახერხებდა თავისი პაციენტებისათის მოეძებნა დამაიმედებელი და გამამხნევებელი სიტყვები, საკუთარი მაგალითით ეჩვენებინა როგორი შემართებით უნდა იბრძოლოს ონკოლოგიურმა პაციენტმა სიცოცხლისათვის.

ასევე უანგარო, თბილი და მოსიყვარულე დედა და ბებია იყო საკუთარი შვილებისა და შვილიშვილებისათვის. ყოველთვის მნიშვნელოვანი და სასიყვარულო ადამიანი იყო ახლობლებისათვის და პაციენტებისათვის, ყველას უნაწილებდა საკუთარ სიყვარულს და კეთილშობილებას.

ყველას გული დასწყვიტა დალის გარდაცვალებამ, მაგრამ მისი ხსოვნა ყოველთვის სავსე იქნება ამ შესანიშნავი ადამიანის სიკეთითა და სითბოთი.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, ძვირფასო მეგობარო.

გარდაიცვალა რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტის ექიმი

დალი ფორჩხიძე

პანაშვიდი 28, 29 XII, 16 სთ. გამოსვენება 30 XII, 14 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას II კვარტ. 35 კორპ. ბინა 3.



მეუღლე ჯულიეტა, შვილები ნინო, გია, რძალი ლია ალთუნაშვილი, სიძე ვაჟა მაღნარაძე, შვილიშვილები სოფო, სოლომონი, გიორგი, ანი, შვილთაშვილები ნიცა, თამაზი, ძმა ემზარ ტურძელაძე ოჯახით, ცოლისდა ციური მიქიაშვილი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოდერძი ერმილეს ძე ტურძელაძე

პანაშვიდი 30, 31 XII, 17 სთ. დაკრძალვა 01 I, 14 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. №54 (ყოფილი საბურთალოს ქ. №46 ანტონ მარტყოფელის ეკლესიასთან).

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდგომში — უნივერსიტეტი/ბსუ) აცხადებს ღია კონკურსს **2013 წლის 13 სექტემბრამდე ვადით** განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის (ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის მიმართულებით ასოცირებული პროფესორი) დასაკავებლად.

დეტალური ინფორმაცია კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.bsu.edu.ge.

I. განცხადებების მიღებისა და კონკურსის ჩატარების ვადები

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაციის გაცემა, განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს საპროცედურო კომისიის მიერ **2013 წლის 28 იანვრიდან 5 თებერვლამდე,** ყოველდღე (დასვენების დღეებისა და შაბათ-კვირის გარდა), 10:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35, ოთახი №221, ტელ.: 27 63 94.

კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 7 თებერვლიდან 11 თებერვლის ჩათვლით, ხოლო შედეგები გამოქვეყნდება **არაუგვიანეს 2013 წლის 11 თებერვლისა** შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: **www.bsu.edu.ge.**

კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდება 2013 წლის 15 თებერვლიდან.

II. საკონკურსო პირობები

2.1. კონკურსის ძირითადი პირობები:

ა) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეული იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

2.2. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა შესაბამის საკონკურსო კომისიაში უნდა წარადგინოს:

ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები გაიცემა საპროცედურო კომისიის მიერ), აგრეთვე, მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ქსეროასლი);

ბ) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

გ) 2ც ფოტოსურათი, 3X4.

დ) დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია სწავლების სამივე დონეზე;

ე) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წაკითხული საილექციო კურსების ჩამონათვალი — ძირითადი კურსის სილაბუსით;

ვ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი;

III. კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა

3.1. კონკურსზე არ დაიშვება პირი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეზღუდული აქვს მოქმედი კანონმდებლობით.

IV. კონკურსის ჩატარების წესი

4.1. კონკურსი ჩატარდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 15 მარტის №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“** შესაბამისად, რომელსაც კონკურსანტი გაეცნობა საპროცედურო კომისიებში და ბსუ-ს ვებ-გვერდზე.

4.2. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გაითვალისწინება, აგრეთვე:

ა) პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო/სარეზიდენტო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, სალექციო კურსების, მოდულების ხელმძღვანელობა, მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ბ) თანამედროვე სასწავლო პროგრამების ჩამოყალიბება და განვითარება: ელექტრონული სალექციო კურსების მომზადება და დანერგვა; კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მომზადება და დანერგვა; კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალური ტრენინგების გავლა; საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება (კურიკულუმის კომიტეტის წევრობა) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

გ) სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სასწავლო და სამეცნიერო გრანტები, საერთაშორისო პროგრამები) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

დ) ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა და დაცული დისერტაციების ხელმძღვანელობა, კონსულტანტობა;

ე) დისერტაციის ოპონირება (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ვ) კონკურსანტის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული წიგნები (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, საცნობარო ლიტერატურა) და სამეცნიერო პუბლიკაციები;

ზ) წიგნების (კრებულების/ჟურნალების) რედაქტორობა, რეცენზენტობა და რედკოლეგიის წევრობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

თ) პატენტი (საავტორო მოწმობა) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ი) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმები/კონგრესები/სესიები) ორგანიზება/მონაწილეობა;

კ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა აქტივობები (ბოლო 5 წლის განმავლობაში).

4.3. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევად გათვალისწინებული იქნება, აგრეთვე, პირის პროფესიული კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, მისი კომპეტენციისა და პიროვნულობის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან.

სსიპ — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პოეზია

მთავარი ოცნება

I

ოცნების ფართო შარას გავყვები,
ღრუბლებს განდევნის გუმბათზე ხვალ მზე,
გამოაღვიძა სიომ ჭადრები,
ერთობისათვის ვილოცებ ხვამლზე.

გულს მიძგერებენ სისხლის ზვირთები,
არ მიცხოვრია ამაოდ ჭარმაგს,
სიკეთეს დავთეს, სანამ ვიქნები,
არ დავუკარგავ წინაპრებს ამაგს.

სიმართლისათვის ვიბრძოლე, ვიბრძვი,
მახარებს მართალ კაცთა სიმრავლე,
ფუძედ ვერ გახდი სიბრიყვეს სიბრძნის,
ნაგავს ნაპირზე რიყავს მდინარე.

ის, ვინც ჭაობის ლაფში იცოცებს,
არ დაგვინდობს და ოქროზე გაგვცვლის,
მე რა ვუთხარი ისეთ სიცოცხლეს,
თუ არ გვერქმევა სახელი კაცის!

II

არ მიძებნია ოქრო და ვერცხლი,
მომავლის იმედს ვქარგავ რითმებით,
ასეთი ვარ და ვერავინ შემცვლის,
მამულზე ფიქრით, ლოცვით ვინთები.

უსასრულოა ოცნების სივრცე,
ცხოვრება დღის და ღამის ომია,
საქართველოსთვის გულს ჯალათს მივცემ,
მისი ტკივილი ჩემი მგონია.

ზეცა კრიალებს ღრუბლების ზემოთ,
ქვემოთ ნისლების ამალა ტირის,
თუ არ გაუგე სიმწარეს გემო,
ვეღარ შეიგრძნობ სიამეს ტკბილის.

დრომ ვერ წაშალა ცოდვა კაენის,
სული შეურყვნა ევას მაცდურმა,
ადამიანის მოდგმას რა ელის?
შუღლის მორევი ჯერ ვერ გაცურა.

არ დაილევა მიზეზი ომის,
თუ არ დაფიქრდი, თუ არ დადინჯდი,
სიძულვილსა და
სიყვარულს შორის
დარჩენილია ერთი
ნაბიჯი.

მტრობა ერს თიშავს და
მამულს ავნებს,
ერთად ვილოცოთ ყველა ქართველმა,
უნდა გვაჯობონ შვილებმა მამებს,
სიბნელე ნათელს ვეღარ გათელავს.

ოცნებით ვძლიე, ღამე ვერ მიძლებს,
გაბრწყინებული ცის ნახვა მსურდა,
თუ წინ მიგვიძღვის წინაპრის სიბრძნე,
რწმენის სანთელი ენთება მუდამ.

დრო არ ჩერდება, წლებს წლებზე აწყობს,
ბრიყვს ვერ უშველის კითხვა მორალის,
მკვიდრ ფუძედ უდგას წარსული აწმყოს,
აწმყო ბურჯია ნათელ მომავლის.

მწარედ იხსენებს ღალატს კრწანისი,
ამერ-იმერის ძმობას ნატრულობს,
ლაჟვარდებიდან ტკბილი ხმა ისმის,
მზე ამოვიდა, უსმენს ჩაკრულოს.

III

წლები ებრძვიან, ნატვრას ვერ სძლიეს,
უიმედობის ნამქერი გალღვა,
ფრთები შეისხა, არ იცვლის იერს,
ოცნება ცაში აიჭრა ლაღად.

არ დავუჭირე მერანს სადავე,
ჩემი გაზრდილი არ მწირავს, მინდობს,
ცისარტყელები ზეცას ქარგავენ,
ალამაზებენ იები დიდგორს.

მამა-პაპების ვიგრძენი სუნთქვა,
ყიჟინით მოჰქრის სპათა ამქარი . . .
ტაძრები ვაგოთ, მომავალს ვუთხრათ!
რომ არ დახვდება კერა ჩამქრალი.

ვნატრობ, ვიხილო მთვარე ამაღამ,
გამთელებული, სავსე და ბადრი,
სულს რწმენა იცავს, გული გალაღდა,
ეკლებს იცილებს, არ ჭკნება ვარდი.

არ იყო ამ გზის გავლა იოლი,
ღმერთმა ისმინა ერის ვედრება,
ზარის გუგუნი ისმის სიონის,
იმედიანი დილა თენდება.

P.S.
ნაიარევი ჯერ არ ხორცდება,
ის ერთიანად გვტკივა ქართველებს,
ერთად მივაღწევთ მთავარ ოცნებას,
მამულს ერთობის ძალა ამთელებს!..

იუზა ჩაკვეტაძე
17 ოქტომბერი 2012 წელი.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთებთ ვარაუდებთან ერთად

ინტერვიუ ნოდარ ხადურთან

„21013 წლის ბოლომდე 290 მილიონი დაიხარჯება სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურაზე, მელიორაციაზე, ტრაქტორების შეძენაზე და ა. შ. გარდა ამისა, მალე შეიქმნება სოფლის მეურნეობის მილიარდიანი ფონდი, რის შემდეგაც გლეხი უფასოდ დახნავს მიწას, უფასოდ მიიღებს სასუქს, შხამქიმიკატებს... აღარ დავაფინანსებთ ისეთ პროექტებს, რომლებიც არავის სჭირდება, მაგალითად, ლაზიკაში ძეგლების დადგმას და ა. შ. პრაქტიკულად, გავაორმაგებთ ლტოლვილთა სამინისტროს შენახვის ხარჯებს... სამინისტრო 50 მილიონ ლარს დახარჯავს ლტოლვილებისთვის ახალი შენობების ასაშენებლად“.

„ასავალ-დასავალი“

„არ მეშინია, დამიჭირეთ, აგერ ვარ“

– აცხადებს როლანდ ახალაია. პარლამენტის უმცირესობის წევრს, შესაძლოა, დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდეს. ამ მოთხოვნით სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ იუსტიციის სამინისტროს მიმართა, თუმცა, საკითხი განსახილველად პარლამენტში ჯერ არ შესულა. ახალაიას უფლებამოსილების შეწყვეტის მთავარი მიზეზი დაკითხვაზე არმისვლაა.

„რეზონანსი“

ქუთაისელები პარლამენტს ვერ ელევიან

არჩევნების წინ მეოცნებეები დაგვპირდნენ, რომ გამარჯვების შემთხვევაში პარლამენტს თბილისში დააბრუნებდნენ. დანაპირების ასრულება ნელ-ნელა დაიწყო. უკვე გამოვლინდა ის ფირმა, რომელიც თბილისში პარლამენტის შენობას გაარემონტებს. ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური ვარაუდობს, რომ თბილისში დეპუტატები უკვე მომავალი წლიდან დაიწყებენ მუშაობას. მაგრამ ბევრი ქუთაისელი პარლამენტის თავიანთ ქალაქში დატოვების მომხრეა, რადგან მიაჩნიათ, რომ ამ ფაქტმა გაზარდა ქუთაისის საერთაშორისო ცნობადობა.

„ახალი თაობა“

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 2013 წლის 4 იანვარს

◎ ანეკდოტები

– საწყალი პეტკა! როგორ არ გაუმათრლა: აგარაკი დაეწვა, ახალი მანქანა დაამტვრია, ცოლი გაექცა. უარესი რა შეიძლება აწი დაემართოს?

– მხოლოდ ის, რომ ცოლი დაუბრუნდეს.

* * *

ძმარი დილის ოთხ საათზე დაბრუნდა საყვარლისგან. კარებთან შეჩერდა, თეთრად შეფეთქილ კედლებს ხელისგულები ჩამოესვა, მერე ხელები შუბლზე, პიჯაკსა და შარვალზე შეიწმინდა და ზარი დარეკა. კარი ცოლმა გაუღო.

– მაპატიე, ძვირფასო, გუშინ ჩემი პირველი საყვარელი შემხვდა და აი, თავი ვერ შევიკავე.

– კარგი, კარგი, გეყო ტრაბახი და ტყუილები, კვლავაც მთელი ღამე ბილიარდს თამაშობდი ხომ?

* * *

ორი მამაკაცი ერთმანეთს შეხვდა.

– გავიგე, რომ საცოლეს მიუტოვებიხარ!

– ჰო, მითხრა, ჩემთვის ძალიან ღარიბი ხარო.

– მერე რატომ არ უთხარი, რომ მილიონერი ბიძა გყავს?

– საქმეც ის არის, რომ ვუთხარი და ახლა იგი ჩემი ბიცოლაა!

* * *

– **ვის** ჰგავს თქვენი პაწია? – ეკითხებიან ახალმოლოგინებულ დედას.

– პირწავარდნილი მამამისია. სულ ძინავს, ხოლო გამოღვიძებისთანავე მაშინვე ბოთლს იტაკებს ხოლმე პირში.

* * *

– **მე** რომ გავთხოვდე, ხომ წარმომიდგენია, რამდენი მამაკაცი გაუბედურდება? – ეუბნება დაშა თავის დაქალს.

– რატომ? შენ ხომ მხოლოდ ერთს მისთხოვდები?

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com